აგვისტო 28-30
1996
# კავკასიონი
The KAVKASIONI © ყოველდღიური გაზეთი № 148-149 (441-442)
ფასი 40 თეთრი




## სამწუხარო პარალელები

აფხაზეთში ეთნიკური წმენდა არაფრით ჩამოუვარდება ბოსნიის მოვლენებს, განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ გერმანიის ბუნდესტაგის დელეგაციასთან შეხვედრის დროს. აფხაზეთის კონფლიქტზე მსჯელობისას ჟვანიამ აღნიშნა, რომ რეგიონში მშვიდობის დამყარებას სერიოზული საერთაშორისო ძალისხმევა ესაჭიროება. დღეისთვის კი, სამწუხაროდ, ასეთი ძალისხმევა არ არსებობს. შეხვედრის დროს საუბარი შეეხო, აგრეთვე, მომავალი წლის იანვრისთვის დაგეგმილი ჟვანიას გერმანიაში საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დაგეგმილ ვიზიტს.

BGI

## ვიზიტი რუსეთში

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მინისტრი შოთა კვირაია ოფიციალური ვიზიტით ეწვევა რუსეთს. დაგეგმილია მოლაპარაკების გამართვა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის ხელმძღვანელობასთან აფხაზეთის კონფლიქტის დარეგულირების თაობაზე. ქართული მხარე პრინციპულად დასვამს საკითხს, აგრეთვე, იმ ტერორისტების ქართული მხარისთვის გადმოცემის შესახებ, რომელთაც დანაშაული ჩაიდინეს საქართველოს ტერიტორიაზე და ამჟამად რუსეთში იმალებიან.

„იბერია“

## ახალი საავტობუსო მარშრუტები ცხინვალის მიმართულებით

ბოლო პერიოდში გარკვეული სიახლეები შეიმჩნევა მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

ოსურენოვან სოფლებში დაიწყეს ელექტროენერგიის საფასურის გადახდა. ნორმალურ ვითარებაში დასრულდა ვაუჩერიზაცია. ოსი ახალგაზრდები აქტიურად ერთვებიან რეგიონის ცხოვრებაში. ამის დასტური იყო „დიდგორობის“ სახალხო დღესასწაული, სადაც ოსი მკლავჭიდელები ქართველი თანატოლების მხარდამხარ ასპარეზობდნენ.

რაიონისა და სამხარეო ადმინისტრაციის ხელმძღვანელობამ, ბატონი შალვა ოგბაიძის თაოსნობით დაინიშნა საავტობუსო მარშრუტები ახალგორი-ცხინვალი, წინაგარი-ცხინვალი, ახალგორი-წინაგარი-თბილისი.

საქინფორმი

## ირაკლი მენაღარიშვილი: «რაიმე ილუზიები, რომ ყველა საკითხს ერთბაშად გადავწყვეტთ, არ უნდა გვქონდეს»

გუშინ საღამოს ვლადიკავკაზიდან დაბრუნდა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, რომელსაც ედუარდ შევარდნაძე ხელმძღვანელობდა. საქართველოს პრეზიდენტი და დელეგაციის წევრები შეხვდნენ სამხრეთ ოსეთის წარმომადგენლებს. შეხვედრაში მონაწილეობდნენ: აღსარბეკ გალაზოვი, ლუდვიგ ჩიბიროვი, ბორის პასტუხოვი, ეუთო-ს მისიის ელჩი საქართველოში დიტერ ბოდენი. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ შეხვედრა ხუთმხრივი იყო.

იხილეთ მე-2 გვერდი

## მომჩივანი მოსახლეობა და დაზარალებული სატელეფონო ქსელი

### ანუ გადაიხადეთ... რომ არ გაგითიშონ



სატელეფონო მომსახურებით უკმაყოფილო მოსახლეობა ხშირად ჩივის იმის გამო, რომ მას უთიშავენ ტელეფონს, ან გაუფრთხილებლად, მისი კუთვნილი ტელეფონის ნომერს სხვა აბონენტს გადასცემენ. ბოლო ხანს განსაკუთრებით მომრავლდა ასეთი ფაქტები, ვინაიდან, მოქალაქეები სოციალურ და სხვადასხვა მიზეზთა გამო, დროულად ვერ ახერხებენ სააბონენტო საფასურის გადახდას.

ახეთ ვითარებაში, კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს ბრძანებით, ადგილობრივი სატელეფონო განყოფილებები უფლებამოსილნი არიან, ურჩი გადამხდელების მიმართ შესაბამისი სანქციები გაატარონ.

მდგომარეობას კიდევ უფრო ართულებს პერიოდულად მომსახურების ტარიფების ცვლა, რომლის გამოც ხშირად გაუთვალისწინებელ ვითარებაში აღმოჩნდებიან ხოლმე ის მოქალაქეები, რომლებმაც მომსახურების საფასური წინასწარ გადაიხადეს, შემდეგ კი, იმ მიზეზით, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში ქალაქში არ იმყოფებოდნენ და ვერ მოახერხეს ტარიფების გაზრდის შედეგად დავალიანების დროულად დაფარვა, მათ უთიშავენ, ან საერთოდ უხსნიან ტელეფონს, რაც მოსახლეობის გულისწყრომას იწვევს.

ზემოხსენებულ ფაქტებზე გთავაზობთ კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს პრესმდივნის მზია ნარმანიას კომენტარს.

იხილეთ მე-5 გვერდი

## დრამა კეთილი ფინალით



გუშინ ლონდონში კეთილად დასრულდა გიგანტური სამგზავრო აერობუსის A - 310 —ის გატაცების ისტორია. იგი შეიარაღებულმა პირებმა სუდანიდან აფრენის შემდეგ ხელში ჩაიგდეს და მისი ეკიპაჟი აიძულეს, კურსი ინგლისისკენ აეღო. თვითმფრინავში სულ 199 მგზავრი იმყოფებოდა, მაგრამ მოლაპარაკების შემდეგ ტერორისტებმა ყველა მათგანი გაათავისუფლეს, თავად გამტაცებლები პოლიციას ჩაბარდნენ, საჰაერო ხომალდი კი, წესისამებრ, ბოლოს მისმა მეთაურმა დატოვა.

გაგრძელება მე—4 გვერდზე

## მოტაცება... ყირიმულად

უკრაინის პოლიტიკური საზოგადოება, რომელმაც ამ დღეებში თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობის ხუთი წლისთავი აღნიშნა, ინტერესით ადევნებდა თვალს საკმაოდ უცნაურ ინციდენტს — ყირიმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ევგენი სუპრუნიუკის გაუჩინარებას. გასულ კვირას სამმა უცნობმა პირმა იგი საკუთარი საცხოვრებელი სახლის სადარბაზოდან გაიტაცა.

იხილეთ მე—2 გვერდი

## «ბილი იწყებს და...»



26 აგვისტოს ჩიკაგოში გაიხსნა აშშ დემოკრატიული პარტიის ეროვნული ყრილობა, რომლის ძირითად დანიშნულებას დღევანდელ პრეზიდენტ ბილ ქლინთონისთვის თეთრ სახლში დარჩენის კარტ-ბლანშის მიცემა წარმოადგენს. ეს არის შეერთებულ შტატებში საპრეზიდენტო მარათონის ბოლო ეტაპის დასაწყისი.

იხილეთ მე—4 გვერდი

## კიტოვანის, სურგულაძის და ფისიუნის პროცესზე მსჯავრდებულთა დაკითხვა დაიწყო

დაწვრილებით მე—6 გვერდზე

## პირველად საქართველოში!
## ლატარეა ყველასათვის!

6 სექტემბრიდან ყოველ პარასკევს საქართველოს ტელევიზიის პირველი არხით 22 საათსა და 15 წუთზე იწყება ყველაზე სერიოზული და სოლიდური ლატარეის გათამაშება.

ბილეთის ფასი 20 თეთრი.

მინიმალური მოგება 2 000 ლარი.




ლატარეა 23 აგვისტოდან იყიდება მეტროებში, ბაზრობებზე, უნივერმაღებში, ჯიხურებში.

ლატარეის შედეგები გამოქვეყნდება ყოველ შაბათს გაზეთ „კავკასიონში“.

## კინოხელოვანთ ბიუროკრატების მსახურებად გადაქცევა ემუქრებათ



ამ ბოლო დროს სულ უფრო აშკარა ხდება, რომ კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამაზე მეტყველებს არა მხოლოდ გაუთავებელი მითქმა-მოთქმა, არამედ მიმდინარე სასამართლო პროცესებიც. ქართული ფილმი ის ფენომენია, რომელიც მთელი ერის სიმდიდრედ არის მიჩნეული, ამიტომ, ბუნებრივია, საზოგადოება მის მიმართ გულგრილი ვერ დარჩება; ხოლო იმისთვის, რომ საზოგადოებამ სწორი დასკვნები გამოიტანოს, საჭიროა, მაქსიმალურად იყოს ინფორმირებული კინოსტუდიაში მიმდინარე პროცესების შესახებ. აქედან გამომდინარე, „კავკასიონის“ კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა **ნანა ჯორჯაძეს, თემურ ბაბლუანს, გოდერძი ჩოხელს, რამაზ ხოტივარს და დიტო ცინცაძეს** რეჟისორებს, რომელთაც განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდებათ მკითხველთა წინაშე და რომელთა სახელებსაც დიდწილად უკავშირდება ქართული კინოს აწმყო და მომავალი. საგულისხმოა ისიც, რომ ეს არ გახლავთ, მხოლოდ ხუთი ხელოვანის პირადი აზრი. საქმის ვითარების გაცნობამ დაგვარწმუნა, რომ ისინი გამოხატავენ ბევრი თანამოაზრის სატკივარს.

იხილეთ მე 7 და მე 10 გვერდები

პირველი გვერდიდან

ვლადიკავკაზიდან დაბრუნებისთანავე თბილისის აეროპორტში საგარეო საქმეთა მინისტრმა ირაკლი მენაღარიშვილმა, კონფლიქტების მოგვარების სამთავრობო კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი მაჭავარიანმა და პრეზიდენტის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ვახტანგ აბაშიძემ პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციაზე ხაზგასმით ითქვა, რომ შეხვედრას ისტორიული მნიშვნელობა აქვს. სათავე დაედო ქართულ-ოსურ დიალოგს, რომელიც ცხინვალის რეგიონის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრის და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოწესრიგების შესაძლებლობას ქმნის.

მოლაპარაკებების მსვლელობისას აშკარად გამოიკვეთა კონფლიქტით დაზარალებულ მხარეებს შორის ურთიერთდაპირისპირების, დაძაბულობის და გაღიზიანებულობის შემცირების ტენდენცია.

ვლადიკავკაზში შეხვედრის იდეა ჯერ კიდევ 16 მაისს, ერთობლივი მემორანდუმის პარაფირების შემდეგ გაჩნდა. მას ხანგრძლივი, რთული მოსამზადებელი პროცესი უძღოდა წინ. სოჭის 1992 წლის შეთანხმება, მემორანდუმი და ვლადიკავკაზის შეხვედრაზე მიღებული განცხადება ეტაპობრივი დოკუმენტებია, რომლებიც საბოლოო ჯამში ორ მხარეს შორის არსებული კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარების და ჭრილობის ნაკლებმტკივნეულად მოშუშების საშუალებას იძლევა, ამიტომ, ვლადიკავკაზის შეხვედრა ძალზე ეფექტურად უნდა ჩაითვალოს და იგი სათანადო შედეგებს გამოიღებს.

სამხრეთ ოსეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ გადაწყვეტილება შეხვედრაზე არ მიუღიათ, საქართველოს დელეგაციას ოფიციალური პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით არ გამოუთქვამს. გადაწყდა, რომ შეიქმნება მუშა ჯგუფები, დელეგაციები, რომლებიც განსახილველად მოამზადებენ ცალკეულ საკითხებს და შეიმუშავებენ შესაბამის იურიდიულ დოკუმენტაციას. ვლადიკავკაზში ხელმოწერილ განცხადებაში კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ სტატუსის საკითხის მოგვარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს უნდა დაეყრდნოს.

ცხინვალის რეგიონი მუდმივად ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში განიხილებოდა და ფინანსური დახმარებები, ქვეყნის ეკონომიკური შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ამ მხარეს არ შეეწყვეტა. ირაკლი მენაღარიშვილის განცხადებით, 1997 წლის ბიუჯეტში შეძლებისდაგვარად მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული ამ რეგიონისთვის ფულადი სახსრების გამოყოფის საკითხი. გარდა ამისა, ვლადიკავკაზში გადაწყდა, რომ რეგიონს დახმარებას გაუწევენ კავშირგაბმულობის სისტემის, გზების აღდგენაში, გათვალისწინებულია ტრანსპორტით და სამედიცინო დახმარებით უზრუნველყოფა. წელსვე ან მომავალ წელს, შესაძლოა, გადაწყდეს საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ფინანსური დახმარების საკითხი. ქართულ მხარეს ფინანსური დახმარების პირობად პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა არ დაუყენებია.

„რაიმე ილუზიები, რომ ყველა საკითხს ერთბაშად გადავწყვეტთ, არ უნდა გვქონდეს. დიდი სამუშაო ჩატარდა, მაგრამ უფრო მეტია გასაკეთებელი", — ბრძანა დასასრულს ირაკლი მენაღარიშვილმა.

# ირაკლი მენაღარიშვილი:
# «რაიმე ილუზიები, რომ ყველა საკითხს ერთბაშად გადავწყვეტთ, არ უნდა გვქონდეს»

ხათუნა რეხვიაშვილი

# საჭიროა სეპარატიზმზე აცრა

## ჩეჩნეთის კრიზისი და ერთა თვითგამორკვევის უფლება

რუსი პოლიტიკოსები და საზოგადო მოღვაწეები, ინტელიგენცია კარგა ხნის მანძილზე ერიდებოდა ისეთ დელიკატურ თემებზე საუბარს, როგორიცაა ეროვნული საკითხი, ერთა თვითგამორკვევის უფლება, ეროვნულ უმცირესობათა უფლებების დაცვა და ა.შ. მაგრამ ჩეჩნეთში დატრიალებულმა მოვლენებმა ეს პრობლემატიკა, ნებსით თუ უნებლიეთ, მსოფლიოს ერთ-ერთ უდიდეს და მრავალეროვან ქვეყანაშიც წამოატივტივა. გაჩნდა არაერთი ვარაუდი, ჰიპოთეზა თუ თვალსაზრისი.

დღეს გთავაზობთ გაზეთ „ნეზავისიმაია გაზეტაში" გამოქვეყნებულ წერილს, რომელიც ეროვნული დაპირისპირების, სეპარატიზმის მავნე შედეგების დაძლევის თემას ეხება. ვფიქრობთ, ეს სტატია მკითხველისთვის საინტერესო იქნება, მით უმეტეს, თუ აღნიშნულ პრობლემას ჩვენ მოუშუშებელ იარასთან — აფხაზეთთან — მიმართებაში გავიაზრებთ.

იხილეთ მე—3 გვერდი

# საშემოდგომო სესია ერთ კვირაში დაიწყება

3 სექტემბერს მუშაობას განაახლებს საქართველოს პარლამენტის საშემოდგომო სესია. აღნიშნულთან დაკავშირებით, გუშინ გაიმართა ბიუროს სხდომა პარლამენტის თავმჯდომარის ზურაბ ჟვანიას ხელმძღვანელობით. მან მიმოიხილა საშემოდგომო სესიის სამუშაო გეგმა და აღნიშნა, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დეპუტატთა დასწრების საკითხს. განიხილეს დღის წესრიგთან დაკავშირებული საკითხები.

იპრინდა

# ცხადდება კონკურსი საუკეთესო სცენარზე



კინოსტუდია „ადამი და ევა" აცხადებს კონკურსს საუკეთესო ორიგინალურ სცენარზე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმისთვის.

### კონკურსის პირობები:

1. ავტორებმა უნდა წარმოადგინონ სცენარი სამ ეგზემპლარად 80-90 ნაბეჭდი გვერდის ფარგლებში.
2. ყოველ სცენარს უნდა დაერთოს გაშლილი სინოფსისი 5-8 სტანდარტული ნაბეჭდი გვერდის ფარგლებში.
3. სცენარი წარმოდგენილი უნდა იქნას დევიზით. დევიზი აღინიშნება სცენარზე და დალუქული კონვერტის გარეკანზე, რომელშიც სცენარის ავტორის ვინაობა და კოორდინატები იქნება მითითებული. კონვერტი გაიხსნება გამარჯვებული სცენარის დადგენის შემდეგ.
4. საუკეთესო სცენარს გამოავლენს 10 კაციანი კომპეტენტური ჟიური.
5. გამარჯვებული სცენარი დაჯილდოვდება 3000 ამერიკული დოლარით.
6. კინოსტუდია „ადამი და ევა" გამარჯვებულ სცენარს ჩაუშვებს წარმოებაში 1997 წელს. სცენარის ავტორთან დაიდება ხელშეკრულება.
7. კონკურსში გამარჯვებული სცენარის გაცნობა შეუძლია ნებისმიერ კინორეჟისორს სტუდია „ადამ და ევაში". სტუდიის დირექცია ათანხმებს დამდგმელი რეჟისორის კანდიდატურას კონკურსის ჟიურთან.

გარდა ამისა, კინოსტუდია „ადამი და ევა" აცხადებს კონკურსს საუკეთესო სცენარზე მოკლემეტრაჟიანი ფილმისა და მულტფილმისთვის. ამ კონკურსზე გამარჯვებული სცენარის ავტორები დაჯილდოვდებიან 500 ამერიკული დოლარით.

კონკურსი იწყება 1996 წლის 30 აგვისტოდან. სცენარის წარდგენის უკანასკნელი ვადაა 1996 წლის 30 დეკემბერი.

ჩვენი მისამართია: თბილისი, დავით აღმაშენებლის 164, ძველი სტუდიის შენობა. ტელ: 35-11-09 კინოსტუდია „ადამი და ევას" დირექცია.

საერთაშორისო ტელეფესტივალის „მანა 96"-ის ჟიურიმ დაასრულა მასალების გაცნობა. ერთ კვირაში დასახელდება ყველა ნომინაციის სამ-სამი პრეტენდენტი

„მანა 96"-ის ჟიური

# პრემიერა ბათუმში

პარასკევს; 23 აგვისტოს, ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში ვერდის უკვდავი ოპერის „ოტელოს" პრემიერა გაიმართა. სპექტაკლის რეჟისორია გიზო ჟორდანია, დირიჟორი — დავით მუქერია, ქორმაისტერი — ავთანდილ ჩხენკელი, მხატვრები — მირიან მშველიძე და უშანგი იმერლიშვილი, ბალეტმაისტერი — ბექარ მონავარდისაშვილი. მთავარ პარტიებს ასრულებენ: ოტელო — თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსანდრე ხომერიკი, დეზდემონა — მარინე ჯახუტაშვილი, იაგო — ზაზა ხამათაშვილი.

სპექტაკლის მაყურებელთა დიდ უმრავლესობას ამჯერად თბილისიდან სპეციალურად ამ შემთხვევის გამო ჩასული სტუმრები შეადგენდნენ. პრემიერას ესწრებოდა საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე. სტუმართა შორის იყვნენ, აგრეთვე, ცნობილი ქართველი პოლიტიკოსები, თეატრალური და მუსიკალური საზოგადოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, ჟურნალისტები.

პრემიერამ წარმატებით ჩაიარა და მაყურებელს დიდი სიამოვნება მოჰგვარა. თურმე, „ოტელოზე" იმდენი შრომა და თანხა დაიხარჯა, რამდენიც წინა სამ სპექტაკლზე ("აბესალომ და ეთერი", „ლელა", „აიდა") ერთად. ეს თვალნათლივ აისახა, უპირველეს ყოვლისა, უზადო გემოვნებით შესრულებულ დეკორაციებსა და კოსტიუმებში.

კუნძულ კვიპროსზე მეთხუთმეტე საუკუნის მიწურულს გათამაშებული დრამა მეოცე საუკუნის დამლევს კვლავ გაცოცხლდა პატარა ზღვისპირა ქალაქში. თან გაცოცხლდა იმგვარად, რომ მაყურებელთა უმრავლესობა საკუთარი სავარძლიდან წინ გადახრილი, დაძაბული შეპყურებდა სცენას და სპექტაკლის დასრულების შემდეგ მხურვალე აპლოდისმენტით გამოხატავდა მადლობას.

ცნობიერ დონეზე ეს მადლობა ნიშნავდა საზღაურს თავდადებული ნაყოფიერი შრომისთვის; არაცნობიერ დონეზე კი, ალბათ, ასახავდა სიხარულს იმის გამო, რომ ჩვენ კვლავ ერთგული ვრჩებით კლასიკური იდეალის — ტრაგედიის უზენაესი მიზანი ხომ კათარსისია. სულიერი განწმენდა კი სწორედ ის ორიენტირია, რომლის დეფიციტი ყველაფერს სჭარბობს დეფიციტებით აღსავსე ჩვენს სინამდვილეში.

ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი საკუთარი რეპერტუარით მაყურებელს მარადიული ფასეულობებისკენ უთითებს. ეს კი, ნებისმიერ შემთხვევაში, წარმატების საწინდარი და უტყუარი გარანტიაა.

ია ანთაძე

# მოტაცება... ყირიმულად

24 აგვისტოს ყირიმის უმაღლესი საბჭოს სპიკერი კიევიდან ჩამოფრენისთანავე პარლამენტისკენ გაეშურა, სადაც გვიანობამდე დაჰყო. დაახლოებით შუაღამისას, სახლში მისვლისთანავე, სუპრუნიუკმა გაუშვა მძღოლი და დაცვა და სადარბაზოში შევიდა. აქ მას უცნობი ქალი მიუახლოვდა და ყირიმელ კანონმდებელთა ხელმძღვანელს ავტოგრაფი სთხოვა. მაგრამ მან ჩანთიდან ქაღალდისა და ავტოკალმის ნაცვლად პისტოლეტი „დააძრო". ამის შემდეგ, „თავაზიანმა" ქალბატონმა და მისმა ორმა თანმხლებმა პირმა, რომელთაგან ერთი მილიციის ფორმაში იყო გამოწყობილი, სპიკერი სადარბაზოს წინ მდგარ „ზაპოროჟეცში" ჩასვეს, თვალები აუხვიეს და ერთ-ერთ აგარაკზე „მიაბრძანეს".

აქ სუპრუნიუკი, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე, მაგრად მიტყიპეს. თავად სპიკერის თქმით, იგი თავიდანვე ცდილობდა გამტაცებლებისთვის ამოცანა - გაერთულებინა: ინციდენტის დაწყებისთანავე მას მოუსწრია თავისი სავიზიტო ბარათებისა და ფეხსაცმლის ქუჩაში მიმობნევა იმ იმედით, რომ ვინმე გამვლელი ყურადღებას მიაქცევდა მის ნივთებს და მილიციას საქმის კურსში ჩააბენებდა.

გატაცებიდან ერთი დღის შემდეგ, როდესაც ერთ-ერთ თავდამსხმელს პისტოლეტი ნაართვა, სპიკერი „აგარაკიდან" გაიქცა. მან მაშინვე დარეკა უმაღლესი საბჭოს მისაღებში და იქიდან გაგზავნილმა მანქანამ სუპრუნიუკი პირდაპირ საავადმყოფოში მიიყვანა. მედიცის მუშაკთა შეფასებით, ყირიმის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, თუმცა, არა კრიტიკული.

თავად სპიკერი მიიჩნევს, რომ მის მოტაცებას პოლიტიკური სარჩული გააჩნია. მართლაც, სუპრუნიუკის შემთხვევა არ არის ამ სახის პირველი ინციდენტი — 1995 წლის ოქტომბერში სიმფეროპოლში თავს დაესხნენ ყირიმის რესპუბლიკური პარტიის ხელმძღვანელს, ექსსპიკერ სერგეი ცეკოვს. საკუთარი სადარბაზოს წინ იგი მხეცურად სცემა ორმა უცნობმა, რის შემდეგაც გატეხილი თავითა და ჩამტვრეული ნეკნებით იგი საავადმყოფოს პაციენტი აღმოჩნდა. მანამდე კი, 1995 წლის მარტში, ყირიმის პრეზიდენტის პოსტის გაუქმების შემდეგ, სამკურნალო დაწესებულებას დიზინტერის დიაგნოზით მიაკითხა ამ თანამდებობის პირველმა და უკანასკნელმა მფლობელმა — იური მეშკოვმა. გამოჯანმრთელების შემდეგ ექსპრეზიდენტი დიდხანს ამტკიცებდა, რომ იგი... გაიტაცეს.

„კავკასიონის" საინფორმაციო სამსახური

# მხოლოდ ფაქტები

## საჭიროა სეპარატიზმზე აცრა

### ჩეჩნეთის კრიზისი და ერთა თვითგამორკვევის უფლება

მეორე გვერდიდან

ჩეჩნეთის ომმა კვლავ დასვა ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი. აქვს თუ არა ჩეჩნეთის რესპუბლიკას ან სხვა ეროვნულ-ტერიტორიულ წარმონაქმნს რუსეთის ფედერაციიდან გასვლის უფლება, თუკი მისი მოსახლეობის დიდი ნაწილი ამას უჭერს მხარს? რა თქმა უნდა, ეს შეკითხვა ეხება არა მხოლოდ რუსეთს, არამედ სხვა ნებისმიერ სახელმწიფოს, სადაც ეროვნული უმცირესობები კომპაქტურად ცხოვრობენ.

როგორც ჩანს, რუსეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი დარწმუნებულია, რომ ერის, ეთნოსის მიერ საკუთარი სახელმწიფოს შექმნის უფლება, ასე ვთქვათ, ბუნებრივია. გაეროს წესდებამ ეს შესაძლებლობა საერთაშორისო უფლების ნორმის სახით განამტკიცა.

მიუხედავად ამისა, ეს ასე არ არის.

თავდაპირველად, საკითხის იურიდიულ მხარეზე მოგახსენებთ. გაეროს წესდებაში ნათქვამია: ,,გაერთიანებული ერების ორგანიზაცია, თანასწორუფლებიანობის პრინციპის და ერთა თვითგამორკვევის უფლების პატივისცემის საფუძველზე, მიზნად ისახავს ერებს შორის [illegible]

[illegible] საერთაშორისო სამართლის მიხედვით, ერის, ეთნოსის, ხალხის მიერ სუვერენული სახელმწიფოს შექმნის შესაძლებლობა გათვალისწინებულია კოლონიური ხალხებისთვის, აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ ამ საკითხის მოწესრიგება შეთანხმებულია იმ სახელმწიფოსთან, რომელსაც მისივე ნაწილი გამოეყოფა. კოლონიური ხალხების დამოუკიდებლობის მიღების უფლების შესახებ მრავალი საერთაშორისო აქტია მიღებული, პირველ რიგში, გაეროს ფარგლებში. თუმცა, კოლონიის ან სამეურვეო ტერიტორიების სტატუსის მქონე ქვეყნები, დღეს მსოფლიოში, პრაქტიკულად, უკვე აღარ დარჩა. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე კოლონიას და სამეურვეო ტერიტორიას, 1970 წლის ბოლოდან ,,სუფთა" თვითგამორკვევის შემთხვევები არ ყოფილა. იყო ორი ფედერაციული სახელმწიფოს: სსრკ-ს და იუგოსლავიის დაშლის პრეცედენტი. მაგრამ ეს უკვე სხვა სახის მოვლენაა.

ამჟამად გაერო ნებისმიერი ფორმის სეპარატიზმის წინააღმდეგია. მისმა გენერალურმა მდივანმა ბუტროს ბუტროს ღალიმ ერთხელ განაცხადა: ,,შეუძლებელია თვითგამორკვევა დამოუკიდებელი სახელმწიფოს ფარგლებში". ასეთი მკვეთრი პოზიცია იმით აიხსნება, რომ სეპარატიზმი, რომელიც, როგორც წესი, ეთნიკურ საფუძველზე ვითარდება, ახლა მთელ მსოფლიოში სერიოზულ მადესტაბილიზებელ ფაქტორად იქცა.

სამწუხაროდ, იმის მაგალითები, როდესაც ხალხები საკუთარ თავს ვნებენ, რამდენიც გნებავთ — იმდენია. ეროვნული გრძნობები მეტად ფაქიზი მატერიაა. ამ ინსტრუმენტზე დაკვრა იოლია. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არსებობენ გავლენიანი ძალები, რომლებიც ეროვნული კოზირის გათამაშებით არიან დაინტერესებულნი. მათ, როგორც წესი, ადგილობრივი ელიტა და ეროვნული ინტელიგენციის ნაწილი მიეკუთვნება. უმეტესად, სწორედ ისინი არიან სუვერენიზაციით დაინტერესებულნი, მაშინაც კი, თუ მას ქვეყნისთვის ზიანი მეტი მოაქვს, ვიდრე სარგებელი. ნუთუ, ისედაც პატარა ბელგიის დაყოფით ვალონელები და ფლამანდრელები რამეს მოიგებენ? ნუთუ, ცხადი არ არის, რომ ესპანეთში ბასკები, კანადაში კვებეკელები, პირველ რიგში, მატერიალურად საკმაოდ წააგებენ, თუ ისინი დამოუკიდებელნი გახდებიან? განა მათ, როგორც ხალხებს, ეთნოსებს, ამ ქვეყნებში ვინმე ჩაგრავს და ექსპლუატაციას უწევს? უეჭველად, ეს ასე არ არის, მაგრამ ვნებათაღელვა არ ცხრება და არავინ უწყის, რით დამთავრდება ეს ყოველივე.

დასავლეთ ევროპას ათასხუთა- [illegible] თიდან გამომდინარე უბედურებები ნაწილობრივ, გამოწვეულია ყოფილი უნიტარული სახელმწიფოს შინაგანი საზღვრების თვითნებური, შემთხვევითი ხასიათით, აგრეთვე, ახალი სახელმწიფოების მოსახლეობის პოლიეთნიკური შემადგენლობით. ასეთ ვითარებაში კონფლიქტები გარდაუვალია, საკითხავია მხოლოდ ის, თუ როგორ დავიყვანოთ ისინი მინიმუმამდე.

რაც შეეხება რუსეთს, ამ ქვეყნის დაშლის საშიშროება, სრულიადაც არ არის გამოგონილი. სუვერენიტეტის იდეამ გავრცელება ჰპოვა თათრეთში, უდმურტეთში, ბაშკირეთში, ტუვაში, სახას რესპუბლიკაში (იაკუტია).

სეპარატიზმი არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ რეგიონულ საფუძველზეც ვითარდება. შორეული აღმოსავლეთი, ციმბირის რაიონების ნაწილი, ურალი, კარელია — აი, არასრული ნუსხა იმ რეგიონებისა, სადაც ადგილობრივი ელიტა, მეტ-ნაკლები აქტიურობით, ხელისუფლების თავის სასარგებლოდ გადანაწილებას ცდილობს. ამასთან, ცდილობს არა მხოლოდ ფედერალურ ორგანოებთან ნორმალური ურთიერთობების ჩარჩოებში, არამედ, ისეთი მასშტაბებით და ფორმებით, რომლებიც დროდადრო ერთიანი რუსეთის სახელმწიფოებრიობის თვითშენარჩუნებას კითხვის ქვეშ აყენებს.

მხედველობაშია მისაღები, აგრეთვე, რუსეთის მოსახლეობის მასობრივი შეგნების თავისებურებები. მის დიდ ნაწილს ხომ მთლიად ნათლად ვერ წარმოუდგენია ზღვარი, რომლის მიღმა ცენტრის სიძულვილი დეზინტეგრაციაში გადაიზრდება. 1990 წელს რუსეთის მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ რსფსრ-ს სუვერენიტეტს დაუჭირა მხარი, და არა სსრკ-ს რღვევას. რამდენიმე თვის შემდეგ, იმავე ხალხმა, დიდი უმრავლესობით, რეფერენდუმზე სსრკ-ს შენარჩუნებას დაუჭირა მხარი (?!). ხომ არ შეიძლებოდა, რომ მათ ასე მოკლე ხანში შეეცვალათ შეხედულებები! უბრალოდ, ხალხს, რომელიც შეუსაბამო გადაწყვეტილებებს იღებდა, არ სურდა გაეცნობიერებინა, რომ ეს გადაწყვეტილებები — აბსურდულია. რუსული პოლიტიკური მენტალიტეტი, რომელიც მასებს ახასიათებს, ნიშანდობლივია იმით, რომ ადამიანები ხშირად სარგებლის საფუძველზე კი არ მოქმედებენ, არამედ — ემოციების ზეგავლენით.

არ არის საჭირო იმის ახსნა, თუ როგორ შედეგს გამოიღებდა რუსეთისთვის ქვეყნის შემდგომი ,,სუვერენიზაცია". მოვლენების ამგვარი განვითარება საშიშია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ მთელი მსოფლიო- [illegible]

[illegible] გადაჭრა უფრო ,,კვალიფიციურადაა" საჭირო — სასურველია, რა თქმა უნდა, მშვიდობიანი გზით, მაგრამ თუ ეს ვერ მოხერხდება, მაშინ, რაც შეიძლება ,,ნაკლები სისხლით".

ნებისმიერ შემთხვევაში, ერთ პოზიციას ემხრობი თუ მეორეს, უნდა გაითვალისწინო, რომ რღვევის ჯაჭვური რეაქციის საშიშროება ჯერ კიდევ რეალურ საფრთხედ რჩება. მოცემულ შემთხვევაში, საუბარი ,,კარგ" და ,,ცუდ" გადაწყვეტილებებს შორის არჩევანზე კი არაა, არამედ ცუდსა და მასზე უარესზე.

დუდაევის და მისი მემკვიდრის რეჟიმის მიერ ტერორისტულ ტაქტიკაზე გადასვლამ (ბუდიონოვსკის აქციიდან დაწყებული), ბევრი რამ შეცვალა ჩეჩნეთის მდგომარეობაში. ეს, პირველ რიგში, მის სამართლებრივ და პოლიტიკურ ასპექტებს შეეხება. ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარების სრულად გაყვანა, რასაც ,,ჩეჩნეთში ომის დაუყოვნებელი შეწყვეტის" მომხრენი მოითხოვენ, რესპუბლიკაში, პრაქტიკულად, ,,შეურიგებლების" სრულ ბატონობას ნიშნავს. სხვა ჩეჩნური პოლიტიკური ძალების შანსები, პირველ რიგში, მათი, ვინც დოკუ ზავგაევის გარშემო არიან თავმოყრილი — მცირეა, თუკი, ,,შეურიგებლები" ეფექტურ სამხედრო ორგანიზაციას შეინარჩუნებენ. მათ მხარეს არის — კარგად შეიარაღებული, ორგანიზებული და ფანატიკურად განწყობილი მომხრეები, რომლებიც ჩეჩნეთის მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილის მხარდაჭერით სარგებლობენ. ისტორიული პრაქტიკის დამოწმებით, ასეთ შემთხვევებში, აგრესიული უმცირესობა, ყოველთვის ჯაბნის შედარებით პასიურ უმრავლესობას (მოცემულ შემთხვევაში ისიც გაურკვეველია, თუ ვინ წარმოადგენს უმცირესობას).

ახლა წარმოგიდგენთ სცენარს, რომელიც ყველაზე სავარაუდოა, თუ დუდაევის მომხრეები ძალაუფლებას აიღებენ ხელში და რესპუბლიკა სრულ დამოუკიდებლობას მოიპოვებს. ამ შემთხვევაში გარდაუვალია ტერორი ყველა კოლაბორაციონისტის მიმართ, ე.ი. იმ ხალხის მიმართ, რომლებიც რუსეთთან თანამშრომლობას მოისურვებენ.

სუვერენული ჩეჩნეთი აუცილებლად აღმოჩნდება ძალიან რთულ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობაში. ქვეყანა დანგრეულია, რუსეთის მხრიდან დახმარება მკვეთრად შემცირდება, რესპუბლიკას დატოვებენ ინჟინერ-ტექნიკოსთა კადრები, რომელთა უმრავლესობა არც არის ჩეჩენი.

ადვილი წარმოსადგენია ექსტრემალური ვითარების და ექსტრემიზმის როგორ არენად იქცევა ასეთი ქვეყანა.

ამიტომ, ჩეჩნეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭება განუყოფელია საკითხთან, თუ რა რეჟიმი მოვა ამ დამოუკიდებლობის საფარველქვეშ. [illegible] ლების მხრიდან ჩეჩნეთის პრობლემის ძალისმიერი გზით მოგვარება, ჩვენი აზრით, უპერსპექტივო და მცდარია. მაგრამ თუ ისინი სამხედრო ორგანიზაცია ,,შეურიგებლების" საფუძვლების განადგურებისთვის იღვწიან, რათა შემდეგში რუსეთისთვის მისაღებ კომპრომისს მიაღწიონ, მაშინ ასეთ გადაწყვეტილებას არსებობის უფლება გააჩნია. პრინციპში, ჩეჩნეთში ყველაზე მეტად სამი სცენარის გათამაშებაა შესაძლებელი: 1) კონფლიქტის ავღანიზაცია — რუსეთთან და ერთმანეთთან მტრულ დამოკიდებულებაში მყოფ ჩეჩნურ დაჯგუფებებს შორის ხელისუფლებისთვის ბრძოლა, ისევე, როგორც ეს ავღანეთში საბჭოთა ჯარების გაყვანის შემდეგ მოხდა; 2) რომელიმე ლიდერის გარშემო ჩეჩნეთის ოპოზიციის კონსოლიდაცია და ომის განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება; 3) დოკუ ზავგაევის ან მისი ანალოგიური ლიდერის გარშემო დაჯგუფებული ძალების გამარჯვება.

რუსეთისთვის მისაღები მესამე სცენარის რეალიზაცია შეუძლებელია დუდაევის ორგანიზაციის სამხედრო ძალების დანგრევის გარეშე.

ამ ამოცანის ჩარჩოებიდან [illegible] გზით გამოსვლის ნებისმიერი ცდა კი, ჩვენი აზრით, მხოლოდ უარყოფით შედეგს გამოიღებს.

ალექსანდრე ბელჩუკი
,,ნეზავისიმაია გაზეტა"

## ალპებში აგორებული პოლიტიკური ზვავი

ბოლო პერიოდში ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან სისტემატურად გაწვდიდით ინფორმაციას იტალიის ერთიან პოლიტიკურ კონსტრუქციაში გაჩენილი ბზარის შესახებ — სეპარატისტული ,,ჩრდილოეთის ლიგა", უმბერტო ბოსის თავკაცობით, თავის ქმედებებში სულ უფრო თვითდაჯერებული ხდება.

როგორც ჩანს, სეპარატისტული განწყობილების მქონე იტალიელმა სენატორმა (უმბერტო ბოსიმ) საქმეს უკვე სერიოზულად მოჰკიდა ხელი. მართალია, მის მიერ წამოწყებულ ,,ომს" ჯერ მხოლოდ სიტყვიერი ხასიათი აქვს, მაგრამ მოსალოდნელი პოლიტიკური სტიქიით გამოწვეული საშიშროების რეალობა უკვე იგრძნეს აპენინის ნახევარკუნძულზე — ,,ჩრდილოეთის ლიგა" ალპებიდან თანდათანობით დაძრული ზვავის ძალას იძენს.

ეყრდნობა რა იტალიის ბოლო საპარლამენტო არჩევნების დროს მიღებული ხუთი მილიონი ამომრჩევლის მხარდაჭერას, ბოსის მოძრაობა სულ უფრო აქტიური ხდება — მან უკვე ,,მოასწრო" თვითმარქვია ,,პადანიის რესპუბლიკის" ,,შექმნა", რომელსაც თავისი მთავრობა და პარლამენტი ჰყავს. ოთხ ქალაქში (გენუა, ნოვარა, ვერონა, ბერგამო) არსებობენ ე.წ. ,,პადანიის გათავისუფლების კომიტეტები". იტალიის ერთ-ერთი ცნობილი იურისტის, [illegible] ყოფილი იუსტიციის მინისტრის, ფილიპო მანკუზოს აზრით, წარმოუდგენელია, რომ უმბერტო ბოსის პარტიას არ ჰქონდეს საკუთარი სამხედრო ორგანიზაცია და არ ფლობდეს იარაღის დიდ [illegible], მისი თქმით, ,,სეპარატისტთა მიზანი — იტალიის დაშლა და ,,პადანიის" გამოყოფა — მიღწევა მშვიდობიანი მეთოდებით არარეალურია". მანკუზომ მხარი დაუჭირა იტალიის პროკურატურის მოთხოვნას, რომ ქვეყნის სენატმა უმბერტო ბოსის საპარლამენტო ხელშეუხებლობა შეაჩეროს, მით უმეტეს, რომ ამისთვის ფორმალური მიზეზი არსებობს: გავლენიანმა იტალიურმა ყოველკვირეულმა ,,პანორამამ" ერთ-ერთ ბოლო ნომერში გამოაქვეყნა მასალები ბოსის ,,მილიციის" — ,,[illegible]" რაზმების — შესახებ. ჟურნალი ხაზს უსვამს ,,მილიციელთა" ორგანიზებულობას, დისციპლინას და [illegible] მომზადების მაღალ დონეს.

მაგრამ, როგორც ჩანს, უქმ[illegible] დროს არც იტალიის ცენტრალური ხელისუფალნი კარგავენ: ქალაქ ვიჩენცას პროკურატურამ აღძრა სისხლის სამართლის საქმე ,,ჩრდილოელი სენატორის" წინააღმდეგ. იგი დადანაშაულებულია ,,კონსტიტუციური წყობის საფუძვლების" ხელყოფაში. ოფიციალური ძიება უკვე დაწყებულია. ერთდროულად ორი ქალაქიდან — ტოლმეცოდან და ბერგამოდან — პროკურატურის მიერ სენატში უკვე გაიგზავნა წერილი უმბერტო ბოსის სადეპუტატო იმუნიტეტის შეწყვეტის ზემოხსენებული მოთხოვნით. ამ საკითხს, როგორც ადრე გაუწყეთ, იტალიის პარლამენტის დეპუტატის ხელშეუვალობის კომისია 10 სექტემბერს განიხილავს.

ამასობაში ,,ჩრდილოეთის ლიგის" მოღვაწეობის მიმართ რამდენიმე სერიოზული გაფრთხილება გამოთქვა ქვეყნის პრეზიდენტმა ოსკარ ლუიჯი სკალფარომ. იგი, როგორც წესი, თავის აზრს შიდაპარტიული ბრძოლის შესახებ იშვიათად გამოთქვამს. ამჯერად კი, სკალფარო კატეგორიულია. ,,ქვეყნის და ხალხის ერთიანობა წმიდათაწმიდა კონსტიტუციური პრინციპია", — საქვეყნოდ აცხადებს იტალიის პრეზიდენტი.

,,კავკასიონის"
საინფორმაციო სამსახური

ჟურნალისტის სვეტი



ბია ასანიშვილი

## ავტონომიზაცია — სეპარატიზმის ვირუსი თუ მისგან თავდასახსნელი ვაქცინა?

დღეისთვის ესპანეთი წარმოადგენს იმ ქვეყნის კლასიკურ ნიმუშს, რომელსაც სეპარატიზმის თუ ეთნოკონფლიქტების ვირუსი შეყრია და მისგან თავის დასაღწევად ძალ-ღონეს არ იშურებს. „პოლიტიკური მალარიის" პირველი საშიში სიმპტომები პირინეის ნახევარკუნძულზე იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა. ამ პერიოდში ბასკეთში კვლავ გაიხსენეს თითქოს მივიწყებული ესპანეთიდან გამოყოფისა და საფრანგეთის ბასკურენოვან პროვინციებთან ერთად დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის იდეა (შეადარეთ საქართველოდან სამხრეთ ოსეთის გამოყოფისა და ჩრდილოეთ ოსეთთან ერთად „ერთიანი ოსური სახელმწიფოს" შექმნის იდეას — ავტორი). მაგრამ ესპანეთისა და საფრანგეთის მმართველმა წრეებმა ამ საკითხის განხილვის შესაძლებლობაზეც კი მტკიცე უარი განაცხადეს, რის შემდეგაც მნიშვნელოვნად გააქტიურდა არალეგალური ბასკური ულტრანაციონალისტური სეპარატისტული ორგანიზაცია ეტა (ეუსკალო ტა ასკატასუნა — ბასკეთის ქვეყანა და თავისუფლება), რომელიც ხშირი ტერორისტული აქტებით დღესაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ესპანეთის ხელისუფალთ.

ბასკების ნაბაძვით, „დიდ დამოუკიდებლობაზე" ალაპარაკდნენ კატალონიაშიც. თუმცა, ამ მხარეს, ერთი შეხედვით, თითქოს არ სურს მადრიდისგან სრული გამოყოფა და კმაყოფილი იქნებოდა ავტონომიის ფართო ჩარჩოთიც, ოღონდ სამი „პირობით": 1. საკუთარ ტერიტორიას თავად გაუწიოს პოლიტიკური კონტროლი; 2. მადრიდმა აღიაროს კატალონიელთა ენობრივი და კულტურული თავისებურებანი; 3. გადაისინჯოს ფინანსური ურთიერთობანი ცენტრალურ ხელისუფლებასთან.

მალე, ბასკებისა და კატალონიელების მსგავსად, ავტონომიზაციის „ვირუსით დაავადდნენ" და ამოძრავდნენ სხვა, ტრადიციულად „მშვიდი" პროვინციები (ვალენსია, ესტრამადურა, მურსია და სხვა), რამაც ცენტრალური ხელისუფლება აიძულა გარკვეულ, თუნდაც ფორმალურ დათმობებზე წასულიყო: შემუშავდა „წყნარი ავტონომიზაციის" პროექტი, რომელიც აშკარად სეპარატისტთა ამბიციების დასაკმაყოფილებლად იყო გათვალისწინებული. მაგრამ, მოხდა პირიქით: „წყნარი" პროვინციები დღეს უკვე ისეთივე უფლებამოსილებებს ითხოვენ, როგორიც, მაგალითად, კატალონიას ან გალისიას გააჩნიათ. ამან ესპანეთის ხელისუფალნი ჩიხში მოაქცია.

მსგავსი პრობლემის წინაშე (საკუთარი სახელმწიფოს შექმნა, უარეს შემთხვევაში, ავტონომიის მიღება და ამ ნიადაგზე ეთნიკური კონფლიქტი იმ ქვეყნების ცენტრალურ ხელისუფლებასთან, სადაც ისინი ცხოვრობენ), ოღონდ უფრო მძიმე პირობებში, დგანან ქურთთა დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ხელმძღვანელები.

ისტორიულ ქურთისტანს უზარმაზარი ტერიტორია უკავია, რომლის დაახლოებით ნახევარი დღევანდელი თურქეთის შემადგენლობაში შედის, დანარჩენი ნაწილი კი ირანს, ერაყს და სირიას ეკუთვნის. აქედან გამომდინარე, ქურთთა დამოუკიდებლობის ან მათი ავტონომიზაციის საკითხი, მეტ-ნაკლებად საჩოთირო პრობლემებს ქმნის ყველა ზემოთ დასახელებული ქვეყნისთვის. ამიტომ, გაკვირვებას არ უნდა იწვევდეს თურქეთის, ირანისა და სირიის ოფიციალური წრეების წარმომადგენელთა განცხადება: „რუკაზე დამოუკიდებელი ქურთისტანის გაჩენა გამოიწვევს რეგიონში ვითარების გამწვავებას, მოახდენს პოლიტიკური სიტუაციის დესტაბილიზაციას მთელ ახლო აღმოსავლეთში".

ესპანეთის რიგი პროვინციების, აგრეთვე, ქურთისტანის მსგავსად, ეთნიკური დაპირისპირების ნიშნები, სიმწვავის სხვადასხვა ხარისხით, თითქმის მთელ მსოფლიოში შეინიშნება (პოსტსაბჭოთა ტერიტორიაზე — სადაც გნებავთ, სინძიანი — ჩინეთში, კაზამანსის პროვინცია — სენეგალში, კვებეკი — კანადაში, ჩრდილოეთ იტალია — აპენინის ნახევარკუნძულზე და ა.შ.), რომელთა იგნორირებამ ახლო მომავალში კაცობრიობას, შესაძლოა, წარმოუდგენლად რთული პრობლემები შეუქმნას.

# დრამა კეთილი ფინალით

პირველი გვერდიდან

დრამა, რომელშიც თვითმფრინავში მყოფი ადამიანები, ინგლისის სპეცსამსახურის წარმომადგენლები, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატები და მზვერავები მონაწილეობდნენ, 16 საათს გაგრძელდა.

ის, რომ ჩვეულებრივი რეისი იორდანიაში არ შედგებოდა, პილოტებმა ხართუმის აეროპორტიდან აფრენიდან 25 წუთის შემდეგ შეიტყვეს:



ექვსმა თუ რვა ტერორისტმა, ერაყის მოქალაქეებმა, თვითმფრინავის აფეთქების მუქარით, ინგლისში გაფრენა მოითხოვეს, სადაც პოლიტიკური თავშესაფრის მიღებას აპირებდნენ.

ეგვიპტის მხარემ უარი განაცხადა საწვავის მარაგის შევსების მიზნით თვითმფრინავის თავის ტერიტორიაზე მიღებაზე და როდესაც კატასტროფა გარდაუვალი ჩანდა, შველა კვიპროსიდან მოვიდა. ვიდრე აერობუსი ლარნაკის აეროპორტში ინგლისში გასაფრენად საჭირო საწვავით იტვირთებოდა, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ერთ-ერთ ტერორისტს მძევალი ქალებისა და ბავშვების განთავისუფლება სთხოვა. პასუხად რაციაში გაისმა: „მე ავაფეთქებ თვითმფრინავს", რის შემდეგაც გაკეთდა დასკვნა, რომ ერთ-ერთი საჰაერო პირატი კარგად ლაპარაკობს ინგლისურად და მასთან მოლაპარაკებების შემდგომი გაგრძელება უაზრობაა. ამავე პერიოდში წარმოიშვა ვერსია, თითქოს, თვითმფრინავის გამტაცებლები ერაყელი დიპლომატები არიან, რომლებიც სადამ ჰუსეინის რეჟიმს გაექცნენ...

მოგვიანებით ავბედითი თვითმფრინავი ლონდონში, სტემპტონდის აეროპორტში მშვიდობიანად დაეშვა. ეს უკაცრიელი და დედაქალაქისაგან მოშორებული აეროპორტი, თითქოს, გატაცებული თვითმფრინავების მიღებაში დასპეციალდა: ეს უკვე მესამე კურსშეცვლილი საჰაერო ხომალდის მიღების ფაქტია.

სტემპტონდში ტერორისტებთან მოლაპარაკება ფსიქოლოგებმა დაიწყეს. პირატებმა მოითხოვეს აეროპორტში სედიკ სადაფის მოყვანა (იგი იმ ასოციაციის ლიდერია, რომელიც ერაყელებს პოლიტიკური თავშესაფრის მიღებაში ეხმარება). მას შემდეგ რაც იგი ტერორისტებთან კავშირზე გავიდა, ეს უკანასკნელი ხელისუფალთ ჩაბარდნენ.

პოლიციამ დააკავა თვითმფრინავის გამტაცებლები და ამჟამად მგზავრთა შორის მათი ხელშემწყობების ძებნითაა „გართული". არის ცნობები, რომ ამ რეისით ტერორისტთა ოჯახის წევრებიც მგზავრობდნენ. საერთოდ, თვითმფრინავის კოლექტიური გატაცება სიახლეს არ წარმოადგენს: 1980 წელს ამერიკაში გაფრენის ერთბაშად 168 (!) მსურველმა გაიტაცა ლაინერი პერუდან.

სუდანის აერობუსის ბორტზე კი „მხოლოდ" 23 ერაყელი იმყოფებოდა...

# «ხელოვნების იმპერია» ათასი წლისაა

მიმდინარე წელს ავსტრიაში თავისი ქვეყნის სახელმწიფოებრიობის ათას წლისთავს აღნიშნავენ. ეს ზეიმი პომპეზური ოფიციალური ცერემონიებისა და იმპერიული ამბიციების გარეშე წარიმართება, თუმცა, გარკვეული მინიშნებები ამ მიმართულებითაც იყო, მაგრამ ავსტრიელებმა მტკიცედ თქვეს მასზე უარი: პირველ რიგში ჩათვალეს, რომ ვენას ძველი ელეგია უნდა დაჰკრავდეს — წყნარი, რომანტიული, ცოტა არტისტული (არა ისეთი დოზით, როგორიც პარიზია) და რაც მთავარია სტუმართმოყვარე. გარდა ამისა, ავსტრიელები ამაყობენ არა იმდენად თავიანთი „ისტორიული გამარჯვებებით", რამდენადაც ალპური მხარის სილამაზით.



თითქმის ექვსი საუკუნის მანძილზე ჰაბსბურგების დინასტიამ ავსტრიას ოცზე მეტი მეფე და იმპერატორი „აჩუქა". ოდესღაც მათ იმპერიაში მზე არასოდეს ჩადიოდა: ალპური მყინვარები, ადრიატიკის ზღვის მხურვალე პლაჟები, უნგრეთის ბალ-მინდვრები, ტრანსილვანიის ზეგნები, დუნაი, კარპატი და მიწები „ახალ სამყაროშიც" კი — ყოველივე ეს მათი საკუთრება იყო.

პირველი მსოფლიო ომის წინ ეროვნული საკითხის შესასწავლად, ავსტრია-უნგრეთის მაგალითზე, ვენაში ჩასულა „ვინმე" „კობა", რომელსაც გერმანული ენა არ სცოდნია და „კოლეგა" — ბუხარინი — ეხმარებოდა. შედეგად მივიღეთ ნაშრომი, რომელმაც მთელი საუკუნის განმავლობაში ბევრად განსაზღვრა ადამიანთა ბედ-იღბალი პლანეტის მეექვსედ ნაწილზე. ნაშრომი პირველად იქნა ხელმოწერილი ასე: „ი. ბ. სტალინი"...

1918 წლის შემოდგომაზე თითქმის ყველა ხალხი გავიდა ავსტრიის მონარქიის შემადგენლობიდან. ახალი ავსტრია, ტერიტორიის სიდიდით, დაახლოებით XVI ს. დასაწყისის ფარგლებში აღმოჩნდა და მსოფლიო რუკაზე ყურძნის მტევნის მოხაზულობა მიიღო. ამ პერიოდშივე (XX ს. 20-იანი წლები) იგი რესპუბლიკად გამოცხადდა, ხოლო გერბზე გამოსახულმა ერთთავიანმა არწივმა მტკიცედ ჩაბღუჯა კლანჭებით ნამგალისა და ურო. ავსტრიაში ერების შეერთება სამზარეულოს ქურასთან უფრო უკეთესად მოხერხდა, ვიდრე იმპერიული პოლიტიკით — ბოჰემიელმა მზარეულებმა ვენას გააცნეს „ბუხტილები" (შიგთავსიანი ღვეზელი), პოლონური ბლუდიდან განსაკუთრებული მოწონება ხვდა წილად ბატის ხორცის ნაწარმს, „გულიაში" — წიწილა წიწაკის სოუსით — უნგრელი გურმანების საყვარელი დელიკატესი იყო, ხოლო ბრინჯის კერძმა, სახელწოდებით „რეზოტა", ჩრდილოეთ იტალიიდან შემოაღწია. ცნობილი „ვენური შნიცელიც", ალბათ, ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილის გვირგვინს წარმოადგენს.

თევდორე დოსტოევსკი ნახევრად ირონიით ავსტრიას „წმინდა სასწაულების მხარეს" უწოდებდა. მართლაც: ოჯახი, სამუშაო, მეგობრები — აი, რას უფრთხილდებიან დღეს ყველაზე მეტად ავსტრიელები. ბოლო ადგილი ამ ჩამონათვალში, გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეკუთვნის... პოლიტიკას.

ვენა, თითქოს, მუსიკასთანაა შეუღლებული და მისი ქუჩებიც მუდამ რაღაც ნაღვლიან ჰანგებს აფრქვევენ — კეშანითაა სავსე შტრაუსის ვალსი, ისევე როგორც მოცარტი — ვისთვის თავბრუდამხვევი სიმსუბუქე, ვისთვის კი სევდის უფსკრული. ვენელ კომპოზიტორებს თავისი საყვარელი ქალაქის გარეშე ცხოვრება ვერც კი წარმოედგინათ. მაგალითად, თავისი 82 წლიანი სიცოცხლის მანძილზე, „დუნაის დედოფალი" — ვენა — ერთხელაც არ მიუტოვებია „სიმღერების მეფეს" — შუბერტს — დიდი ბეთჰოვენის დიდ მეგობარს. დღეს ავსტრიის დედაქალაქში მას უფრო მეტადაც კი აფასებენ, ვიდრე მოცარტსა და შტრაუსს.

ვენური ცხოვრების დაუწერელი „მარადისობის კანონი" კი ამჟამადაც ასე იკითხება: „მხოლოდ ნუ იჩქარებ, მხოლოდ ნუ აღელდები"...

# განაჩენი გამოტანილია. დაელოდეთ ამნისტიას...

ბოლო დღეებში მსოფლიოს პოლიტიკური საზოგადოების ყურადღება კორეის დედაქალაქ სეულისკენ იყო მიპყრობილი, სადაც დასრულდა ამ ქვეყნის ექსპრეზიდენტების — ჩონ დუ ხვანის და რო დე უს სასამართლო პროცესი. 26 აგვისტოს სეულის სისხლის სამართლის სასამართლომ განაჩენი გამოიტანეს: ჩონ დუ ხვანს სიკვდილით დასჯა მიესაჯა, რო დე უს კი — 22 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

თუმცა, ასეთი მკაცრი განაჩენი სულაც არ არის სენსაცია და გამონაკლისი შემთხვევა. კაცობრიობის სასამართლო პრაქტიკა ძალაუფლებადაკარგული ტირანების მიმართ არაერთ ანალოგიურ პრეცენდენტს იცნობს. აქ საინტერესოა სხვა მომენტი: სასიკვდილო განაჩენი გამოტანილია ქვეყანაში, რომელიც მსოფლიოში დემოკრატიული სახელმწიფოს რეპუტაციით სარგებლობს. თუმცა, დასავლეთის ბევრი ექსპერტის აზრით, „აღმოსავლეთის ქვეყნები", თუნდაც დემოკრატიული ორიენტაციის მქონენი, მაინც ინარჩუნებენ „აღმოსავლური დესპოტიზმის" ზოგად შტრიხებს.



სეულის სასამართლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ ჩვენ სისტემატურად განვიდით ინფორმაციას. შეგახსენებთ: ზემოთ დასახელებული განსასჯელები 1980-93 წლებში მართავდნენ სამხრეთ კორეას. პირველად ქვეყნის ისტორიაში განსასჯელის სკამზე გვერდიგვერდ აღმოჩნდა ორი ექსპრეზიდენტი, წარსულში არმიის გენერლები და, ამავე დროს, უბრალოდ, მეგობრები. მათ ბრალად წაყენებული ჰქონდათ 1979 წელს იმჟამინდელი სახელმწიფო მეთაურის პაკ ჯონ ჰის მკვლელობის შემდეგ სამხედრო გადატრიალების ორგანიზება, აგრეთვე, 1980 წელს ქალაქ კვანჯუში სტუდენტთა მანიფესტაციის სისხლში ჩახშობა. ოფიციალური მონაცემებით, ახალგაზრდა დემოკრატებთან ანგარიშსწორების დროს 200-მდე ადამიანი დაიღუპა, ზოგიერთი სხვა ინფორმაციით კი — რამდენიმე ათასი.

ორივე ყოფილი პრეზიდენტი დანაშაულებულია, აგრეთვე, ქვეყნის წამყვანი კორპორაციებისგან ქრთამის სისტემატურ აღებაში, რომლისგანაც შეიქმნა საიდუმლო ფონდი. თავად ჩონ დუ ხვანი და რო დე უ უარყოფენ ამ საკითხში საკუთარ ბრალეულობას და ამტკიცებენ, რომ იმ წლებში „ეს იყო ქვეყნის ინტერესების დაცვის ერთადერთი სწორი გზა", ხოლო მრავალრიცხოვან ქრთამს „პოლიტიკურ შენატანად" წარმოსახავენ, რომელსაც „პირადი ინტერესებისთვის" არ იყენებდნენ.

განაჩენი გამოტანილია, მაგრამ ბევრ კორეელ მიმომხილველს მიაჩნია, რომ გარკვეული დროის შემდეგ განსასჯელები დღევანდელი პრეზიდენტის — კიმ ენ სამის მიერ ამნისტირებულნი იქნებიან — საპრეზიდენტო არჩევნები კორეაში ხომ უკვე მოახლოვდა, ჩონ დუ ხვანი და რო დე უ კი ჯერაც საკმაო პოპულარობით სარგებლობენ მშობლიურ პროვინციებში. გარდა ამისა, ბევრ მოქალაქეს ისინი დღევანდელი კორეის აყვავების სიმბოლოებადაც კი მიაჩნიათ.

ასე რომ, მკაცრ განაჩენს აუცილებლად მოჰყვება ამნისტია...

„კავკასიონის"
საინფორმაციო სამსახური

# „ბილი იწყებს და..."



პირველი გვერდიდან

„ბილი იწყებს და იგებს" — ასეთი საჭადრაკო ტერმინი შეიძლება ნავუმძლვაროთ ლეიტმოტივად ჩიკაგოში „ვირების" (დემოკრატიული პარტიის სიმბოლო) შეკრებას. თუმცა, გადამწყვეტი საჭადრაკო პარტია ჩიკაგოში სულაც არ დაწყებულა — ვიდრე ყრილობის დელეგატები, ტრადიციის მიხედვით, „მიტინგობანას" აგრძელებენ, მათი ფავორიტი მატარებლით შუა დასავლეთის ხუთ შტატს „უვლის გარშემო". ასეთი ნაბიჯი პირველად პარი ტრუმენმა გადადგა — 1948 წელს მან წინასაარჩევნო ტურნეში სამოგზაუროდ სხვა ტრანსპორტს მატარებელი ამჯობინა და... ამერიკელებმა მეორე ვადით აირჩიეს პრეზიდენტად. ალბათ, იგივე იმედით, ქლინთონმა თავის სარკინიგზო „ეშელონს" „XXI საუკუნის ექსპრესი" უწოდა.

თუმცა, პრეზიდენტის დღევანდელ განწყობას, ძნელია, კაცმა ხალისიანი უწოდოს. ქლინთონმა, ალბათ, სერიოზულად განიცადა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავ C-130-ის ამასწინანდელი კატასტროფა (ამ თვითმფრინავით გადაჰქონდათ ტექნიკა, რომლითაც პრეზიდენტი ზაფხულის რვადღიანი შვებულების დროს სარგებლობდა). ამას დაერთო ისიც, რომ 19 აგვისტოს არკანზასის შტატის ყოფილ გუბერნატორს და ქლინთონის მეგობარს ჯიმ ტაკერს, ფინანსურ მაქინაციებში მონაწილეობისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს (ამერიკული კანონმდებლობის მიხედვით, 53 წლის ტაკერს 10-წლიანი სასჯელი ელოდა, მაგრამ ამერიკულმა თემიდამ მხედველობაში მიიღო განსასჯელის მძიმე ავადმყოფობა და განაჩენი „შეარბილა"). ნაფიც მსაჯულთა ვერდიქტს ელოდება ჯეიმს მაკდუგალიც — ქლინთონის ყოფილი საქმიანი პარტნიორი. მას განაჩენს საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გამოუტანენ და როგორც ვარაუდობენ, 84(!) წლით ჩასვამენ.

ასე რომ, გადამწყვეტი ბრძოლის წინ მეგობრებმა და კომპანიონებმა საკმაოდ მოუშალეს ნერვები ნახევარსაუკუნე გადაბიჯებულ პრეზიდენტს.

მიუხედავად ამისა, ქლინთონი, ზოგიერთი მიმომხილველის აზრით, საპრეზიდენტო რბოლაში დამაჯერებლად ლიდერობს და ძირითად მეტოქეს — რესპუბლიკური პარტიის „ბელადს", ბობ დოულს — პოპულარობით საკმაოდ უსწრებს. ამიტომ, როდესაც მატარებელი კვლავ ჩაიყვანს დღევანდელ პრეზიდენტს ჩიკაგოში, იგი მთელი ქვეყნის გასაგონად, ხმამაღლა ეტყვის თავის ამომრჩევლებს, რომ ამერიკა „მტკიცედ დგას ფეხზე, ის მუშაობს, ქმნის და ცხოვრობს" რომ „ისინი ერთად წავლენ სიღარიბესთან, დანაშაულობასთან, გაუნათლებლობასთან საბრძოლველად". ქლინთონი, ალბათ, არც თავის ძირითად კოზირს დაივიწყებს — ბოლო პერიოდში ხომ მნიშვნელოვნად განმტკიცდა შეერთებული შტატების, როგორც „მსოფლიო წესრიგის შემოქმედის" რეპუტაცია.

მართლაც, რესპუბლიკელები დღეს საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ — მოწინააღმდეგის ბანაკში არ შეიმჩნევა აშკარად სუსტი წერტილები. ალბათ, ამით შეიძლება აიხსნას დემოკრატთა ყრილობის გახსნის დღეს ბობ დოულის მიერ ჩიკაგოს გარეუბანში მიტინგის ჩატარება, რომელზეც „სპილოებმა" (რესპუბლიკელთა სიმბოლო), ნარკობიზნესთან არაეფექტური ბრძოლის საბაბით, „ვირების" „გადათელვა" მოინდომეს. საერთოდ კი, ერთ-ერთი პარტიის ყრილობის დროს, მეორე მისი ჩატარების ადგილიდან მოშორებით ყოფნას ამჯობინებს. ამჯერად, რესპუბლიკელებმა დაარღვიეს ეს „ხელშეუხებელი კონვენცია", რადგან გამოსავალი, თითქმის არ ჩანს: როცა შენი ქვეყნის ამომრჩევლისთვის ბევრი ვერაფერი გაქვს ახალი შესათავაზებელი, ყოველ დაპირებას პოპულიზმის ელფერი დაჰკრავს. ასეთ პირობებში რჩება ერთადერთი გზა — შეტევა უკანმოუხედავად!..

მაშ ასე, „ბილი იწყებს და..."

მოიგებს თუ არა იგი თავის „მეორე" პარტიას, ამას ნოემბრის პირველი სამშაბათის (5 ნოემბრის) შემდეგ შეგატყობინებთ.

P.S. პროგრამა CNN-ის პოლიტიკური ანალიტიკოსების ბოლო ინფორმაციით, თეთრ სახლში მოხვედრის კანდიდატთა შორის პოპულარობით ბილ ქლინთონი დამაჯერებლად ლიდერობს — ბობ დოულს იგი 12 პუნქტით უსწრებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, არჩევნები ამერიკაში დღეს რომ ჩატარებულიყო, დღევანდელი პრეზიდენტი თანამემამულეთა ხმების 50 პროცენტს მოაგროვებდა, მისი მეტოქე კი — მხოლოდ 38 პროცენტს.

# მომჩივანი მოსახლეობა და დაზარალებული სატელეფონო ქსელი

## ანუ გადაიხადეთ... რომ არ გაგითიშონ



**საბურთალოს რაიონის სატელეფონო განყოფილების უფროსის გიორგი ლეკიშვილის განმარტება, ვფიქრობთ, ნათელს მოჰფენს აბონენტებსა და სატელეფონო განყოფილებებს შორის გამწვავებულ ურთიერთობას. მოსახლეობისთვისაც ცხადი გახდება, რომ აუცილებელია სატელეფონო მომსახურების საფასურის დროული გადახდა და სატელეფონო განყოფილებაც მეტ პასუხისმგებლობას იკისრებს აბონენტის კეთილსინდისიერად მომსახურებაზე.**

### ...რიველი გვერდიდან

...ტელეფონო მომსახურების ...ლება ავტომატურად არ ... ტარიფების შეცვლა ... სამი თვით ადრე მუ... ტარიფების გაზრდა, რა ...უნდა, კარგი ცხოვრებით ...ს გამოწვეული. ეს ვკო... სირთულეებთან, კონკ... დარგის განვითარებას... დაკავშირებული. ასეთ ვი...ში პრესის, ტელევიზიის, ...ს საშუალებით მოსახლეო...ბებთ ტარიფების გაზ...შესახებ. მაგრამ იმ შემთხ... როცა მოქალაქე არაა ...ზე ან იგი ვერ გააფრთხი...ის შესახებ და ამა თუ იმ ...ის ტელეფონი გაუთიშეს, ...მოქალაქემ გათიშული ტე...ის გამო დროულად არ ...ა სატელეფონო კვანძს, ...ხდება ტელეფონის გასხვი...ვლა ადგილობრივ განყო...ას აქვს საკანონმდებლო ...ვალი, რომლის მიხედვი...ტარებს სანქციებს. ნების... მოქალაქეს აქვს საშუალება, ...ოვის ნორმატივები, რომ...საფუძველზეც აჯარიმებენ ...ასხვისებენ მის ტელეფონს. ...როცა უკანონოდ, გაუფრ...ებლად უთიშავენ ტელე... პიროვნებას, რომელიც სა... მიზეზით ქალაქში არ ...ებოდა და გადასახდელი ...დ ტარიფებს შორის სხვა...აქვს, ეს მიზანშეუწონლად ...ნა. ყოფილა შემთხვევები, ... 8 ან 40 თეთრის დავალი... გამო აბონენტისთვის ტე...ნი გაუთიშავთ. ჩემი აზრით, ... რომ 8 თეთრს არ გადაი... მას ტელეფონი არ უნდა ...ურთონ. მაგრამ საბოლოო ... ეს მცირეოდენი თანხა ...ალურ მასშტაბებს იძენს და ... გადაუხდელობა მძიმე ტვი...ანევს სატელეფონო ქსელს. ...ში სატელეფონო მომსახურება ... კიდევ მიზერული თანხა ... რაც სატელეფონო მომსა...ბა ჯდება, მოსახლეობისგან ...ანხის ერთი მეათასედი პრო...ის ამოღებაც ვერ ხერხდება ...ელმძღვანელობა მხედველობა...ღებს იმ ფაქტს, რომ მოსა...ობა ეკონომიკურ სიდუხჭირეს ...ვდის და სწორედ ამიტომაც ...ებს თავს ტარიფების კიდევ ...კიდევ გაზრდისგან, თორემ ...ა ქვეყანაში ტარიფები ბევ... უფრო მაღალია, ვიდრე ჩვე... დღეს საბონენტო გადასა... ერთ ლარს არ აღემატება. ...ერთ სადგურში მისი ღირე...ება 50 თეთრიც კია. ის ...ოდი, როცა ტელეფონი, მან... და სხვა საყოფაცხოვრებო ...ები არ იყო ფუფუნება, წა...ის ჩაბარდა. დღეს ყველაფერი ...უნებაა და თუ მისი მოპოვე... და შენარჩუნების უნარი არ ...ს, მასზე უარი უნდა თქვა. ...კავშირგაბმულობის სისტემის ...მძღვანელობა იძულებულია, ...იყენოს ის ერთადერთი მარ... ბერკეტი, რომლითაც მოსა...ობას სატელეფონო მომსახუ...ის საფასურს გადაახდევინებს. ...ცა, მოსახლეობის მიმართ მკა... სანქციები მასიურად არ ...ტარებია, თუ არ ჩავთვლით ...ეულ შემთხვევებს, რომელ... იგი მაინც იჭყლიტება. ...არსებობს შემთხვევები, რო... მოქალაქე საპატიო მიზეზით ...იმყოფებოდა ქალაქში და ამის ... ვერ უზრუნველყო დავალი...ის დაფარვა, ადგილობრივი ...ტელეფონო განყოფილების ხე...ძღვანელობამ კი მას ტელეფო... გაუთიშა და დააჯარიმა. კა...შირგაბმულობის სამინისტრომ ... აბონენტს, ყოველგვარი ჯა...ის გარეშე, ტელეფონი აღუ...ნა. მოქალაქის საპატიო მი... მაშინ დადასტურდება, თუ ... წარმოადგენს არგუმენტირე... საბუთს იმის დასამტკიცებ..., რომ სატელეფონო მომსა...რების დავალიანების გადაუხ...ლობის პერიოდში ნამდვილად ... იმყოფებოდა ქალაქში. ამის-თვის არსებობს ბილეთი, სად იყო, რამდენ ხანს იყო.

იმის თქმა, რომ არსად არაფერი დარღვეულა და დღეს კავშირგაბმულობის სისტემაში ყველაფერი ხუთიანზეა მოგვარებული, ცოტა არ იყოს, გამიჭირდებოდა, იმიტომ რომ, ისევე, როგორც სხვა დარგებში, კავშირგაბმულობაშიც ათასგვარი ადამიანები მუშაობენ და დამრღვევებიც, რა თქმა უნდა, იქნება.

შემიძლია, დაბეჯითებით გითხრათ, რომ მათ, ვისაც წინასწარ გადახდილი ჰქონდა და შემდეგ საპატიო მიზეზით ვერ მოახერხა დავალიანების დაფარვა, შეიძლება ტელეფონი გაუთიშონ, მაგრამ ტელეფონს არავინ მოუხსნის და არავინ გაუყიდის. ამის უფლება არავის აქვს და თუ ერთეული ასეთი დარღვევები ხდება, კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა მათ მიმართ ზომებს უთუოდ მიიღებს.

მოსახლეობიდან და წარმოება-დაწესებულებებიდან კოლოსალური თანხებია ამოსაღები. სწორედ ამიტომაც მიმართავენ ჩვენი მუშაკები უმკაცრეს ზომებს. დღეს რომ ეს თანხები გვქონდეს, გაცილებით უკეთ მოვემსახურებოდით აბონენტებს, აღვადგენდით სატელეფონო კავშირებს.

როცა წარმოებებს ტელეფონებს უთიშავენ, მათი ხელმძღვანელები წარმოების მუშაობის შეფერხებაში გვდებენ ბრალს. ეს კი ნაკლებად აწუხებს კავშირგაბმულობის სისტემას, ვინაიდან, იმის გამო, რომ საწარმო ფეხზე დადგეს, მან არ უნდა დააზარალოს მეორე უწყება, ამ შემთხვევაში — კავშირგაბმულობის სამინისტრო.

მოსახლეობაში და ორგანიზაციებში მოუწესრიგებელია აღრიცხვისა და კონტროლის მექანიზმი. კანონი არავის ავალდებულებს, გადაიხადოს სატელეფონო მომსახურების საფასური იმ პერიოდში, როცა ელექტროენერგიის დეფიციტის თუ სხვადასხვა დაზიანების გამო ტელეფონს არ უმუშავია. პირიქით, სისტემის ხელმძღვანელობა სთხოვს კიდეც მოსახლეობას, კეთილი ინებოს და დააფიქსიროს ის თარიღი, როცა მისი ტელეფონი არ მუშაობდა. ადგილობრივ სატელეფონო განყოფილებებში შემოღებულია სპეციალური წიგნი, სადაც ეს მონაცემები ჩაიწერება. ნებისმიერ მოქალაქეს აქვს სრული უფლება, იმ პერიოდში, როცა მისი ტელეფონი არ მუშაობდა, არ გადაიხადოს საბონენტო გადასახადი. ამისთვის კი, მას არავინ გაუთიშავს ტელეფონს. კონტროლის ქვეშ ცხოვრობს მთელი კაპიტალისტური სამყარო და, ბოლოს და ბოლოს, უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ჩვენი მდგომარეობა ჩვენვე ვაკონტროლოთ.

მოძველებული, არაელექტრონული სადგურები კარგა ხანია ჩაბარდნენ ისტორიას. ტენდერში გამარჯვებულმა ერთ-ერთმა ავტორიტეტულმა ფირმამ დააფინანსა ამ სადგურების შეცვლის ღონისძიებები. ატესების: 31, 36, 51 რეკონსტრუქცია დღეს პირველი რიგის ამოცანაა. ალბათ, ექვს თვეში ეს საკითხი განხორციელდება თუ, რა თქმა უნდა, რაიმემ ხელი არ შეგვიშალა.

### როგორ უნდა მოიქცეს მოქალაქე სატელეფონო მომსახურების ტარიფის გაზრდის შემთხვევაში

ბოლოს სატელეფონო მომსახურების ტარიფი აპრილში გაიზარდა. დეკადური ტიპის ატესების:31,36-ის მომსახურება 40-დან 70 თეთრამდე გაიზარდა, ხოლო კოორდინატული ტიპის ატესების: 30, 37, 38, 39 — 50-დან 80 თეთრამდე. ისეთი შემთხვევები, როცა მოქალაქემ წინასწარ გადაიხადა მომსახურების საფასური, შემდეგ კი, მისი ქალაქში არყოფნის პერიოდში ტარიფმა მოიმატა და დავალიანების გამო აბონენტს ტელეფონი გაუთიშეს, ხშირი არ არის. გიორგი ლეკიშვილის თქმით, მსგავსი ფაქტები ნამდვილად ყოფილა, თუმცა, სატელეფონო განყოფილებას ასეთი აბონენტებისთვის ტელეფონი აღუდგენია.

ზედმეტი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, თუკი პიროვნება ერთი, ორი ან მეტი წლით გადის ქალაქიდან, მოქმედი კანონის თანახმად, მან ადგილობრივ სატელეფონო განყოფილებაში უნდა შეიტანოს განცხადება, რომელშიც იგი მიუთითებს ქალაქიდან გასვლის პერიოდს. ამასთანავე, აბონენტმა წინასწარ, ამ პერიოდისთვის არსებული ტარიფით უნდა გადაიხადოს განცხადებაში აღნიშნული პერიოდის სატელეფონო მომსახურების საფასური. ამ პროცედურის შემდეგ, აბონენტის სურვილისამებრ, ტელეფონი ან იმუშავებს, ან გაითიშება, ოღონდ არ გაიცემა სხვაზე. იმ შემთხვევაში, თუკი მოქალაქის არყოფნის პერიოდში მომსახურების საფასური გაიზარდა, მისი საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების შემდეგ თანხა გადაანგარიშდება და აბონენტი, ახალი ტარიფის შესაბამისად დაფარავს დავალიანებას.

როგორც გიორგი ლეკიშვილმა განმარტა, ტარიფების მომატება გამოწვეულია იმით, რომ საბონენტო მომსახურება გაცილებით უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე დღეს საბონენტო მომსახურების საფასურია. შეიძლება ითქვას, რომ ეს სიმბოლური გადასახადია.

### რა შემთხვევაში ეთიშება ან ეხსნება აბონენტს ტელეფონი

მიმდინარე თვის 25 რიცხვამდე გადაუხდელობის შემთხვევაში ტელეფონი ითიშება და მისი ხელახალი ჩართვის ღირებულება ერთი ლარია;

გათიშვიდან ერთი თვის განმავლობაში გადაუხდელობის შემთხვევაში ტელეფონის აღდგენისთვის ჯარიმა ღირს 5 ლარი;

ტელეფონის მოხსნიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ აბონენტი იხდის ტელეფონის ხელახალი დადგმის ღირებულებას. 30, 37, 38, 39 კოორდინატული ტიპის ატესებისთვის ხელახალი დადგმის ღირებულებაა 65 ლარი, ხოლო 31, 36 დეკადური ატესებისთვის — 32 ლარი.

თუკი მოქალაქემ კვარტლის ბოლომდე ვერ მოახერხა დავალიანების, ჯარიმის და ტელეფონის ხელახალი დადგმის ღირებულების გადახდა, სატელეფონო განყოფილება უფლებამოსილია, მისი ტელეფონი სხვა აბონენტს გადასცეს.

### ურჩ გადამხდელთა წყალობით ზარალდება შპს საქართველოს ელექტროკავშირი

გადაუხდელობის გამო, ორგანიზაციების, დაახლოებით ერთ მესამედს თუ შემორჩა ტელეფონები. შპს საქართველოს ელექტროკავშირის დებიტორები არიან როგორც პატარ-პატარა კერძო ფირმები, ისე სახელმწიფო დაწესებულებები. მიმდინარე წელს საბურთალოს სატელეფონო განყოფილებამ ორგანიზაციებთან გააფორმა ხელშეკრულებები, რომლის თანახმადაც, აბონენტი ვალდებულია, მომდევნო კვარტლის დაწყებამდე ათი დღით ადრე გადაიხადოს საბონენტო მომსახურების გადასახადი. ხშირად თავად სატელეფონო განყოფილება არღვევს ხელშეკრულებას და იძულებულია, შეღავათები გაუწიოს იმ სახელმწიფო ორგანიზაციებს, რომლებიც დროულად ვერ ახერხებენ მომსახურების საფასურის გადახდას. ასეთ ვითარებაში თავად ადგილობრივი სატელეფონო განყოფილება ზარალდება. შემოწმებისას, იმის გამო, რომ ორგანიზაციებში ოფიციალურად მოუხსნელი ტელეფონების მომსახურების საფასური სატელეფონო განყოფილებას ერიცხება, საგადასახადო ინსპექცია, სწორედ, მასვე ადებს საჯარიმო სანქციებს. შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე კი გამოდის, რომ სატელეფონო განყოფილება ბიუჯეტს თანხებს უმალავს. ამიტომაც, საბურთალოს სატელეფონო განყოფილება იძულებული გახდა, გადაუხდელობის გამო, რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოსთვის 70 ტელეფონიდან მხოლოდ ერთი დაეტოვებინა.

### როცა ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ტელეფონები არ მუშაობს...

მაშინ კავშირგაბმულობის და ფოსტის სამინისტროს ბრძანებით, ცალკეულ სატელეფონო განყოფილებაში შემოღებულია სპეციალური ჟურნალი, რომელშიც ფიქსირდება დენის გათიშვის და მოსვლის დრო. იმ შემთხვევაში, თუკი 24 საათის განმავლობაში სადგურში 12 საათზე მეტ ხანს არ იყო ელექტროენერგია, აბონენტი აღარ იხდის დაფიქსირებული დღის სატელეფონო მომსახურების საფასურს. გასული წლის ნოემბერში, დეკემბერში, იანვარში, თებერვალში და მარტში განსაკუთრებით ცუდად ატესი 31 მუშაობდა. ამიტომაც, 31-ის აბონენტებმა მომსახურების საფასურის მხოლოდ ნახევარი გადაიხადეს.

გიორგი ლეკიშვილის თქმით, გადაუხდელობის შემთხვევები იმდენად ხშირია, რომ თითოეული აბონენტის გაფრთხილება ვერ ხერხდება წინასწარ, ვიდრე ტელეფონს გაუთიშავენ. ეს ძალიან შრომატევადი სამუშაოა და ცალკეული აბონენტის გაფრთხილებას სპეციალური სამსახურის შექმნა დასჭირდება.

### დაგვირეკავს თუ არა ტელეფონი ზამთარში

სადღეისოდ განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა შექმნილი 31 და 36 დეკადურ ატესებში. ტენდერში გამარჯვებულმა კორეულმა ფირმამ დააფინანსა ამ ატესების სარეკონსტრუქციო სამუშაოები. სავარაუდოდ, ახალი სადგური მომავალი წლის პირველ კვარტალში ჩაირთვება.

37,38,39 ატესების აბონენტთა გასახარად კი, საბურთალოს სატელეფონო განყოფილების უფროსმა გვითხრა, რომ ამჟამად მიმდინარეობს სამუშაოები და მოკლე ხანში ზემოხსენებული ატესები მეტროს ხაზს მიუერთდება. ასე რომ, მეტროს და ატესის მესვეურთა წყალობით, იმედია, ზამთარში ტელეფონი, მართლაც, დაგვირეკავს.

**დიანა გაბროშვილი**

# კიტოვანის, სურგულაძის და ფისიუნის პროცესზე მსჯავრდებულთა დაკითხვა დაიწყო

26 აგვისტოს სხდომის დასაწყისში თენგიზ კიტოვანმა გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ვახტანგ ქობალიას ტყუილად აბრალებენ ჟურნალისტ დავით ბოლქვაძის მკვლელობას. „დავით ბოლქვაძესთან ერთად ორი ჩემი გვარდიელი — გოგიტა ონანაშვილი და პაატა გოგელაშვილი დახვრიტეს. ამ დროს კი ვახტანგ ქობალია ბანძაში იმყოფებოდა. ჩემთვის ცნობილია მათი მკვლელის ვინაობაც, მაგრამ მას უკვე სასიკვდილო განაჩენი აქვს გამოტანილი და კონკრეტულად არ ვასახელებ მის გვარს, არ მინდა ამ ფაქტით კიდევ უფრო დავუმძიმო ბრალდებები. მე ამ განცხადებაზე პასუხს ვაგებ!“ — განაცხადა განსასჯელმა კიტოვანმა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო რამდენიმე თვეა მიმდინარეობს, მოწმეთაგან მხოლოდ მცირედი ნაწილია დაკითხული. ალბათ, ეს იყო მიზეზი იმისა, რომ განსასჯელები ოვაციებით შეხვდნენ მოწმე მურმან ადეიშვილის სასამართლო დარბაზში გამოჩენას.

„სამსახურებრივი მოვალეობის გამო (იგი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში მსახურობს) 1994 წლის 28 დეკემბრამდე აფხაზეთში ვიმყოფებოდი. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ შევიტყვე რა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ცნობილი ლაშქრობის შესახებ, ჩემი ნებით გავყევი მათ დასავლეთისკენ. მქონდა ტაბელური „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტი, სხვა პირებზე იარაღი არ შემიმჩნევია“, — განაცხადა ადეიშვილმა. მოწმის ჩვენებით ზესტაფონთან კოლონა შეაჩერეს. მიუხედავად იმისა, რომ მისი იარაღი ტაბელური იყო და ყველა საჭირო საბუთი აჩნდა, ადეიშვილს იგი მაინც ჩამოართვეს და დღემდე არ დაუბრუნებიათ. „მოგვიანებით შინაგან საქმეთა მაშინდელ მინისტრს თემურ ხაჩიშვილს მივმართე თხოვნით, დაებრუნებინა კუთვნილი იარაღი, მაგრამ ხაჩიშვილმა განმიცხადა, რომ აღნიშნული ოპერაციის დროს ჩვენს თანამშრომლებს იარაღი არ ამოუღიათო“ — დაამთავრა ჩვენების მიცემა მოწმე მურმან ადეიშვილმა. მოწმის ჩვენებით კმაყოფილმა კიტოვანმა შესძახა: „ჯიგარი ხარ, მურმან, ნუ გეშინია, ჩვენ კიდევ წავალთ აფხაზეთში!“

მოწმე ადეიშვილის დაკითხვის შემდეგ კიტოვანს ხელახლა შეახსენეს ბრალდებები: 1. კავშირგაბმულობის მინისტრისთვის — ფრიდონ ინჯიასთვის მიყენებული ფიზიკური შეურაცხყოფა; 2. უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა; 3. უკანონო იარაღის შენახვა.

სასამართლომ სიტყვა აღნიშნული ბრალდებების შესახებ განსასჯელს გადასცა.

თენგიზ კიტოვანმა უარყო წაყენებული ბრალდებები და სასამართლოს მოახსენა, რომ კავშირგაბმულობის მინისტრს მან ათხოვა გადამცემი აპარატი, ამ უკანასკნელმა კი მისი მისაკუთრება განიზრახა.

„მოთხოვნაზე, უკან დაებრუნებინა ჩემი საკუთარი გადამცემი, ინჯია ტყუილი დაპირებებით მპასუხობდა. იგი სამი თვის განმავლობაში მატყუებდა, ამის შემდეგ მივედი მასთან და კარგად ვაგინე. ხაზს ვუსვამ, მე მას მხოლოდ ვაგინე და პანღურის ამორტყმა, რასაც მაბრალებენ, სიცრუეა. სიცრუეა ისიც, თითქოს მე ინჯიას იარაღი დავადე შუბლზე. რა ისეთი ვაჟკაცი ინჯიაა, მასთან ურთიერთობის გარკვევისთვის რომ იარაღი დამჭირვებოდა“, — განუცხადა სასამართლოს თენგიზ კიტოვანმა და იქვე დასძინა, რომ თუ მას ინჯია თავის კუთვნილ გადამცემ აპარატს არ დაუბრუნებს, საფლავშიაც ჩაჰყვება მას.



უკანონო იარაღის ტარებაზე ბრალდების შესახებ კიტოვანმა განმარტა, რომ სანამ დააპატიმრებდნენ, იგი იყო ვიცეპრემიერი, გვარდიის საპატიო სარდალი, დეპუტატი და ყველა იარაღი, რომელიც მას გაჩნდა, კანონიერად იყო გაფორმებული. მისი სახლის ჩხრეკა ოჯახის წევრების დაუსწრებლად ჩატარდა, ამიტომ, განსასჯელის აზრით, გამორიცხული არ არის, ნივთმტკიცებად წარმოუდგინონ პოლიციის მიერ ბინაში „შეგდებული“ იარაღი, რაზეც კიტოვანი პასუხისმგებლობას არ აიღებს. განსასჯელი თავისად აღიარებს ყველა იარაღს, რომელიც შვილის — ნინო კიტოვანის ბინიდანაა ამოღებული. ერთ-ერთი მათგანი უშიშროების შეფს იგორ გიორგაძეს უჩუქებია, სტეჩკინის სისტემის პისტოლეტი კი — ზვიად გამსახურდიას. გარდა ამისა, ხუთი ერთეული ავტომატური იარაღი პოლიციის აკადემიას კიტოვანის დაცვისთვის გადაუცია. „იმ პერიოდში ჩემს სახლში ზურაბ სამუშია (დღეს აფხაზეთის წინააღმდეგობის კომიტეტის თავმჯდომარე) ცხოვრობდა და დანარჩენ იარაღზე მან აგოს პასუხიო“, — განაცხადა თენგიზ კიტოვანმა.

რაც შეეხება უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნას, ამის შესახებ კიტოვანმა აღნიშნა, რომ 14 იანვრისთვის იუსტიციის სამინისტროს მიერ რეგისტრაციაში გატარებული ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტი კანონიერი იყო. იუსტიციის სამინისტროს რეგისტრაცია, პარლამენტის განცხადება, რომელსაც ედუარდ შევარდნაძეც ეთანხმებოდა და ბუტროს ბუტროს ღალისადმი კიტოვანის ოფიციალური მიმართვა, რომ საქართველო დაიტოვებდა უფლებას, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის ყველა საშუალება გამოეყენებინა, განსასჯელის აზრით, აფხაზეთში ლაშქრობისთვის საკმარის სამართლებრივ ბაზას წარმოადგენდა. ამასთან, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ლიდერები ითვალისწინებდნენ იმ გარემოებასაც, რომ ჩეჩნეთ-რუსეთის ომის გამო, ჩეჩენმა ბოევიკებმა აფხაზეთი დატოვეს და ეს გაცილებით გააადვილებდა აფხაზეთის დაბრუნებას. კიტოვანის თქმით, სიტუაცია იმდენად მომგებიანი იყო, რომ სეპარატისტები ვირთხებივით გარბოდნენ აფხაზეთის სიღრმეში.

ამის შემდეგ მან სასამართლოს აფხაზეთში ლაშქრობის გეგმა წარუდგინა. დაგეგმილი იყო ერთობლივი შეტევა რამდენიმე მხრიდან — სამეგრელოდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის, სვანეთიდან სვანების და აფხაზეთიდან დევნილების შეიარაღებული ჯგუფებისა. ერთობლივი იერიშით უნდა აეღოთ ქალაქი ტყვარჩელი. შემდეგ შეერთებულ ლაშქარს საშუალება ექნებოდა ოჩამჩირის აღებისა, რაც სოხუმზე შეტევის წინაპირობას შექმნიდა. ლაშქრობისას რუსეთის სამშვიდობო ძალებთან რაიმე შეხება გამორიცხული უნდა ყოფილიყო. იარაღის და ტექნიკის შესაძენი გზები კიტოვანს მონახული ჰქონდა, დაფინანსებას ყოფილი ვიცეპრემიერი ავთანდილ მარგიანი ჰპირდებოდა (საუბარი ყოფილა 500 მილიონ რუბლზე).

განსასჯელმა ირაკლი სურგულაძემ საქმის შესახებ სასამართლოს შემდეგი მოახსენა:

„ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის შექმნის იდეა აფხაზეთის დაკარგვისთანავე გაგვიჩნდა. მის შექმნას საზოგადოებაში საკმარისი გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენ ზურგს გვიმაგრებდა პარლამენტის განცხადებაც იმის თაობაზე, რომ საქართველოს რესპუბლიკას უფლება აქვს, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად მიმართოს ყველა ქმედით ღონისძიებას.

ჩვენ ვამუშავებდით სამხედრო დოქტრინის პროექტებს, რაშიც დიდად გვეხმარებოდა ისეთი წესიერი და განათლებული ადამიანი, როგორიც ვალერი ფისიუნია“.

ი[illegible]გულაძის ჩვენების [illegible]ხმად, პასტერის ქუჩაზე გამოცხადებულ ძალო[illegible] სტრუქტურების [illegible]ელმძღვანელებს რომ გა[illegible]ადებინათ, აფხაზე[illegible] [illegible]აენ არ გაგატარებთო, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის წევრები, თურმე, არსადაც არ წავიდოდნენ და ყველაფერი უხმაუროდ დამთავრდებოდა. „ჩვენს გეგმაში სახელმწიფოსადმი არდამორჩილება არ შედიოდა“, — დააკონკრეტა ირაკლი სურგულაძემ.

ჩვენების მიცემისას, ერთ მომენტში, ირაკლი სურგულაძეს ნერვებმა უმტყუნა და მისმა საუბარმა მეტისმეტად ემოციური სახე მიიღო, რამაც საშუალება მისცა მოსამართლე იოსებ ხურციძეს, სხდომა მეორე დღისთვის გადაედო.

* * *

გუშინ სასამართლოს სხდომაზე ირაკლი სურგულაძემ გააგრძელა ჩვენების მიცემა.

სხდომის დასაწყისში განსასჯელმა მადლობა გადაუხადა მოსამართლეს ციხის მეტად საინტერესო ცხოვრების გაცნობისთვის, რაზედაც კიტოვანმა რეპლიკა ისროლა — „ციხეში მოხვედრისთვის მადლობა მოსამართლეს კი არა, მე უნდა მითხრაო“.

ირაკლი სურგულაძის აზრით, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის დაკავება უკანონო იყო, რადგან შინაური საქმეებისთვის შეიარაღებული ძალების გამოყენება იმ დროის კანონმდებლობით მხოლოდ პარლამენტის ნებართვით იყო შესაძლებელი.

პროკურორ კახა კობერიძის შეკითხვაზე, რატომ არ ჩათვალეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ფრონტის ლიდერებმა პასტერის ქუჩაზე ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელების ვიზიტი გაფრთხილებად, განსასჯელმა უპასუხა, რომ ძალოვანი სტრუქტურის ხელმძღვანელებს კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღსაკვეთად არავითარი წინასწარი ღონისძიება არ გაუტარებიათ, არც რაიმე განცხადება გაუკეთებიათ. „ჩვენ, როგორც ძველი ნაცნობები, ისე ვესაუბრებოდით ერთმანეთს და ამიტომაც იყო, რომ ყოველგვარი ეჭვის გარეშე გავაგრძელეთ მოქმედება. ძალოვანი სტრუქტურების ხელმძღვანელები თუკი მოითხოვდნენ ჩვენგან დასავლეთის მიმართულებით სვლის შეჩერებას, ჩვენ მზად ვიყავით, ფეხი არ გადაგვედგა პასტერის ქუჩიდან. მე ჩვენს ორგანიზაციაში გაერთიანებულ ახალგაზრდებს ხელისუფლების შეიარაღებულ ძალებს არ დავუპირისპირებდი“, — დასძინა ი.სურგულაძემ.

ენერგიულმა ფისიუნმა სასამართლო დარბაზში რამდენიმე რეპლიკა წამოისროლა, რაზეც პროკურორი მოსამართლეს შეეკითხა, თუ რა როლს ასრულებდა ვალერი ფისიუნი კონკრეტულად ამ სხდომაზე? ამ შეკითხვას ირაკლი სურგულაძემ რეპლიკით უპასუხა — „ფისიუნი სასამართლოზე ძალით მოყვანილის ფუნქციას ასრულებს და სასამართლო პროცესი უფრო წყნარად წარიმართება, თუ იგი სახლში წავაო“.

განსასჯელმა ირაკლი სურგულაძემ დაამთავრა ჩვენების მიცემა. მოსამართლე იოსებ ხურციძემ სასამართლო სხდომა 29 აგვისტოსთვის გადადო. ხუთშაბათს ვალერი ფისიუნის დაკითხვა დაიწყება.

**ბესიკ კურტანიძე**

## ინფორმაციები უზენაესი სასამართლოდან

1944 წელს დაბადებულ ლამარა თეთრუაშვილს მის მაზლთან გივი თეთრუაშვილთან ხშირად ჰქონდა კონფლიქტური სიტუაცია. გივი თეთრუაშვილი თავის რძალს მამა-პაპისეული სახლიდან თავისი წილის გამოყოფას სთხოვდა. ერთ-ერთი ასეთი კონფლიქტის დროს ლამარა თეთრუაშვილმა მოიმარჯვა სამზარეულოს დანა და მოსაკლავად გამოეკიდა მეორე ჯგუფის ინვალიდს, გივი თეთრუაშვილს. ამ უკანასკნელმა სცადა თავის დაღწევა, მაგრამ ლამარა თეთრუაშვილმა მას 12 ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც გივი თეთრუაშვილი ადგილზე გარდაიცვალა.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისთვის ლამარა თეთრუაშვილს მიუსაჯა 13 წლით თავისუფლების აღკვეთა საერთო რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

* * *

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ განიხილა ადრე ნასამართლევი, თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან გამოპარული ბაგრატ ვაშაყმაძის და ასევე ადრე ნასამართლევი ავთანდილ შაბიშვილის და გივი ჩუთლაშვილის საქმე.

ვაშაყმაძე, შაბიშვილი და ჩუთლაშვილი შეთანხმდნენ, ყაჩაღურად თავს დასხმოდნენ მძღოლს. ამისთვის მათ, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულებმა, დაიქირავეს გია ჩიგოგიძის ავტომანქანა და სთხოვეს წაეყვანა ისინი სოფელ გამარჯვებაში. სოფლამდე არ მისულან, ყაჩაღებმა გია ჩიგოგიძეს იარაღის მუქარით წაართვეს ბეჭედი, მაჯის საათი და ქურთუკი. შემდეგ მოსთხოვეს მანქანიდან გადასვლა. ჩიგოგიძემ წინააღმდეგობის გაწევა სცადა, მაგრამ ვაშაყმაძემ იგი სიცოცხლეს გამოასალმა და გვამი მანქანიდან გადმოაგდო.

უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიამ ჩადენილი დანაშაულისთვის ბ. ვაშაყმაძეს მიუსაჯა სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება, ა.შაბიშვილს 13 წლით, ხოლო გ.ჩუთლაშვილს კი 14 წლით თავისუფლების აღკვეთა გაძლიერებული რეჟიმის კოლონიაში მოხდით.

- უზენაესი სასამართლოს პრესსამსახური

## მეორე სპეციალობა ადამიანის მოტაცება

თბილისის მაშველთა კორპუსის ყოფილი მეთაური, 33 წლის ნუგზარ ჭელიძე დაკავებულია გამოსასყიდის მიღების მიზნით ადამიანის მოტაცების ბრალდებით. ბოლო პერიოდამდე იგი საქართველო-ბრიტანეთის ნავთობის ერთობლივ კომპანიაში მენეჯერად მუშაობდა.

ჭელიძე ინკრიმინირებულია 1993 წელს თბილისის სარეგისტრაციო-საგამოცდო განყოფილების უფროსის, ვიცე-პოლკოვნიკ თორნიკე აფაქიძის მოტაცებაში. ამავე საქმეზე გადის აგრეთვე, მაშველთა კორპუსის მეორე ყოფილი წევრი, 1949 წელს დაბადებული მალხაზ ხაჟომიაც. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ცნობით, დაკავებულებმა დანაშაული აღიარეს.

BS-PRESS

# კინოხელოვანთ ბიუროკრატების მსახურებად გადაქცევა ემუქრებათ

პირველი გვერდიდან

**— უჭირს ქვეყანას, უჭირს** ...დროს **ძლიერ ქართულ კინე**...გრაფსაც, **სწორედ ამ თემაზე** ...ბროდ **შევიკრიბეთ.**

— ...არ შეგაწუხათ ამდენმა ნუ... რას ჰქვია გვიჭირს! ვის ვაბ... დროს, რევოლუციას, ინფლა... ...უფულობას, ...ვილაც სხვებს, ... — ყველას, ...ჩვენს თავს ...იქნებ სწორედ ...თავში ...თაობაში) უნ... ...ძებოთ იმ ჩი... ...მიზეზები, რო... ...ნაბიჯ-ნა... ...მელის ქართუ... კინო? იქნებ ...უნიათობის ...ინიციატივო... ჩვენი მოუქნე... ...აზროვნების გა... ...ქმნა ამგვარი ...რება? თუ ასე ...ძელდა, გამოსავალი მართლაც ...იქნება. და ეს ემართება საქა... ...ლოში ერთ-ერთ ყველაზე მდი... ...დარგს!

**— ვითომ მდიდარს?**

— ქართველი კინემატოგრაფის... არიან უდიდე... სიმდიდრის ...ბელები (ჩვენ ამ შემთხვევაში ...ებულ ფილმებს არ ვგულისხ... ...ეს ცალკე საუბრის თემაა). ...ულ კინოს ეკუთვნის დიდძალი ...და-მოძრავი ქონება — კინოსტუ..., კინოთეატრები, კინოქსელის ...სხვა ტიპის შენობები, საამქრო... ...საწყობები, მიწის ნაკვეთები მთელი ...ბლიკის ტერიტორიაზე. ზუსტად ...კი ჩამოგითვლით, იმიტომ, რომ ...იქნა და ვერ მივიღეთ მთელი ...ბის ზუსტი სია. რამდენჯერმე კი ...თხოვეთ, მაგრამ ამაოდ; ჩვენ, ს/ს ...თული ფილმის" აქციონერებს გვი... ...ვიცოდეთ რისი აქციონერები, რისი ...ბელები ვართ. გვინდა, ვიცოდეთ ...დ, ოფიციალური სიის მიხედვით ...არა კრებებზე სხვათაშორის ნათქ... ...საერთო ლამაზი ფრაზების ფონზე. ...სია რამდენჯერმე მოვითხოვეთ, ...რამ სხვადასხვა მომიზეზებით უარი ...თქვეს: „კი არსებობს, მაგრამ ახლა ...გვაქვს". ეტყობა, ჩვენთვის არ აქვთ. ...სიის შესწავლის შემდეგ მიე... ...რიგით აქციონერებს ამოქმედე... ...საშუალება. როცა ეიცით, რა ... — გაგვიიოლდება ბრძოლა ...კოლეგებთან, დაფიქრდება კაცი ...გამოიჩენს ინიციატივას ქონების ...შევებლად, მოგების მისაღებად. ...ჩვენი სიმძლავრეების სწორად ...ყენების შემთხვევაში „ქართული ...ში" შეძლებდა, ჩვენი აზრით, წე... ...ადში 2-3 ფილმის გადაღებას. ...ების და გადაღებას და არა წლების ...ნზე წვალებას მათ დასამთავრებ... ...შესაძლებლობა კი ჩვენი კინოს ...ების აქტიურად ...ბისა არის ძა... ...დიდი — არის ...შინაგანი რეზე...

**— გამოდის, ...ენ არ ეთანხმე... იმ მოსაზრებას, ...ს/ს „ქართული ...მი" ვერ მოუვ... მთელ ქონებას ...მიტომ უმჯობე... იქნება, თუ იგი ...ყოფა უკეთეს... ...ის იმედით?**

— რა თქმა უნდა ...ვეთანხმებით. „რას ...ვერ მოუვლის?!" ...ნია, ვინ ვერ უვ... ...თავისთვის კარ... ...უვლიან. ახლა თუ ვერ უვლის, ...რომ უარი ვთქვათ ამ უზარმაზარ ...ებაზე? იმაზე, რასაც შეუძლია ...თული კინო გადაარჩინოს და ...ზე დააყენოს? მთავრობამ მოგვცა ...რასაც მოვლა უნდა და არა ...ლა-გაპარტახება და შემდეგ მის ...ადგენად თანხების ისევ მთავრო... ...გან მოთხოვნა. კინოთეატრები და ...უძრავი ქონება რომ „ქართული ...მისაა" — ეს, ის სასიხარულო ...ნაკლისია, რასაც მოვლა-პატრო... ...ჭირდება და არა გაფანტვა. ...ძლიერი ქვეყნის კინემატოგრაფი... ...ბი ბედნიერნი იქნებიან, ასეთი ...ება რომ ჰქონდეთ. ამის ანალოგი ...ფლიოში ვერ მოიძებნება. ის ...ავბრობები კი, რომლებიც ვერა... ...ით მოგვარდა „ქართულ ფილმსა" ...კინოთეატრების დირექტორებს ...ის, ქაოსი, რომელიც დღემდე

არსებობს ამ საკითხის გარშემო, მეტყველებს იმაზე, რომ „ქართული ფილმის" დირექცია უუნაროა კონკრეტულ სიტუაციაში და არ იცის, როგორ ააგოს ურთიერთობები თავისივე თანამშრომლებთან.

**— როგორც თქვენ ბრძანებთ, „უზარმაზარი" კინოქონების გადარჩენასა და ამოქმედებას განა არ შეუწყობს ხელს ქართული კინოს აქციონირება?**



— ძალზე საეჭვოა. ვის ხელში მოხვდება ჩვენი კინოს აქციები დროთა განმავლობაში? * დახურული ს/ს „ქართული ფილმის" წესდებაში კი არის თითქოს ჩადებული ამის (აქციების გაფანტვის) საწინაალმდეგო დამცავი მექანიზმი, მაგრამ რამდენად ეფექტურია იგი? რა გარანტია გვაქვს, რომ კინოსგან შორს მდგომი ან ჩვენი (სინამდვილეში კი მათი) ხალხი ერთ მშვენიერ დღეს არ განაცხადებს, რომ არის ქართული კინოს ქონების აქციების გარკვეული (შეიძლება უდიდესი) ნაწილის მფლობელი და არ მოითხოვს იმას, რაც მას, ჩვენთვის მოულოდნელად, თურმ... უკვე იურიდიულად დაუკანონებია.

ვერავითარი თვალცრემლიანი ფ...აზებით „ქართული კინოს დაღუპვის" შესახებ ამ ხალხს ვეღარ შეაჩერებ, რადგან ვერც ისინი შეჩერდებიან, ძალიანაც რომ მოინდომონ — საბაზრო ეკონომიკა არის საბაზრო ეკონომიკა — მოქმედებს მკაცრი კანონი და დაიწყება (თუ უკვე არ დაიწყო) სხვისი კაპიტალის ფარული თუ ღია დიქტატი ჩვენს კინოზე. ეს მომავლის საქმე კი არ არის, ეს ახლა უკვე ხდება. კინოხელოვნება მეორე, მესამე პლანზე გადადის და მისი ქონება, ჩვენდა სავალალოდ, მოემსახურება არა ფილმების შექმნას, არამედ სულ სხვას და სხვებს... საკმარისია ამ შემაშინებელი მომავლის საწინააღმდეგოდ ს/ს „ქართული ფილმის" წესდებაში ჩადებული დამცავი მექანიზმი? — ძალიან საეჭვოა. თუმცა, ალბათ, ვილაცა იტყვის — საკმარისიაო. ქაღალდზე შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ რეალურად სულ სხვა სურათი იკვეთება.

**— რას გულისხმობთ?**

— „ქართულ ფილმში", ძველ და ახალ სტუდიებში, კინოთეატრებში, ჩვენს საამქროებში, ნელ-ნელა შემოსვლა დაიწყეს სხვადასხვა ტიპის უცხო კომერციულმა ორგანიზაციებმა. დღევანდელი გაჭირვების დროს ეს, ერთი შეხედვით, გასაკვირი არც უნდა იყოს, რადგან კომერცია უნდა დაეხმაროს ქართულ კინოს მისი მორყეული ეკონომიკის გაუმჯობესებაში. სხვა რამ არის გასაკვირი: თვით კინომუშაკებს იმდენად ურთულდებათ და უჯანჯლდებათ „ქართულ ფილმში" რაიმე ფართის ან მიწის ტერიტორიის მიღების პროცესი, იმდენად უაზროდ დიდ საიჯარო ფასებს ადებენ მათ, რომ ჩვენებს ურჩევნიათ სხვაგან წასვლა. „ქართულმა ფილმმა" ? თთ... ვის გაუცხოება დაიწყო. რამდენი ნიჭიერი ადამიანია ჩვენს შორის, რამდენი დირექტორი ან ეკონომისტი, რომელსაც სხვებზე არანაკლებ შეუძლია საქმის გაკეთება. რამდენმა რეჟისორმა, მსახიობმა, მხატვარმა მოახერხა, ამ ბოლო დროს, კომერციისთვის გაერთვა თავი. ისინი ხომ კინოსთან შეზრდილი ხალხია. რაც უნდა მოხდეს, კინოს არ უღალატებენ და, სათანადო ხელშეწყობის შემთხვევაში, მთელ თავის ნიჭს, გამოცდილებასა და ენთუზიაზმს მოახმარენ ისევ და ისევ კინოს, მის აღორძინებას და, საბოლოო ჯამში, ბევრად მეტ შემოსავალს მისცემენ მას, ვიდრე გარედან მოსული, თუნდაც ნიჭიერი და პატიოსანი კომერსანტები. რატომ არიან იძულებულნი ჩვენი თანამშრომლები „ქართული ფილმის" გარეთ ეძებონ თავშესაფარი? რატომ გახდა იძულებული სამი საქმიანი და ენთუზიასტი კინემატოგრაფისტი (ნ.ყიფიანი, ლ.შონია, ი.ტრიპოლსკი) სადღაც სხვა ორგანიზაციას მიეკედლონ და იქ გახსნან ისეთი კინოვიდეოსტუდია, რომელიც „ქართულ ფილმს" არც აქვს და ასეთი პოლიტიკით არც არასოდეს ექნება? რატომ უნდა უჭირდეს ჩვენი კინოს ერთ-ერთ საუკეთესო სცენარისტს ე.ახვლედიანს ერთი ოთახის აღება ახალგაზრდა სცენარისტების სახელოსნოს გასახსნელად და რატომ უნდა იხდიდეს ამაში ფულს? ის კინომუშაკები კი, რომლებმაც მოახერხეს თავის დროზე სააქციო საზოგადოებაში გარკვეული ფართის აღება, ამჟამად დირექციის მხრიდან მძიმე ზეწოლას განიცდიან. მათ მუშაობას ყოველნაირად უშლიან ხელს — დირექციას მიაჩნია, რომ „შეცდა", როცა გაცა მათზე ფართი და ახლა ყოველნაირად ცდილობს მუქ ფერებში დახატოს მათი მუშაობა, ჩაახშოს მათი ინიციატივა და არ მისცეს საშუალება დამოუკიდებლად ფეხზე დადგომისა. მაგალითისთვის კინოსტუდიების „აისისა" და „ადამ და ევას" მოყვანაც იკმარებდა. სამაგიეროდ, გარედან მოსული ხალხი თანდათან ძლ...რდება, იკავებს მყარ პოზიციებს, ეუფლება ჩვენს ფართობებს, სიმძლავრეებს, მოკლედ, ჩ...ენს ქონებას. თუ ეს პროცესი დროზე არ შევაჩერეთ, სულ მალე აღმოვჩნდებით იმ მასპინძლების როლში, რ...მლებიც მდგმურებმა გადაყლაპეს. მათი გაძლიერება (და ფინანსებიც) იმატებს, ძლიერდება, ჩვენი — იკლებს და ერთ მშვენიერ (თუ არამშვენიერ) დღეს აქციებიც და პოზიციებიც აღმოჩნდება მათ ხელში და ვერავითარი დამცავი მექანიზმი ამას ვეღარ უშველის.



**— რომელი ორგანიზაციებია გარედან მოსული? რა სამართლებრივ საფუძველზე აღმოჩნდნენ ისინი თქვენთან?**

— არც ეს საკითხი ექვემდებარება ჩვენს კონტროლს. აქციონერებმა არ ვიცით, რა ორგანიზაცია შემოდის ჩვენთან, რა ხელშეკრულებით, რა პირობით, რამდენი ხნით და რა შემოსავალი შემოაქვთ რეალურად. მათ შემოსვლას ვიგებთ მხოლოდ მას შემდეგ, როცა ვდგებით ფა...ტის წინაშე. გარდუვალი რეალობაა — დიდი ხნით გაქირავებული, ფაქტობრივად, დაკარგულს ნიშნავს, რადგან გარედან შემოსული ისე ფუძნდება, რომ მას შემდგომში ვეღარ დაძრავ. დღეს კი, როდესაც არავინ არავის არაფერს ტყუილ-უბრალოდ არ აძლევს, ასეთი გაქირავება-გაცემები ჩვენში ეჭვებს იწვევს. დირექციის ბრმად ნდობა აღარ შეიძლება. ასეა სამწუხაროდ.

**— თუ მდგომარეობა მართლაც ასე საგანგაშოა, რატომ არ მოქმედებთ?**

— ვინ გითხრათ, რომ არ ვმოქმედებთ? გვაქვს ჩვენი სტუდია, რომელსაც ვამუშავებთ და გარკვეულ შედეგსაც მივაღწიეთ, მაგრამ თქვენ თუ გულისხმობთ მთლიანად ქართული კინოს მასშტაბით ამ სიტუაციის შეცვლის მცდელობას, გეტყვით, რომ ცალ-ცალკე ყველა კინომუშაკი იგივეს გრძნობს, მაგრამ ოსტატურად მოქმედებს ბიუროკრატია ("დაყავი და იბატონე") და, ჯერჯერობით, ახერხებს ჩვენი ძალების დაქსაქსვას.

**— რაიმე კონკრეტულის შეთავაზება თუ შეგიძლიათ თქვენი კოლეგებისთვის?**

— აუცილებელია, რომ ყოველნაირ კომერციულ თუ არაკომერციულ სტრუქტურაში დასაქმებულების ნახევარზე მეტს შეადგენდეს ჩვენი ხალხი, რომლებიც გააკონტროლებენ ყოველ კაპიკს, რომელიც შემოდის „ქართულ ფილმში".

**— გამოდის, რომ კინომუშაკმა პროფესია უნდა შეიცვალოს და კომერსანტი გახდეს?**

— რატომ უნდა შეიცვალოს? ერთი მეორეს ხელს არ უშლის — ასე მუშაობენ დღეს კინოსტუდიები მთელ მსოფლიოში. ძირითადი საქმე არის კინო, ხოლო სხვა საქმიანობა ეხმარება მას გაძლიერებაში. თავისთავად ეს არის მეტად რთული პროცესი და სწორედ ამიტომ არის საჭირო ამ პროცესების ფრთხილად და უნარიანად გაძღოლა. პატიოსანი და სწორი ორგანიზაციით, ვიმეორებთ, ჩვენ შევძლებდით წელიწადში 2-3 სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის გადაღებას და ნაკლებად დაგვჭირდებოდა დოტაციებისთვის მაღალ ინსტანციებში განუწყვეტლივ სირბილი.



**— გამოდის, რომ თქვენ დოტაციის წინაალმდეგი ხართ?**

— არავითარ შემთხვევაში. დოტაციის გარეშე არაფრით შეიძლება. კინო კულტურაა და კულტურა სალაროზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მთავრობამ აუცილებლად უნდა შეუკვეთოს „ქართულ ფილმს" წელიწადში 2-3 ფილმი მაინც. ეს ის ფილმები უნდა იყოს, რომლებიც ზნეობრივად აღზრდიან თაობებს. მაგრამ ეს საუბრის ცალკე თემაა. ჩვენ ვლაპარაკობთ დოტაციური ფილმების გარდა საკუთარი სახსრებით დამოუკიდებლად ფილმების გადაღებაზე ჩვენი ხალხის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენებაზე და არა მათ მთხოვნელებად ქცევასა და ბიუროკრატიის მიერ მთლიანად დამონებაზე.

**— ესე იგი, თქვენ მიგაჩნიათ, რომ „ქართული ფილმის" გადაქცევა სააქციო საზოგადოებად საქმეს ვერ უშველის?**

— თავისთავად, რა თქმა უნდა, ვერა. გააჩნია — რა პოლიტიკას ეწევა საზოგადოება და როგორ ხელმძღვანელობენ მას. საერთოდ კი, უნდა ითქვას, რომ აქციონირების სისტემა, რომელიც შ...მოგვთავაზა ბატონმა ფრომმა, თავისთავად მეტად გართულებულია. იგი მიუღებელი ჩანს ჩვენი ხალხისთვის, უცხოა მისი მენტალიტეტისთვის. ან რას ნიშნავს კინოს აქციონირება? ბევრი კინომუშაკისთვის ეს გაუგებარი და დამაბნეველია. რა დგას ამის უკან რეალურად? რეალურად და არა ქაღალდზე, არა ენაზე ბიუროკრატების მოხსენებებში.



**— რა, არ იცით, რა არის აქციონირება და ვინ არის აქციონერი?**

— რა არის აქცია, როგორ არ ვიცით, მაგრამ ვინ არიან აქციონერები — ეს რთული კითხვაა.

**— რატომ?**

— „ქართულ ფილმს" ოფიციალურად 2800 აქციონერი ჰყავს. ასეა გამოცხადებული. მაგრამ ასეა სინამდვილეში? „მკვდარი სულებით" მანიპულაციების ეჭვი უკვე გაჩნდა საზოგადობაში. უნდა შეიქმნას კომისია, რომელიც თავისი თვალით ნახავს ყოველ აქციონერს, გასინჯავს ყველა საბუთს და დაადგენს ზუსტ რაოდენობას იმ ხალხისა, რომელსაც ნამდვილად შეიძლება ეწოდოს ქართული კინოს მეპატრონე.

**— რამდენადაც ვიცით, „ქართული ფილმის" მთელი ქონების ორი მესამედის მეპატრონე ჯერ კიდევ სახელმწიფოა, კერძოდ, ქონების მართვის სამინისტრო. ცნობილია, თუ არა ამ უწყებისთვის, რა ხდება სინამდვილეში და იღებს თუ არა იგი რაიმე ზომებს?**

— შედეგებით არაფერი ჩანს. სამინისტრო ან ბრმად ენდობა დირექციას და თვალს ხუჭავს აშკარა კატასტროფაზე, ან... როგორ გგონიათ — რა ვიფიქროთ?

**— მაინც? ისეთს რას ფიქრობთ?**

— ყოველ შემთხვევაში, თავის მოტყუებას აღარ ვაპირებთ.

**— რა შეგიძლიათ თქვათ კინოწარმოებაზე? ხომ ფაქტია, რომ მიუხედავად სირთულეებისა, „ქართული ფილმი" მაინც ფუნქციონირებს? ამჟამად ხომ 20-ზე მეტ ფილმს იღებენ.**

— გასაკვირია, რატომ არ იღებენ 40 ფილმს? ან 60-ს? რას გულისხმობთ ფილმის გადაღებაში? მისი წარმოებაში ჩაშვების ბრძანებას? ქაღალდზე გაფორმებას? ეს ხომ მირაჟია. ასე მუშაობა შემოქმედებითი ჯგუფებისთვის ნამდვილი წამებაა. ჯგუფი და რეჟისორი მთლიანად დამოკიდებული ხდება დირექციაზე, რომელსაც თუ მოუნდება, მისცემს მას შუაგზამდე მისული ფილმის გაგრძელების ფულს, მოუნდება — ასეთსავე დღეში ჩავარდნილ მისსავე კოლეგას „დაეხმარება" ან სულაც ახალ ფილმს ჩაუშვებს წარმოებაში, რის შედეგადაც სტუდიის მწირი ბიუჯეტი კიდევ უფრო იქსაქსება, კიდევ უფრო არაეფექტური და არაკონტროლირებადი ხდება. რეჟისორმა არ იცის, როდის დაამთავრებს ფილმს და დაამთავრებს თუ არა საერთოდ. გარდა ამისა, ყოველი ახალი უფულო ფილმის ჩაშვებით „ქართულ ფილმში" მატულობს არაჯანსაღი დაპირისპირებები, ხელოვნურად ძლიერდება დაძაბულობა შემოქმედთა შორის — ეტყობა, ესეც გარკვეული პოლიტიკაა — ამით სულ უფრო და უფრო მეტი ხალხი ხდება დამოკიდებული დირექციაზე, რომელიც ანაწილებს ფილმებზე სამუშაო თანხებს. საკითხავია, რა პრინციპით აძლევს დირექცია თანხას ერთს და არ აძლევს მეორეს? როგორ დაამტკიცოს რეჟისორმა, რომ მისი ფილმია წარმოებაში ჩაშვების (ან გადაღების გაგრძელების) ღირსი და არა ვინმე სხვისი? ბიუროკრატია ასეთ შემთხვევაში მთელ მსოფლიოში ერთნაირად იქცევა — აკეთებს არჩევანს თავისი ძალაუფლების გასაძლიერებლად. ჩვენთანაც ასეა. ამასთან, ბიუროკრატებმა კარგად იციან — როგორ, სად და რა თქვან, როგორი ანგარიშები წარუდგინონ საზოგადოებას, როგორ წარმოაჩინონ საქმის ვითარება თავის სასარგებლოდ.

**— მძიმე სურათს ხატავთ. ხომ არ აზვიადებთ?**

— მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმეა, ვიდრე გარედან ჩანს. ის, რაც ამჟამად ხდება, ეს არის დეგრადაციის, შიგნიდან გამოლპობის პროცესი. „ქართულ ფილმში" წლების განმავლობაში აღარ მოდიან (ან საერთოდ გარბიან) საუკეთესო მუშაკები: ოპერატორები, მხატვრები, გრიმიორები, მემონტაჟეები თუ გამნათებლები. აღარ ჩერდებიან 20-24 ლარზე. მაგრამ რატომ უნდა ეძებდეს ბუნებით ნიჭიერი კაცი ოჯახის სარჩოს სხვაგან? დღეს ის სტუდიიდან მიდის და ვერც გაამტყუნებ. იკარგება მთელი რიგი უნიკალური კინოპროფესიებისა, რომლებსაც ან ვეღარ აღვადგენთ, ან დიდი დრო და თანხები იქნება საჭირო საამისოდ. ნახეთ, რა დღეშია ჩვენი



გაგრძელება მე-10 გვერდზე



# სიტყვა-ყველას




## იქნებ მეც გავდემოკრატდე...

ვიცი, ახლა რასაც ვიტყვი, ან არ დამიბეჭდავთ, ან ლანძღვას დამიწყებთ, სტალინისტია, კომუნისტიაო. არა ვარ სტალინისტი, არც პარტიის წევრი ვყოფილვარ ოდესმე. ამჟამად პენსიონერი ვარ, ცხრა ლარს ვიღებ და რომ არა შვილები, ალბათ, დიდი ხნის მკვდარი ვიქნებოდი. ყოველთვის მომჭირნედ ვცხოვრობდი, გაჭირვებით ძნელია ჩემი გაკვირვება, მაგრამ ცხრა ლარით შეუძლებელია ადამიანმა გაძლოს, ერთიორი თვე კიდევ შეიძლება, მაგრამ მეტს ვერა. ამას წინათ ტელევიზორში მინისტრები ლაპარაკობდნენ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ცხოვრების მათ არაფერი გაეგებათ და ქვეყანასაც ამიტომ უჭირს. კარგი ბატონო, პენსიონერს ცხრა ლარი ეყოფა, მაგრამ მაშინ მინისტრს რად უნდა 200 ლარი. იმიტომ რომ კარგი კოსტუმი ჩაიცვას? კი მაგრამ, რად უნდა ჩამოხეულ ხალხს გამოპრანჭული მინისტრები. თუ კარგ ხელფასს არ მიცემენ, მოპარვას" დაიწყებენო, მეუბნებიან. ჯერ ერთი, მაღალი ხელფასის გამო მოპარვას თავს არავინ დაანებებს და მეორეც, რატომ სტალინის დროს ვერ ბედავდნენ მოპარვას? ეშინოდათ და იმიტომ. გამოდის, რომ დიქტატურის დროს მინისტრებს ეშინიათ, დემოკრატიის დროს — ხალხს. მაგრად რომ აუწიოს ყური ვინმემ ამ არამზადებს, აბა მაშინ თუ გაბედავს ვინმე მოპარვას. აბა რა თავში იხლის ხალხი დემოკრატიას? სიტყვის თავისუფლებაა, რაც გინდათ, თქვითო. მშიაო, ამბობენ და ეგ არ თქვაო. აბა ცარიელა პოლიტიკაზე თუ უნდოდათ საუბარი, მისულიყვნენ ალექსანდროვის ბაღში და ელაპარაკათ გულის წასვლამდე, უშლიდნენ კომუნისტები თუ რა? პრესის თავისუფლებას მივაღწიეთო, ამაყობენ და მეორე წუთში თვითონ მთავრობა და პარლამენტი გაჰყვირის, გვიშველეთ, დაგვაქცია და შეგვჭამა პრესამო.

დიდად არ მომწონს ეს ნაქები დემოკრატია, მარა მაინც მგონია, რომ გვატყუებენ და ეს არ უნდა იყოს დემოკრატია. როგორ დავიჯეროთ, გერმანიაში, ამერიკაში და იაპონიაში ასე იპარავენ და მაინც კარგად ცხოვრობენ. რომ აილო და დაიჭირო ის მექრთამე მამაძაღლები, ვითომ დაუშავდება რამე დემოკრატიას? ჯერ ვიძიებთ, ყოფილმა მინისტრებმა რა დააშავესო — ამასობაში შეგვჭამენ ახლები. ოჯახში და ქვეყანაში თუ შიში და პატივისცემა არ არის, წახდება ყველაფერი. ადრე ჭე მაინც ერთი რაიკომის მდივანი იპარავდა და დანარჩენებსაც გვრჩებოდა რაღაცა, ახლა ქვეყანა გაპოლიტიკოსდა და მაგათ რამე გადაურჩებათ შეუჭმელი? ხუთი წლის წინ რომ თავს იკლავდნენ, საქართველო გვიყვარსო, ახლა ყველას ტელევიზორში ვხედავ, კარგად აცვიათ და კანში არ ეტევიან. რა, ჭუჩაში რომ დალასლასებენ, ისინი არ არიან საქართველო, რატომ არ უყვართ? იტყვი რამეს და შეუგნებელი ხარ, სტალინისტი ხარ! რუსთაველის საქართველოო... თვითონ ხომ არიან შეგნებულები, სულ „ვეფხისტყაოსნის" კითხვით უსკდებათ თავი. არ გინდათ სტალინი, ნუ გინდათ, დავით აღმაშენებელი ხომ გინდათ? რა ქნა მერე იმ დალოცვილმა, ადგა და თავგასული ფეოდალები ზოგი ციხეში ჩაყარა, ზოგს თავი წააჭრა.

მე ჩემი ცხოვრება გავლიე, მაგრამ ახალგაზრდობამ რომ სწორედ გაიაროს, ის მინდა, იმიტომ ვწერ, თორემ მე რომ კარგს ველარ მოვესწრები, მაგდენს კი ვხვდები. ჰოდა, თუ სიტყვის თავისუფლებაა და დემოკრატები ხართ, დამიბეჭდეთ ეს წერილი და არ მიმიწეროთ ქვეშ, რომ იცით ხოლმე ისე — ლანძღვა, გინება. ხომ აიკელით ქვეყანა, არც ჭამო, არც ჩაიცვა, არც დაისვენო, მარტო ლაპარაკის უფლება გაქვსო და მათქმევინეთ ერთი სიტყვა ჩემს გემოზე, იქნებ მეც გავდემოკრატდე.

გერონტი ურუშაძე

* * *

ბევრს წერენ და საუბრობენ იმაზე, რომ თბილისში მომრავლდნენ ვირთხები, ქალაქი ერთ დიდ ნაგავსაყრელად იქცა. ანტისანიტარია საფრთხეს უქმნის ქალაქის მცხოვრებთა ჯანმრთელობას. განსაკუთრებით კი ეპიდემიის გაჩენას ზაფხულის ხვატმა შეიძლება შეუწყოს ხელი. ასეთ დროს კიდევ ერთი პრობლემა — წყლის მიწოდების შეწყვეტა — ცეცხლზე ნავთის დასხმის ტოლფასია. გასაგებია, რომ ავარიულ მდგომარეობას ანგარიში უნდა გავუწიოთ, მაგრამ ზაფხულში უწყლობა ძალიან ძნელი ასატანია, უფრო ძნელი, ალბათ, ვიდრე ზამთარში უშუქობა. წყალი, გარდა იმისა, რომ სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, ჰიგიენის დაცვის აუცილებელ საშუალებასაც წარმოადგენს. გასულ წლებთან შედარებით, გასაგები მიზეზების გამო, ქალაქიდან ვერ გადის მოსახლეობის ძირითადი ნაწილი. ამდენად, ისედაც ნაგვის ბუდედ ქცეულ დედაქალაქში ამდენი დაუბანელი ადამიანის ატანა უკვე გაუსაძლისია. იქნებ მოიძებნოს საშუალებები, რომ წყალი მთელი დღის განმავლობაში არ შეუწყდეს ხალხს და მძიმე ეპიდემიურ მდგომარეობის თავიდან ასაცილებლად წინასწარ ჩატარდეს პროფილაქტიკური სამუშაოები?

ლამარა ჩხეტიანი

* * *

ნუცუბიძის ფერდობის V მ/რ-ში აღარც წყალი გვაქვს და აღარც სინათლე. ალბათ, წყლის რეზერვუარების დაცლას ერიდებიან, ზამთრისთვის ინახავენო — ამბობს ხალხი. კი მაგრამ, ჩვენი მიკრორაიონის ხარჯზეო? — ესეც აინტერესებს ხალხს.

ნ.ტ.

* * *

ვარ სოხუმიდან ლტოლვილი. დროებით ვცხოვრობ ბაღში ახმეტელის თეატრთან. მეუღლე ელექტროდეპოში მუშაობს და თვეში 25 ლარს იღებს. ორი ქალიშვილი მყავს — 19 და 14 წლის. შვილიშვილი 1 წლისაა. არაფრის საშუალება არ გამაჩნია. გთხოვთ, დამეხმაროთ.

ნატრული ხარჩილაძე

* * *

ძვირფასო რედაქცია! მინდა, ორიოდე სიტყვით ჩემი შეშფოთება გაგიზიაროთ ვაგზლის ბაზრობასთან დაკავშირებით. აქ ფეხის დასადგმელი ადგილი აღარ დარჩა: ხსედან ბაზარში ვაჭრობისთვის შეუფერებელი პირები — მასწავლებლები, ინჟინრები, ეკონომისტები, ლექტორები, ექიმები, წარმოების ყოფილი დირექტორები. ყველანი მათხოვრებად ვიქეცით. გვენატრება კარგად ნაკვები შვილები. არადა, აქვე, ბაზრობაზე თვალს გვიჭრელებს მოლამაზებული ვიტრინები. რაც თვალს არასოდეს უნახავს, აქ უხვადაა ყველაფერი. ხალხი კი დაიღალა, სინამდვილეში — ვერც ვერაფერს ვყიდით და ვერც ვყიდულობთ. ნეტავ, რამე გვეშველება? ვიქონიოთ იმედი თუ გავაგრძელოთ ისევ ასეთი ცხოვრება?

ნანა მაჭარაშვილი

# დამოკლეს მახვი



ერთი წლის წინ, 29 აგვისტოს განხორციელდა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველო განვითარების იმ სტადიაშია, როცა ერთ აფეთქებას რადიკალურად შეუძლია ვითარების შეცვლა. ტერორისტული აქტი რომ წარმატებით განხორციელებულიყო, ძალაუფლება მწიფე ვაშლივით ჩაუვარდებოდათ ხელში ორგანიზატორებს. თუ გავითვალისწინებთ, როგორი დაუოკებელი მიზანსწრაფულობით ელტვიან საქართველოში ხელისუფლებას, მოულოდნელი არ იყო ამგვარი აქცია. ჩიტი ბრდღვნად ღირდა. მხოლოდ ანგარიშში არჩასაგდებ შემთხვევას შეეძლო მეამბოხეთა გეგმის ჩაშლა. გათამაშდა სწორედ ეს — ათასიდან ერთი ვარიანტი, სახელმწიფოს მეთაური წკიპზე გადარჩა, წკიპზე გადარჩა ქვეყანა. ტერორისტული აქტისგან არც ერთი ქვეყნის მეთაური არ არის დაზღვეული, მუდმივად საფრთხის ქვეშ ყოფნა პირველ პირთა მძიმე ხვედრია. ტერორი ტრაგედიაა, მაგრამ როცა ერთი აფეთქებით ქვეყნის განვითარების მაგისტრალური ხაზის შეცვლაა შესაძლებელი, ეს სამოქალაქო უბედურებაა და ნიშნავს, რომ სახელმწიფოებრიობის მყიფე შენობა შეიძლება ნებისმიერ წუთს ჩამოგვემსხვრეს თავზე.



ბევრი რამ შეიცვალა ერთი წლის მანძილზე, მაგრამ თუ კარგად დავუკვირდებით, ქვეყნის ბედი ისევ წკიპზე ჰკიდია. დაკავებულნი არიან, ვისაც ბრალი ედებათ უშუალოდ ტერაქტის მომზადებასა და შესრულებაში, ე.ი. პაიკები, მაგრამ არაფერი ისმის გადატრიალების ორგანიზატორთა შესახებ. არის მხოლოდ მინიშნებები, რომ ამგვარი ჯგუფი არსებობდა — ფრთხილი, არაფრისმთქმელი მინიშნებები. არადა, სახელმწიფოს საფრთხეს სწორედ ეს ჯგუფი უქმნიდა და არ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ისინი „გამოსწორდნენ" და ფარ-ხმალი დაყარეს.

რასაკვირველია, ბავშვიც არ დაიჯერებს, რომ რუსეთის მხარე იგორ გიორგაძეს ცოცხალს გადმოსცემს საქართველოს. ცხადია, რომ ეს არავითარ შემთხვევაში არ მოხდება და ამ მხრივ ქართული მხარის მცდელობები უკმაყოფილების დიპლომატიურად გამოხატვის ფარგლებს ვერ სცდება. ამას ძალიან უბრალო მიზეზი უდევს საფუძვლად. არც ერთი ქვეყნის სპეცსამსახური ხვას არ გადასცემს თავის აგენტს, ამის პრეცედენტი ძნელი მოსაძებნია. გარდა ამისა, თვით საქართველოშიც ყველა როდი უნდა იყოს დაინტერესებული უშიშროების სამსახურის ყოფილი შეფის „სამშობლოში" დაბრუნებით. გიორგაძე იქცა ერთგვარ დირიჟორის ჯოხად, რომე-

# ...ცეული საიდუმლო

თუმცა, ცხადი იყო ყველაფერი. სანამ მან ქვეყანა არ დატოვა, მისი დაპატიმრების ვერ გაიცა. თუ ერთი წლის წინანდელ მოვლენებს გადავხედავთ, ნათელი გახდება, რომ იმ ეტაპზე მთავარ ამოცანად უშიშროების შეფის საქართველოდან განდევნა ჩანდა. ეს იყო მტაცებლის დაფრთხობის და არა შეპყრობის მცდელობა. თვითონ გიორგაძეც მხოლოდ მას შემდეგ გაერიდა ქვეყანას, როცა დარწმუნდა, რომ ამ ეტაპზე ბრძოლა წაგებული ჰქონდა და, ფაქტობრივად, ამჟამად იგივე როლს ასრულებს, რასაც თავის დროზე შაჰის კარზე ასრულებდნენ გამუსულმანებული ქართველი უფლისწულები — ხელსაყრელ დროს უცდის.

არ შეიძლება იმით თავის დამშვიდება, რომ დღეს საზოგადოებრივი აზრი მის საწინააღმდეგოდ არის მიმართული. საკმაო გამოცდილება არსებობს საიმისოდ, როგორ რადიკალურად შეიძლება იგივე საზოგადოებრივი აზრის შემოტრიალება, თუ შესაბამისი ბერკეტები არსებობს. სავარაუდოა, რომ ასევე სერიოზულ ძალას წარმოადგენს და თავის დროს უცდის „გიორგაძის პარტიაც“. სახელმწიფო გადატრიალებათა ისტორიიდან ცნობილია, რომ ორგანიზატორები, აუცილებლად თადარიგს იჭერენ და გულდასმით გეგმავენ, რათა მათი აქცია გამაგრებული იყოს ძალით, ფულით, გარედან პოლიტიკური მხარდაჭერით, სამართლებრივად, იდეოლოგიურად და საზოგადოებრივი აზრით. ყველაფერ ამის უკან კონკრეტული ადამიანები დგანან და მათ ვინაობას ორ საათში შევიტყობდით, აფეთქება ერთი-ორი წამით ადრე რომ მომხდარიყო. ამჟამად კი ამ საიდუმლოს თეორიული მსჯელობის საბურველი ფარავს.

29 აგვისტოს ტერორისტული აქტი განხორციელდა არა მხოლოდ სახელმწიფო პირის, არამედ მთლიანად სახელმწიფოს მიმართ.



არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ მკვიდრდება სახელმწიფოდ მსოფლიოს ცის ქვეშ, ამის დასტურია იგივე კონსტიტუცია, ეროვნული ფული, ან თუნდაც წარუმატებელი, მაგრამ მაინც დამოუკიდებელ გუნდად გამოსვლა სპორტულ ასპარეზზე, მაგრამ არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ საფრთხე, ისევე როგორც ერთი წლის წინ, ახლაც დამოკლეს მახვილივით ჰკიდია საქართველოს თავზე. არა აქვს მნიშვნელობა, დღეს რას ვუწოდებთ ქვეყნის შიგნით განფენილ სიმსივნეს, მეხუთე კოლონას, მოღალატეებს, თუ აგენტებს, მთავარი ისაა, რომ ყოფილი შეთქმულები „ყურებით უჭირავთ“, საჭიროების შემთხვევაში აამოქმედებენ და პირველივე გაუფრთხილებელი ნაბიჯის შემთხვევაში, სწორედ ისინი მოგვევლინებიან ერის მამებად და წინამძღოლებად.



ერთი წელიწადი გავიდა ტერორისტული აქტიდან, მაგრამ საზოგადოებამ თითქმის იმდენივე იცის მისი ჭეშმარიტი არსის შესახებ, რამდენიც შარშან 28 აგვისტოს, როცა აფეთქება ჯერ არ იყო მომხდარი. ეს ნიშნავს, რომ მსგავსი მოვლენების წარმომშობი პირობები ჯერ ისევ არსებობს. 29 აგვისტოს ტერაქტის შესრულებაში ბრალდებულნი ციხეში სხედან, ორგანიზატორები თავისუფლად არიან. ფაქტობრივად, ვსჯით თოფს და დაუსჯელი რჩება ის, ვინც ტყვია ჩადო და ჩახმახს გამოჰკრა. ახალი თოფის შოვნა კი არც ისე ძნელია გაძვალტყავებულ და მშიერ ქვეყანაში.

# სიტყვა-ყველას

კავკასიონი

## ცოტაც და... ბინებში ვირთხები ჩაგვისახლდებიან

მე-8 ლეგიონის ტერიტორიაზე (ა.წულუკიძის ქუჩა) საერთოდ არ არსებობს ნაგვის ბუნკერი. ხან სად იყრება ნაგავი და ხან სად. რამდენჯერ მივმართეთ თხოვნით ხახლმმართველობას, მაგრამ ჩვენი გასაჭირი ყურად არავინ იღო. ხშირია შემთხვევა, როდესაც ნაგავს ყრიან ხამგორის ქუჩის ტერიტორიაზე და რატომღაც იქაურ მცხოვრებლებს ეს ნაგავი ამოაქვთ წულუკიძის ქ.22-ში და პირდაპირ ფანჯრის წინ გვიყრიან, რის შედეგადაც გაჩნდნენ ვირთხები, რომლებიც ცოტაც და... სახლებში ჩაგვისახლდებიან.

წულუკიძის ქ. 22 სახლის მცხოვრებლები

■ ვყიდი ოთხმოცი მილიმეტრის დიამეტრის თერთმეტმეტრიან რკინის მილებს, აგრეთვე 6-მეტრიან ტესებურ რკინებს საბაზროზე ნაკლებ ფასში. ტელ.: 37-48-14.

■ ვყიდი წიგნის ჩეხურ თაროებს 6 ცალი, ახალს, შეფუთულს. თითოეულის ფასი 35 ლარია. ასევე ჩეხურ მეტლახის ფილას, 20 კვ.მ. 1 კვ.მ. ფასი 10 ლარი. ჩეხური სალათისფერ უნიტაზს — 180 ლარი. ტელ.: 36-46-47, 23-41-02.

■ ვყიდი პურის საცხობ საამქროს თამარ მეფის № 13-ში. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 96-12-78.

■ ვყიდი მწვანე ფერის ნივას (10 წლის, კარგ მდგომარეობაში), ფასი 2300 დოლარი; ორლულიან თოფს (საბჭოთა წარმოების) — 103 34-12, ფასი 400 დოლარი. ტელ.: 36-71-52.

■ ვყიდი უჟანგავ ფოლადის ერთი ტონის ტევადობის რეზერვუარს. ფასი 500 ლარი; ორი ტონის ტევადობის ფასი 600 ლარი; გამსახურდიას ტიპის შეიდაზიანი ლუმელი, ორი ქვაბით, საზელი და სხვა მოწყობილობები. ფასი 3500 ლარი. ტელ.: 71-52-96, სერგო.

■ ფასი ერთი მეტრი — 80 თეთრი, რკინის 11-მეტრიანი მილები 80 მმ. დიამეტრის, ფასი ერთი მეტრის 4 ლარი; ტელ.: 37-48-146 17 საათის შემდეგ.

■ ვყიდი წიგნის ჩეხურ თაროებს შეფუთულ მდგომარეობაში (8 ცალი). ერთი თაროს ფასი 30 ლარი. ტელ.: 98-58-65 (ნუნუ).

■ ვყიდი კარავს 6 კაცზე. ძალიან იაფად. ტელ.: 23-32-26.

■ ვამზადებ გერმანულში. ტელ.: 98-45-53.

■ ვყიდი სხვადასხვა ჯიშის დახერხილ ხის მასალას. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 36-48-25 (დღე), 37-04-06 (საღამო), იკითხეთ სოსო.

■ ვყიდი გერმანულ ორლულიან (ვერტიკალურ) სანადირო თოფს გამოშვებულია „ზულერის“ ქარხანაში. კარგ მდგომარეობაში. მოხატული, რეგისტრირებული, გილზების ამომგდები ეჟექტორით. ფასი 1800 დოლარი. შეიძლება გაცვლა ნახმარ ნორმალურ მდგომარეობაში მყოფ „ჟიგულში“. ტელ.: 23-19-62 (დილის 8-დან 11 სთ-მდე).

■ მოვამზადებ ქართულ ენასა და ლიტერატურაში სკოლის მოსწავლეებს და აბიტურიენტებს უმაღლეს დონეზე. ტელ.: 98-24-09, დარეკეთ საღამოს საათებში, იკითხეთ მარინა.

■ ვყიდი ხელის საკერავ მანქანას „ზინგერი“. ფასი შეთანხმებით. ტელ.: 39-72-75.

■ ვყიდი ძველებურ კაკლის ხის „დხო“-ს. ფასი 1500 ლარი. ტელ.: 95-19-68.

■ ვყიდი წიფელის ДС-სგან დამზადებულ მასიურ კამოდს — ანტრესოლი (ლოგინის ჩასაწყობი და ა.შ.) ზომა 2მX1 მ (სიმაღლე)X55 სმ (სიგრძე). ფასი 300 ლარი, სეკრეტერი (დასახური საწერი მაგიდა თაროებით). ფასი 300 ლარი. და საკერავი მანქანა „ზინგერი“. ფასი 140 ლარი. ტელ.: 36-10-52, 98-39-46.

■ ვყიდი ჩეხურ ბროლის 16-სანთლიან ჭაღს. ფასი 1300 ლარი; ბრინჯაოს ოთხპლაფონიან ჭაღს და ბრინჯაოს ორპლაფონიან ბრას. ორივეს ფასი ერთად 500 ლარი. ტელ.: 95-24-68 (თამრიკო).

■ ვყიდი საჭსოვ მანქანას „ნევა-7“, ფასი 200 ლარი. ტელ.: 95-31-74.

■ ვყიდი გერმანულ პიანინოს „რონიში“. ახალი, ფასი 1000 ლარი; გერმანულ სამზარეულოს, ნახმარს, კარგ მდგომარეობაში. რვა ნაჭერი. ფასი 350 ლარი; ავტომანქანაზე დასამონტაჟებელ კარავს, ფასი 250 ლარი; ანტიკვარულ ჩიბუხს, ფასი 60 ლარი. ტელ.: 62-33-08, იკითხეთ დათო.

# უცხოეთის ფეხბურთის ქრონიკა

ინგლისი, პრემიერლიგა, მე-3 ტური: „ასტონ ვილა" — „დერბი ქაუნთი" 2:0, „ჩელსი" — „ქოვენთრი" 2:0 (პრემიერლიგაში თავისი პირველი გოლი გაიტანა ჯანლუკა ვიალიმ), „ლესტერი" — „არსენალი" 0:2, „ლივერპული" — „სანდერლენდი" 0:0, „ნიუკასლი" — „შეფილდ უენსდეი" 1:2 (მირერმა პენალტით ანგარიში გახსნა, მაგრამ „ნიუკასლმა" კვლავ წააგო. „შეფილდი" ჯერჯერობით უდანაკარგოდ ასპარეზობს), „ნოტინგემი" — „მიდლსბრო" 1:1, „ტოტენჰემი" — „ევერტონი" 0:0, „ვესტჰემი" — „საუთჰემპტონი" 1:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „ბლექბერნი" 2:2 (ჩემპიონმა ზედიზედ მეორედ ვერ მოიგო საკუთარ მოედანზე), „ლიდსი" — „უიმბლდონი" 1:0.



ფერგიუსონი უკმაყოფილოა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შეფილდი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ჩელსი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ასტონ ვილა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| არსენალი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| მ. იუნაიტედი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| სანდერლენდი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:1 | 5 |
| ლივერპული | 3 | 1 | 2 | 0 | 5:3 | 5 |
| ევერტონი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ტოტენჰემი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:1 | 5 |
| ნოტინგემი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:5 | 4 |
| ლიდსი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:5 | 4 |
| ლესტერი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| ნიუკასლი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:4 | 3 |
| მიდლსბრო | 3 | 0 | 2 | 1 | 4:5 | 2 |
| საუთჰემპტონი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| დერბი | 3 | 0 | 2 | 1 | 4:6 | 2 |
| ვესტ ჰემი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| ბლექბერნი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ქოვენთრი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:6 | 1 |
| უიმბლდონი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:6 | 0 |

ინგლისი, I დივიზიონი, მე-2 ტური: „სტოკ სიტი" — „მანჩესტერ სიტი" 2:1, „სვინდონი" — „პორტ ვეილი" 1:1, „ვულვერჰემპტონი" — „ბრედფორდი" 1:0, „ბოლტონი" — „ნორვიჩი" 3:1, „ჩარლტონი" — „ვესტ ბრომვიჩ ალბიონი" 1:1, „კრისტალ პალასი" — „ოლდჰემი" 3:1, „ოქსფორდი" — „საუთენდი" 5:0, „შეფილდ იუნაიტედი" — „ბირმინგემი" 4:4, „პორტსმუთი" — „ქპრ" 1:2, „იფსვიჩი" — „რედინგი" 5:2, „ტრანმერი" — „გრიმსბი" 3:2, „ბარნსლი" — „ჰადერსფილდი" 3:1.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოლტონი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| ბარნსლი | 2 | 2 | 0 | 0 | 5:2 | 6 |
| ვულვერჰ. | 2 | 2 | 0 | 0 | 4:1 | 6 |
| ქპრ | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| სტოკ სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 4:2 | 6 |
| ბირმინგემი | 2 | 1 | 1 | 0 | 5:4 | 4 |
| ტრანმერი | 2 | 1 | 1 | 0 | 4:3 | 4 |
| ოქსფორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 6:2 | 3 |
| იფსვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| კრის. პალასი | 2 | 1 | 0 | 1 | 5:3 | 3 |
| ბრედფორდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:2 | 3 |
| ჰადერსფილდი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| ნორვიჩი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 |
| მანჩესტერ სიტი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:3 | 3 |
| რედინგი | 3 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| პორტ ვეილი | 2 | 0 | 2 | 0 | 2:2 | 2 |
| შეფ. იუნაიტედი | 2 | 0 | 1 | 1 | 4:5 | 1 |
| ვესტ ბრომვიჩი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | 1 |
| სვინდონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| ჩარლტონი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | 1 |
| საუთენდი | 2 | 0 | 1 | 1 | 1:6 | 1 |
| გრიმსბი | 2 | 0 | 0 | 2 | 3:6 | 0 |
| პორტსმუთი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |
| ოლდჰემი | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | 0 |

წუხელ, გვიან ღამით I დივიზიონის გუნდებმა მე-3 ტურის შეხვედრები გამართეს. ერთმანეთთან ითამაშებდნენ: „ბარნსლი" — „რედინგი", „ჩარლტონი" — „ბირმინგემი", „კრისტალ პალასი" — „ვესტ ბრომვიჩი", „იფსვიჩი" — „გრიმსბი", „ოქსფორდი" — „ნორვიჩი", „პორტსმუთი" — „საუთენდი", „შეფილდ იუნაიტედი" — „ჰადერსფილდი", „ტრანმერი" — „პორტ ვეილი".

გერმანია, ბუნდესლიგა, მე-3 ტური: „სანკტ-პაული" — „შალკე" 4:4, „ჰანზა" — „ჰამბურგი" 0:1, „ბოხუმი" — „არმინია" 1:1, „მენჰენგლადბახი" — „კარლსრუე" 1:3, „შტუტგარტი" — „ვერდერი" 2:1 (ერთ დროს მრისხანე „ვერდერი" სატურნირო ცხრილის ფსკერზე დაეშვა), „ფრაიბურგი" — „კიოლნი" 1:3 (შარშანდელი აუტსაიდერი „კიოლნი" უდანაკარგოდ ასპარეზობს და პირველ ადგილზეა), „მიუნხენ 1860" — „დორტმუნდი" 1:3 (ჩემპიონმა ეტყობა გადალახა წარუმატებლობათა სერია და მიუხედავად რამდენიმე მონინავე ფეხბურთელის ტრავმისა, დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა), „ლევერკუზენი" — „ფორტუნა" 0:1 (ტურის მთავარი სენსაცია — ლიდერი აუტსაიდერთან დამარცხდა), „დუისბურგი" — „ბაიერნი" 0:4.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კიოლნი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 9 |
| ბაიერნი | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| შტუტგარტი | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 6 |
| ჰამბურგი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:3 | 6 |
| დორტმუნდი | 3 | 2 | 0 | 1 | 9:5 | 6 |
| ლევერკუზენი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:4 | 6 |
| ბოხუმი | 3 | 1 | 2 | 0 | 3:2 | 5 |
| კარლსრუე | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 4 |
| სანკტ პაული | 3 | 1 | 1 | 1 | 7:7 | 4 |
| მ. 1860 | 3 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 3 |
| ფრაიბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 5:10 | 3 |
| ფორტუნა | 3 | 1 | 0 | 2 | 1:7 | 3 |
| ჰანზა | 3 | 0 | 2 | 1 | 3:4 | 2 |
| არმინია | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| მენჰენგლადბახი | 3 | 0 | 2 | 1 | 1:3 | 2 |
| შალკე | 3 | 0 | 2 | 1 | 4:8 | 2 |
| ვერდერი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:6 | 1 |
| დუისბურგი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

მე-4 ტურის ოთხი შეხვედრა: „დორტმუნდი" — „ფრაიბურგი", „ვერდერი" — „მენჰენგლადბახი", „შალკე" — „ბოხუმი", „ფორტუნა" — „მიუნხენ 1860". გუშინ გვიან ღამით გაიმართებოდა. დანარჩენი მატჩები დღეს შედგება.

მეორე ბუნდესლიგა. კახი ცხადაძის „აინტრახტმა" მე-4 ტურში 3:1 დაამარცხა კიოლნის „ფორტუნა" და 10 ქულით პირველ ადგილზე იმყოფება.

საფრანგეთი, მე-3 ტური: „მონპელიე" — „კანი" 0:1, „სტრასბურგი" — „პავრი" 1:0, „გენგამი" — „მონაკო" 2:1 (ტიგანას „მონაკო" ჯერჯერობით ვერ ამართლებს მასზე გაცემულ ავანსებს, რვაათასიანი ქალაქის გენგამის გუნდმა კი, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა), ნიცა" — „ბასტია" 1:1, „ნანტი" — „ლანსი" 0:1 ("ვერდერის" არ იყოს, „ნანტის" საქმეებიც უკანუკან მიდის), „ბორდო" — „ოსერი" 0:0, „ლილი" — „რენი" 3:1, „კაენი" — „ლიონი" 1:1, „ოლიმპიკი" — „მეცი" 1:2, „ნანსი" — „პსჟ" 0:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლანსი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 2 |
| ბასტია | 3 | 2 | 1 | 0 | 4:1 | 7 |
| ოსერი | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| პსჟ | 3 | 2 | 1 | 0 | 3:0 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 6:4 | 6 |
| კაენი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:3 | 5 |
| ბორდო | 3 | 1 | | 0 | 2:1 | 5 |
| მონაკო | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ოლიმპიკი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| ლიონი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| მეცი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:3 | 4 |
| გენგამი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| რენი | 3 | 1 | 0 | 2 | 4:6 | 3 |
| სტრასბურგი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| კანი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |
| მონპელიე | 3 | 0 | 2 | 1 | 1:2 | 2 |
| ჰავრი | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| ნანტი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ნანსი | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |
| ნიცა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

შოტლანდია, მე-3 ტური: მორიგი გამარჯვებები მოიპოვეს შოტლანდიური ფეხბურთის ლიდერებმა „რეინჯერსმა" და „სელტიკმა". პირველმა პოლ გასქოინის გოლის წყალობით სახლში 1:0 მოუგო „დანდი იუნაიტედს", ხოლო მეორემ სტუმრად სძლია „კილმარნოკს" 3:1, „ჰიბერნიანი" — „დანფერმლაინი" 0:0, „რეით როვერსი" — „მოზერუელი" 0:3, „აბერდინი" — „ჰართსი" 4:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეინჯერსი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:2 | 9 |
| სელტიკი | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| აბერდინი | 3 | 1 | 2 | 0 | 8:4 | 5 |
| მოზერუელი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:3 | 5 |
| ჰიბერნიანი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| კილმარნოკი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| ჰართსი | 2 | 1 | 0 | 1 | 3:6 | 3 |
| დანდი იუნაიტ. | 3 | 0 | 1 | 2 | 1:3 | 1 |
| დანფერმლაინი | 2 | 0 | 1 | 1 | 2:5 | 1 |
| რეით როვერსი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:8 | 0 |

რუსეთი, 25-ე ტური: „ალანია" — „ჟემჩუჟინა" 3:1, „ჩერნომორეცი" — „როსტსელმაში" 2:1, „ლოკომოტივი" მ. — „ტორპედო" 2:1, „როტორი" — „დინამო" 0:1, „ცსკა" — „კამაზი" 4:2, „ლადა" — „სპარტაკი" 1:1, „ტექსტილშჩიკი" — „კრილია სოვეტოვი" 2:1, ლოკომოტივი" ნ.ნ. — „ურალმაში" 2:2. „ბალტიკა" — „ზენიტი" 2:0.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 24 | 16 | 5 | 3 | 48:25 | 53 |
| დინამო | 25 | 15 | 7 | 3 | 43:21 | 52 |
| როტორი | 23 | 15 | 5 | 3 | 42:17 | 50 |
| სპარტაკი | 25 | 14 | 7 | 4 | 48:24 | 49 |
| ცსკა | 25 | 13 | 6 | 6 | 40:27 | 45 |
| ლოკ. ნ.ნ. | 25 | 11 | 4 | 10 | 27:35 | 37 |
| ლოკ. მ. | 26 | 9 | 9 | 7 | 30:24 | 36 |
| ბალტიკა | 25 | 8 | 10 | 7 | 29:26 | 34 |
| ტორპედო | 25 | 8 | 9 | 8 | 31:33 | 33 |
| ზენიტი | 24 | 9 | 4 | 11 | 24:26 | 31 |
| კრ.სოვეტოვი | 26 | 8 | 7 | 10 | 19:29 | 31 |
| ჟემჩუჟინა | 25 | 8 | 4 | 13 | 26:38 | 28 |
| როსტსელმაში | 24 | 7 | 7 | 10 | 42:38 | 28 |
| ჩერნომორეცი | 25 | 7 | 5 | 13 | 25:38 | 26 |
| კამაზი | 24 | 5 | 4 | 15 | 26:42 | 19 |
| ლადა | 24 | 4 | 6 | 14 | 16:37 | 18 |
| ტექსტილშჩიკი | 25 | 3 | 9 | 13 | 15:30 | 18 |
| ურალმაში | 24 | 3 | 8 | 13 | 24:43 | 17 |

იტალია: გასული სეზონის ჩემპიონმა „მილანმა" და თასის მფლობელმა „ფიორენტინამ" გაითამაშეს სუპერთასი. გაბრიელ ბატისტუტას ორ გოლს დეიან სავიჩევიჩმა მხოლოდ ერთით უპასუხა და გამარჯვება ფლორენციელებს ხვდათ წილად — 2:1. გაიმართა იტალიის თასის გათამაშების პირველი წრის შეხვედრები. რომლებშიც სერია A-ს გუნდებიდან მხოლოდ „ატალანტა" და „პიაჩენცა" მონაწილეობდნენ: „რავენა" — „პალერმო" 3:1, „კიევო" — „სალერნიტანა" 1:0, „მონცა" — „პადოვა" 1:0, „ფ.ანდრია" — „ფოჯა" 3:0, „ნოჩერინა" — „პიაჩენცა" 4:3 (პენალტებით), „სპალი" — „ატალანტა" 2:1, „ემპოლი" — „რეჯინა" 1:0, „ლეჩე" — „ჯენოა" 3:0, „კომო" — „კრემონეზე" 6:7 (პენალტებით), „სანგრო" — „ჩეზენა" 0:2, „გუალდო" — „ტორინო" 0:2, „პისტოიზე" — „კოზენცა" 0:3, „აველინო" — „ვენეცია" 2:1, „ასკოლი" — „ბარი" 1:2, „ანკონა" — „პესკარა" 1:2, „ბრეშია" — „ლუკეზე" — ჩაიშალა.

ესპანეთი: გაიმართა პირველი მატჩი ესპანეთის სუპერთასზეც — „ბარსელონამ ჯავრი იყარა მადრიდის „ატლეტიკოზე" გასულ სეზონში ნაგემები ყველა დამარცხებისათვის — ბობი რობსონის გუნდის უპირატესობა აშკარა იყო — 5:2. გოლები გაიტანეს — მასპინძელთაგან რონალდომ — 2, ჯოვანიმ, პიციმ და დელა პენიამ, ხოლო სტუმართაგან — ეშნაიდერმა და პანდიჩმა.

ევროთასები: უეფა-მ დაასახელა ის სამი ქვეყანა, რომლებსაც fair play-ს — სამართლიანი თამაშის მონაცემების მიხედვით 1997-98 წლების უეფას თასის გათამაშებაში დამატებითი ადგილები გამოეყოფათ. ესენი არიან: ნორვეგია, ინგლისი და შვედეთი. უეფას ექსპერტების აზრით. ხნორედ ამ ქვეყნების ფეხბურთელები გამოირჩეოდნენ გასულ სეზონში მოედანზე ჯენტლმენური და სამართლიანი ქცევით.

# რას გავს ეს?!

სტარტისთვის მრავალი ამგვარი სათაურის დარქმევა შეიძ...
და მართლაც რას გავს ეს?! თბილისის „დინამომ" ისე „ი...
სამტრედიელთა ნახევარზე, როგორც სურდა. იმდენად ...
„დინამოს და დანარჩენ გუნდებს შორის კლასში განსხვავებ... ქვეყნის ჩემპიონის მონაწილეობით თამაშების გარჩევა აზრს ... — მხოლოდ „დინამოს" ავკარგიანობაზე გვიხდება საუბარი, ... ალმდეგე თითქოს არც ყოფილა. ასე იყო წინა ტურებში, ... მოხდა ახლაც — „დინამომ" „სამტრედიას" *6:0 მოუგო. ... გაიტანეს — იაშვილმა — ორი, კერძევაძემ, დემეტრაძემ, ... ვილმა და ხომერიკმა. თბილისელთა რიგებში არ უთამაშ... გოგიჩაიშვილს, ჯამარულსა და მაჭავარიანს.

ტურნირის დანარჩენი მატჩებიდან აღსანიშნავია „მერან... —ის გამარჯვება „გორდასთან" 4:1 და „მარგვეთის" დამარცხ... საკუთარ მოედანზე ფოთის „კოლხეთი 1913"- თან 0:1... შეხვედრები ასე დამთავრდა: „სამგურალი" — „ივერია" 0:1, ... — „სიონი" 2:0. „შევარდენი 1906" — „დილა" 1:1, „... „ტორპედო" 2:0, „ბათუმი" — „კახეთი" 6:0

ცხრა-ცხრა ქულით ლიდერობენ: „ბათუმი", „დინამო" და „...



# სკანდალი კენჭისყრისას

ორშაბათს ნიუ-იორკში, „ფლეშინგ მედოუს" კორტებზე დაიწყო „დიდი შლემის" მეოთხე შეჯიბრება — აშშ-ის ღია ჩემპიონატი. ტურნირის საპრიზო ფონდი 10 მილონ 893 ათას 890 დოლარია. ეს ასპარეზობა 1881 წლიდან ტარდება. თავდაპირველად იგი ნიუპორტში (როდ-აილენდის შტატი) იმართებოდა, შემდეგ ნიუ-იორკში, ფილადელფიაში. ისევ ნიუ-იორკში, „ფორესტ ჰილის" ბალახის კორტებზე და 1978 წლიდან „ფლეშინგ მედოუზე" დამკვიდრდა.

აშშ-ის ღია პირველობას ბევრი ლეგენდარული ჩოგბურთელი ახსოვს. ერთეულთა თანრიგში მოპოვებული გამარჯვებების მიხედვით რეკორსმენები არიან: ვაჟთა შორის — ამერიკელები რიჩარდ სრისი, ბილ რენედი და ბილ ტილენდი — მათ 7-7 ჯერ აქვთ მოგებული ეს ტურნირი, ხოლო ქალთა შორის 8 გამარჯვება აქვს მოპოვებული ასევე ამერიკელ მოლა მელორის.

დღეს მოქმედი ჩოგბურთელებიდან ტურნირი მოუგიათ: ვაჟთა შორის პიტ სამპრასს (აშშ) — 1990, 93, 95 წლებში. შვედ სტეფან ედბერგს — 1991-92 წლებში, კიდევ ერთ ამერიკელს — ანდრე აგასის — 1994 წელს და გერმანელ ბორის ბეკერს — 1989 წელს. ქალთა შორის გერმანელ შტეფი გრაფს — 1988-89, 93, 95 წლებში, ამერიკელ მონიკა სელეშს — 1991-92 წლებში, არგენტინელ გაბრიელა საბატინის —1990 წელს და ესპანელ არანტა სანჩესს — 1994 წელს. ბეკერის გარდა, რომელმაც ვერადავერ მოირჩინა უიმბლდონზე მიღებული ტრავმა, ყველა ეს ჩემპიონი მონაწილეობს წლევანდელ ასპარეზობაში. აქვე ვიტყვით, რომ ქალთა ტურნირს უძლიერესი ჩოგბურთელებიდან აკლია ფრანგი მარი პირსი, ხოლო ვაჟებში უკვე განთესვის შემდეგ მონაწილეობაზე უარის თქმა მოუხდა რუს ევგენი კაფელნიკოვს.

განთესვასა და კენჭისყრასთან დაკავშირებით წელს დიდი სკანდალი მოხდა — როგორც გაირკვა, ორგანიზატორებმა ჯერ კენჭისყრა ჩაატარეს და ამის შემდეგ მოახდინეს განთესვა. სატურნირო ბადემ აშკარად „პროამერიკული სახე" მიიღო და ამან სპორტსმენთა პროტესტი გამოიწვია. საბოლოოდ ორგანიზატორებმა განთესვა აღარ შეცვალეს, მაგრამ კენჭისყრა ახლიდან ჩაატარეს, რის შედეგადაც მიღწეული იქნა უმთავრესი — მასპინძელთა მთავარი იმედები — სამპრასი და აგასი ფინალამდე არ შეხვდებიან ერთმანეთს.

გაგაცნობთ განთესელი ჩოგბურთელების სრულ სიას: ვაჟები — 1. პიტ სამპრასი (აშშ), 2. მაიკლ ჩანგი (აშშ) 3. თომას მუსტერი (ავსტრია), 4. გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) 5. რიჰარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) 6. ანდრე აგასი (აშშ) 7. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) (მისი ადგილი ესპანელმა ფელიქს მანტილიამ დაიკავა —რედ.) 8. ჯიმ კურიე (აშშ) 9. უეინ ფერეიერა (სამხრეთ აფრიკა) 10. მარსელო რიოსი (ჩილე) 11. მალივაი ვაშინგტონი (აშშ) 12. ტოდ მარტინი (აშშ) 13. ტომას ენკვისტი (შვედეთი) 14. ალბერტო კოსტა (ეს... პანეთი). 15. მარკ როსეტი (შვეიცა... რია) 16, სედრიკ პიოლინი (საფრან... გეთი).

ქალები- 1. შტეფი გრაფი (გე... რმანია) 2. მონიკა სელეში (აშშ) ... არანტა სანჩესი (ესპანეთი) 4. კონ... ტა მარტინესი (ესპანეთი) 5. ... მაიოლი (ხორვატია) 6. ანკე ... (გერმანია) 7. იანა ნოვოტნა (ჩეხ...) 8. ლინდსეი დავენპორტი (აშშ) ... მერი —ჯო ფერნანდესი (აშშ) ... კიმიკო დატე (იაპონია) 11. ჩანდა რუბინი (აშშ) 12. მაგდალენა მალ... (ბულგარეთი) 13. ბრენდა შულ... (ჰოლანდია) 14. ბარბარა პაულუსი (ავსტრია). 15. გაბრიელა საბატინი (არგენტინა) 16. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია).

გასულ კვირაში გაიმართა ვაჟთა ... ორი და ქალთა ერთი ტურნირი ... ტორონტოში მიმდინარეობდა ... დის ღია პირველობა, რომლის ... რიზო ფონდი 2 მილიონი დოლარი ... იყო. პირველივე წრეში დამარცხდნენ ... ფავორიტები — მუსტერი და ...



უეინ ფერეირა

შევიჩი. მეოთხედფინალებში ამერიკე... ლმა მარტინმა თანამემამულე ... ბრაიენი დაამარცხა, ჩილელმა ... სმა — ჩეხი ვაცეკი, ავსტრალიელმა ... ვუდბრიჯმა ასევე ავსტრალიელ ... ლიპოუსუსს სძლია, ხოლო სამხრეთ... აფრიკელმა ფერეირამ — ... ენკვისტს. ნახევარფინალებში ... ერამ 4:6, 6:3, 7:5 მოუგო მარტინს, ხოლო ვუდბრიჯმა 6:0, 6:3 ... რიოსს. ფინალში ტურნირის ... ჩოგანმა ფერეირამ დაამარცხა ... ნუთესელი მეტოქე 6:2, 6:4 ... მთავარ პრიზს დაეუფლა.

ლონგ —აილენდში მიმდინარე ... ტურნირის საპრიზო ფონდი 250 ... დოლარი იყო. ტრამვის გამო ... დანვე გამოეთიშა ასპარეზობას ... შანდელი გამარჯვებული, მე-2 ... კაფელნიკოვი. ფინალამდე ვერ ... ველმა ნომერმა — ჩანგმა ... გადამწყვეტ ორთაბრძოლაში ... მერმა, უკრაინელმა ანდრეი მედვედ... ემა განუთესელი ჩეხი მარტინ ... დაამარცხა.

სან დიეგოში მიმდინარე ... 450 000 დოლარიან ტურნირზე ... ვარფინალებში ოთხი პირველი ... გავიდა. აქ სანჩესმა (1) ნოვოტნა... დაამარცხა, 1:6, 6:2, 6:3 ... დატემ (4) — შარშანდელი გამარჯ... ვებული მარტინესი (2) — 6:2 ... დატემ ერთი ესპანელის დამარცხ... არ იკმარა და ფინალში სანჩესს ... მოუგო სამ სეტში 3:6, 6:3, 6:...

# მსოფლიოს თასი — ისტორია და დღევანდელი რეალობა

...შაბათს, გვიან ღამით სტოკჰოლმის „გლობენის" არენაზე შვედეთისა ...ნიის ნაკრებების მატჩით დაიწყო ჰოკეიში მსოფლიოს თასის გათა... პირველი პერიოდი უგოლოდ დამთავრდა. მასპინძლებმა მხოლოდ ... შესვენების შემდეგ შეძლეს ბრწყინვალედ მოთამაშე ოლაფ კო...კარის დალაშქვრა. შემდეგში ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით — „ტრე კრუნორმა" 6:1 მოიგო. გუშინ ღამით ტურკუს ყინულზე ... და ჩეხი ჰოკეისტები შეერკინებოდნენ ერთმანეთს.

...წლის წინათ NHL-ის ჰოკეისტთა ...ს მაშინდელი აღმასრულებელი ...ის ალან იგლსონის ინიციატივით ... ჩატარდა კანადის თასის გათამა... ...მაც ექვს უძლიერეს ნაკრებს ... სრკ, ჩეხოსლოვაკია, შვედეთი, ... მოუყარა თავი. მას შემდეგ 15 ...ზე სხვადასხვა ინტერვალებით ...ების კიდევ ოთხი ტურნირი გაი... კი საქმე თითქოს დამუხრუჭდა ...ის საქმე ისე წავიდა, ...ს ვერ ბედავს ...მდე სასამარ... აღძრული და ცი..., ამიტომაც, იძუ... კანადა-აშშ-ს საზღ... და საერ...თარი აღმასრულე...რი ის აღარ ... „კანადის თასი" ...ბული იყო რო... საკუთრება. ... ახლის მოგო... საჭირო და ორი ... გაჩნდა ახალი NHL-ის დღევანდე... გარი ბეტმენმა, ...უმ და იიაფ-ს (ჰო...თაშორისო ფედე...ზიდენტმა რენე ფა... პრაქტიკუ..., მაგრამ ახალი სახე... და დატვირთვის ...ნირის — მსოფლი...ჩატარების იდეა.

... ძველად კანადის თასზე თამაშები ... და მხოლოდ ჩრდილოეთ ამერი...დებოდა, ამჯერად რვა გუნდი გა... ორ ჯგუფად — აშშ, კანადა, რუ... ...ლოვაკეთი კანადასა და აშშ-ში ...ნ მატჩებს, ხოლო შვედები, ჩეხე...ნელები და ფინელები ევროპაში ... ჯგუფებში გამარჯვებულები პი...ნახევარფინალებში გავლენ, ხოლო ...მე ადგილებზე გასულნი ჯვარე...დებიან და დამატებით შეხ...ჩატარებენ, სადაც მოგებულნი აგ...ნახევარფინალებში ითამაშებენ. ეს ...ვე როგორც ფინალები (იგი ორ ... იქნება) უკვე მთლიანად ჩრდი...რიკაში ჩატარდება.

... წლის წინათ კანადის თასის პირ...თამაშების ფინალში მასპინძლებმა ...ოვაკიელები დაამარცხეს — 6:0, ... ჯგუფურ ტურნირში ჩეხოსლო...მა 1:0 მოუგეს კანადელებს. მსგავსი ... განმეორდა ხუთი წლის შემდეგ ... მეორე გათამაშებისას, ოღონდ იმ ...ით, რომ 1981 წელს კანადელებმა ... მოუგეს საბჭოთა ნაკრებს, მაგრამ ... რომელიც იმ წელიწადს ერთი ...ან შედგებოდა, ვიქტორ ტიხონო...მა 8:1 გაანადგურა „ნეკერჩხლის ...".

...4 წელს კანადის თასის მესამე გათა... სისტემა მცირედით შეიცვალა — ... ტურნირის შემდეგ ოთხი საუკე...ნახევარი ფინალში გადიოდა, სადაც ... მეოთხეს ხვდებოდა, ხოლო მეო... მესამეს.

...თა ნაკრებმა ჯგუფში ყველა თა...გო, მათ შორის კანადასთან — 6:3, ...ნახევარფინალში ისევ ეს გუნდები ... ერთმანეთს და ოვერტაიმში მაიკ ...ის წყალობით მასპინძლებმა იმა... — 3:2. მეორე ნახევარფინალში შვე...ამერიკელებს მოუგეს — 9:2. ფინალი ... მოგებამდე ტარდებოდა და კანა... მესამე თამაშამდე არ გადადეს სა...პირველივე ორი შეხვედრა მოუგეს — 5:2, 6:5.

...7 წელს კანადის თასის მეოთხე წა... ნახევარფინალებში რუსებმა და ...ებმა შვედებსა და ჩეხოსლოვაკიე...ბეს და ფინალში ჰოკეის ისტორი...ერთი უდიდესი სანახაობა გამარ...ტურნირში რომ შეხედავ, შეიძლება ...ხოვბურთს თამაშობდნენო — 6:6, ... იმარჯვეს კანადელებმა. გადამწყ... მარიო ლემიუმ გაიტანა. საერ... ტურნირი იყო თანამედროვეობის ...დესი ჰოკეისტის — ლემიესა და ... ბენეფისი, თუმცა არც რუსი „ვა...ბი" — ფეტისოვი, კრუტოვი, მა... ...მოიყურებოდნენ ნაკლებად.

...ნელ კანადის თასი 1991 წელს

გათამაშდა. ამჯერად ფინალში მეზობლები — კანადელები და ამერიკელები გავიდნენ. ჰოკეის სამშობლოს წარმომადგენლებმა საკმაოდ იოლად, ორ მატჩში დაამარცხეს მეტოქე და მეოთხედ დაეუფლნენ თასს.

და აი, გუშინ სტარტი აიღო მსოფლიოს თასის პირველმა გათამაშებამ, რომელიც ისტორიულად „კანადის თასის" მემკვიდრეს წარმოადგენს. როგორც უკვე ითქვა, ასპარეზობაში ორ ჯგუფად გაყოფილი რვა გუ-



რუსეთის ნაკრებს ბორის მიხაილოვი გაწვრთნის

ნდი მიიღებს მონაწილეობას. ჩვენი გაზეთის წინა ნომერში შემოგთავაზეთ ჩრდილოამერიკულ ჯგუფში მოთამაშე გუნდების შემადგენლობები. დღეს გთავაზობთ ევროპაში მოთამაშე ნაკრებების სრულ განაცხადებს:

შვედეთი: მეკარეები — ტომი სალო და ტომი სედერსტრემი (ორივე აილენდერსი), იუჰან ჰედბერგი (ლექსანდი), მცველები — პეტერ პოპოვიჩი (მონრეალი), ტომი ალბელინი (კალგარი), კალე იუჰანსონი (ვაშინგტონი), როჯერ იუჰანსონი (ფერესტადი), კენი იუჰანსონი (აილენდერსი), ნიკლას ლინდსტრემი (დეტროიტი), მათიას ნორსტრემი (ლოს — ანჯელესი), თავდამსხმელები — ნიკლას ანდერსონი, ანდრეას იუჰანსონი (ორივე — აილენდერსი), დანიელ ალფრედსონი (ოტავა), თომას ჰოლმსტრემი, ფრედრიკ ნილსონი (ორივე — ლულეო), მიქაელ ანდერსონი (ტამპა), იუნას ბერგკვისტი (ლექსანდი), ულფ დალენი (სან-ხოსე), პეტერ ფორსბერგი (კოლორადო), იუჰან გარპენლოვი (ფლორიდა), პატრიკ იულონი (ფილადელფია), მარკუ ნესლუნდი (ვანკუვერი), მიქაელ ნიულანდერი (ლუგანო), მატს სუნდინი (ტორონტო). მწვრთნელი — კენტ ფორსბერგი.

ფინეთი: მეკარეები — კარი ტაკო (ესეტი), მარკუ კეტერერი (ფერესტალი), იარმონ მიულიუსი (ლულეო), მცველები — მარკუს კიპრუსოფი (მონრეალი), პეტერ ნუმენილი (ვესტრა ფრელუნდა), იანე ნინიმა (ფილადელფია) ტეპო ნუმინენი (ფინიქსი), იანე ლაუკა ნენი (ოტავა), იურკი ლუმე (ვანკუვერი), ჰანუ ვირტა (ტპს), მიკა სტრომბერგი (იოკერიტი), თავდამსხმელები — კაი ნურმინენი (ლოს-ანჯელესი), სამი კაპანენი (ჰართფორდი), იერე ლეჰტინენი (დალასი), ანტი ტორმანენი, იუჰა იულონენი (ორივე — იოკერიტი), მიკა ნიემინენი, კრისტიან რუუტუ (ორივე — გრასჰოპერსი), ტეემუ სელიანე, იარი კური (ორივე — ანაჰაიმი), საკუ კოივუ (მონრეალი), იუჰა რიიჰიარვი, იანე ოიანენი (ორივე — მალმიო), რაიმო ჰელმინენი (ილვესი), ვილე პელტინენი (სან-ხოსე), მწვრთნელი — კურტ ლინდსტრემი.

ჩეხეთი: მეკარეები — პეტრ ბრჟიზა (ლანდსჰუტი), რომან ტურეკი (ნიურნბერგი), რომან ჩეკმანეკი (ვშეტინი), მცველები — რომან ხამრლიკი (ტამპა), სტანისლავ ნეკარი (ოტავა), ირჟი შლეგრი (ედმონტონი), მიხალ სიკორა (სან-ხოსე), ფრანტიშეკ კაბერლე (ომსკოლდსვიკი), ირჟი ვებერი (ვშეტინი), ირჟი ვიხოუკალი (სპარტა), დრაგომირ კადლეცი (კაუფბოირენი), თავდამსხმელები — იოზეფ ბერანეკი (ვანკუვერი), რადეკ ბონკი (ოტავა), რობერტ ჰოლიკი, პეტრ სიკორა (ორივე — ნიუ-ჯერსი), იარომირ იაგრი, პეტრ ნედველი (ორივე — პიტსბურგი), რობერტ ლანგი (ლოს-ანჯელესი), რობერტ რაიშელი (კალგარი), მარტინ რუჩინსკი (მონრეალი), მარტინ სტრაკა (ფლორიდა), პაველ პატერა, მარტინ პროჰაზკა, ოტაკარ ვეივოდა (სამივე — კლადნო), ირჟი დოპიტა (ვშეტინი), ვიქტორ უიჩკი (სლავია). მწვრთნელი — ლუდეკ ბუკაჩი.

გერმანია: მეკარეები — კლაუს მერკი, იოზეფ ჰაისი, ოლაფ კოლციგი, მცველები — ტორსტენ კინსი, მირკო ლიუდემანი, მიხაელ ხაიდტი, დანიელ ნოვაკი, ჯეისონ მაიერი, მარკუს ვილანდი, ერიხ გოლდმანი, ბრად ბერგენი, თავდამსხმელები: ტომას ბრანდლი, ლეო შტეფანი, რეინტ პიკა, ბენუა დუსე, პეტერ დრაიზაიტლი, იურგენ რუმრიხი, გეორგ ფრანცი, ანდრეას ლიუპციგი, დიტერ ხეგენი, შტეფან უსტორფი, ალექსანდრ სერიკოვი, მარკ მაკკეი, იოხენ ხეხტი, იან ბენდა, დანიელ კუნცე, იურგენ სიმონი, ფლორიან კელნერი, მარკო შტურმი. მწვრთნელი ჯორჯ კინგსტონი (სამწუხაროდ არ გვაქვს სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ გერმანელი ჰოკეისტები რომელ კლუბებში გამოდიან, ამიტომაც სპორტსმენებს გუნდები არ აქვთ მითითებული).

* * *

მარიო ლემიეს, პოლ კარიას, რეი ბურკს, ჯონ ვანბისბრუკს, თომას სანდსტრომს და სხვა ცნობილ ოსტატებს, რომლებმაც სხვადასხვა მიზეზების გამო უარი განაცხადეს მსოფლიოს თასზე თამაშზე, დაემატნენ თანამედროვე ჰოკეის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი, ჩეხი დომინიკ ჰაშეკი „ბაფალოდან" და მისი თანამემამულეები, მცველები — რიჩარდ შმებლიკი (ბაფალო) და პეტრ სვობოდა (ფილადელფია). ამ სამეულის, განსაკუთრებით კი ჰაშეკის არყოფნა ბუკაჩის გუნდისთვის დიდი დანაკლისი იქნება.

* * *

ალსანიშნავია, რომ იმ 200 ჰოკეისტიდან, რომლებიც გუნდებს განაცხადში ჰყავთ შეყვანილი, ოთხი მოთამაშე: რუსები — ლარიონოვი და ფეტისოვი, ფინელი კური და კანადელი გრეტცკი ჯერ კიდევ 1981 წლის კანადის თასის მონაწილენი არიან. უეინ გრეტცკი აბსოლუტური რეკორდსმენია — მან პირველის გარდა ყველა კანადის თასზე მიიღო მონაწილეობა. რაც შეეხება ფეტისოვს, რომელმაც 1984 და 1991 წლების გათამაშებები გამოტოვა, ოცი წლის წინათ ცოტა დააკლდა, რომ პირველივე ტურნირზე ეთამაშა — საბჭოთა კავშირის ნაკრებში მისი დებიუტი რამდენიმე თვის შემდეგ მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხდა. ლარიონოვს არ უთამაშია 1991 წლის კანადის თასზე, ხოლო კურის — 1984 წელს, როდესაც მსოფლიო ჩემპიონატზე უხეირო გამოსვლის გამო, ფინელების მაგივრად მეექვსე გუნდად გფრ-ის ნაკრები იქნა მიწვეული. კიდევ რამდენიმე ჰოკეისტს — კანადელებს კოფის მესიეს, აიზერმანს, ამერიკელ ჩელიოსს, გერმანელ ჰაგენს დებიუტი 1984 წელს ჰქონდათ. აიზერმანს და ჰაგენს მას შემდეგ აღარ უთამაშიათ კანადის თასზე, ხოლო დანარჩენი სამეული როგორც 1987 წლის, ისე 1991 წლის ტურნირების მონაწილეცაა.

* * *

მსოფლიოს თასის გათამაშების დაწყების წინ გუნდებმა უკანასკნელი საჩვენებელი შეხვედრები გამართეს: გერმანია-სლოვაკეთი 2:4, შვედეთი-ჩეხეთი 6:1, კანადა-რუსეთი 4:4, კანადა-სლოვაკეთი. (წუხელ გვიან ღამით გაიმართა).

* * *

გთავაზობთ მსოფლიოს თასის გათამაშების ყველა შეხვედრის (ჩატარებული მატჩების ჩათვლით) განრიგს: „B" ჯგუფი — 26 აგვისტო — შვედეთი-გერმანია (სტოკჰოლმი), 27 აგვისტო — ფინეთი-ჩეხეთი (ტურკუ), 28 აგვისტო — ფინეთი-გერმანია (ტურკუ), 29 აგვისტო — ჩეხეთი-შვედეთი (პრაღა), 31 აგვისტო — გერმანია-ჩეხეთი (გარმიშ-პარტენკირხენი), 1 სექტემბერი — შვედეთი-ფინეთი (სტოკჰოლმი); „A" ჯგუფი — 30 აგვისტო — კანადა-რუსეთი (ვანკუვერი), 1 სექტემბერი — რუსეთი-სლოვაკეთი (მონრეალი), აშშ-კანადა (ფილადელფია), 2 სექტემბერი — კანადა-სლოვაკეთი (ოტავა), 3 სექტემბერი — აშშ-რუსეთი (ნიუ-იორკი), 4 სექტემბერი — აშშ-სლოვაკეთი (ნიუ-იორკი). მეოთხედფინალები — 6 სექტემბერი — A2-B3 (მონრეალი), 7 სექტემბერი — B2-A3 (ოტავა), ნახევარფინალები — 8 სექტემბერი — B1-A2 ან B3 (ფილადელფია), 9 სექტემბერი — A1 B2 ან A3 (ოტავა), ფინალები — 11 სექტემბერი (ფილადელფია), 13 სექტემბერი (მონრეალი), 16 სექტემბერი (მონრეალი).

გიორგი ბერიკაშვილი

# სხვაობა მცირდება

მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატის დამთავრებამდე კიდევ სამი ეტაპი დარჩა და სხვაობა პირველ ადგილზე მყოფ ინგლისელ დეიმონ ჰილსა ("უილიამს-რენო") და მის კანადელ თანაგუნდელს ჟაკ ვილნევს შორის 13 ქულამდე შემცირდა. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც კვირას, ბელგიაში, „სპა-ფრანკოშამპის" ტრასაზე გამართულ მე-13 ეტაპზე ვილნევმა მე-2 ადგილი დაიკავა, ხოლო ჰილი მხოლოდ მეხუთეს დასჯერდა. ახალგაზრდა კანადელი ბოლო რამდენიმე ეტაპია მეთოდურად უახლოვდება ლიდერს და მოსალოდნელია, რომ სეზონის ბოლოს ჩემპიონობისთვის მძაფრი ბრძოლა გაჩაღდება. „ბელგიის დიდი პრიზი" კი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა, გერმანელმა მიხაელ შუმახერმა ("ფერარი") მოიგო. ეს იყო მისთვის წლევანდელ სეზონში მე-2, ხოლო კარიერაში 21-ე გამარჯვება. ალსანიშნავია, რომ შუმახერმა თავისი პირველი „დიდი პრიზი" სწორედ აქ, „ფრანკოშამპზე" მოიგო ოთხი წლის წინათ.

ბელგიის დიდი პრიზის საბოლოო შედეგები: 1. შუმახერი ("ფერარი") 2. ვილნევი ("უილიამსი") 3. ჰაკინენი ("მაკლარენი") 4. ალეზი ("ბენეტონი") 5. ჰილი ("უილიამსი") 6. ბერგერი ("ბენეტონი").

საერთო ჩათვლა: ჰილი-81, ვილნევი —68, შუმახერი —39, ალეზი-38, ჰაკინენი —23, კულტჰარდი-18, ბერგერი —17, პანისი —13,




ბარიჩელო —12, ირვინი — 9, ფრენცენი —6, სალო —5, ჰერბერტი —4, ბრანდლი —3, ვერსტაპენი და დინიცი 1-1.

კონსტრუქტორთა თასი: უილიამს-რენო — 149, ბენეტონ-რენო —55, ფერარი —48, მაკლარენ —მერსედესი —41, ჯორდან-პეჟო —15, ლიჟიე-მუგენ-ჰონდა —14, ზაუბერ-ფორდი —10, ტირელ-იამაჰა —5, ეროუზ-ჰარტი —1.

# «დონ მიგელი» თანახმაა



ესპანეთში დასრულდა „ბურგოსის ტური", რომელიც „ვუელტის" წინ ერთ-ერთი უკანასკნელი მოსამზადებელი ეტაპი იყო (ესპანეთის ტური 7 სექტემბერს იწყება) და რომელშიც მრავალი ცნობილი ოსტატი მონაწილეობდა. პირველივე ეტაპიდან ლიდერობა ხელთ იგდო შვეიცარიელმა ტონი რომინგერმა. მან დაყოფილი სტარტით რბოლაშიც ყველას აჯობა და საბოლოოდ, მეორე ადგილზე გასულ დიდ მიგელ ინდურაინს წუთი და 51 წამი მოუგო. მესამე იყო ესპანელი ინიგო კუესტა, მეოთხე —აგრეთვე ესპანელი არსენიო გონსალესი, მეხუთე —მსოფლიო რეიტინგის ლიდერი, ფრანგი ლორან ჟალაბერი. როგორც რბოლის შემდეგ ინდურაინმა განაცხადა, იგი დაეთანხმა საკუთარი გუნდის — „ბანესტოს" ხელმძღვანელობის სურვილს და მიიღებს მონაწილეობას წლევანდელ „ვუელტაში". ალსანიშნავია, რომ „დონ მიგელს" ამ რბოლაში 1991 წლის შემდეგ აღარ უასპარეზია და საერთოდ, მშობლიური ველოტური ჯერაც არა აქვს მოგებული. ინდურაინის გარდა „ვუელტის" გზებზე „ბურგოსის ტურის" სხვა მთავარი მონაწილენიც გამოვლენ.

* * *

საფრანგეთში გრძელდება ქალთა „ტურ დე ფრანსი". დაიწყო მთები და ვეტერანმა ჟანი ლონგომ ველარ გაუძლო მეტოქეთა იერიშებს — მეცხრე ეტაპზე იგი ძლიერ ჩამორჩა იტალიელ ფაბიანა ლუპერინის, რუსეთის წარმომადგენელ ზულფია ზაბიროვას და ლიტველ დებს — რასა და იოლანტა პოლიკიავიჩუტებს. აქ მან მთელი 10 წუთი წააგო. შემდეგ ეტაპებზე მდგომარეობა აღარ შეცვლილა — ლუპერინი დიდი უპირატესობით ლიდერობს, ლიტველები მეორე — მესამე ადგილებზე არიან,



ლუპერინი

ლონგო — მეოთხეზე. მიუხედავად სამთო ეტაპზე მიღწეული ნარმატებისა, ზაბიროვა ლიდერებს ძლიერ ჩამორჩება.

# მიირთვით ლუდი



ბელგიაში გაიმართა ივო ვან დამეს სახელობის საიუბილეო, მეოცე მემორიალი. ასპარეზობის დაწყების წინ შეჯიბრების ერთ-ერთმა სპონსორმა, რომელიღაც ბელგიურმა ლუდის მწარმოებელმა ფირმამ სტადიონზე წარმოუდგენელი რაოდენობის ლუდი შეზიდა — გამოცხადდა, რომ ტრიბუნებზე შეკრებილი ორმოცი ათას გულშემატკივარს შეეძლო შეესვა ნებისმიერი რაოდენობის ლუდი, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ შეჯიბრებაზე მსოფლიოს რეკორდი დამყარდებოდა.



მასტერკოვა

... მძლეოსნობისა და ლუდის მოყვარულები გაილაღებდნენ — ასპარეზობაზე ერთბაშად ორი რეკორდი დამყარდა: რუსმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა სვეტლანა მასტერკოვამ 800-მ-ზე სირბილში გააუმჯობესა ძველი რეკორდი, ხოლო მაროკოელმა ჰისუ სალახმა 10000 მ-ზე ეთიოპიელი გაბრესილასეს შედეგს ხუთწამნახევარი ჩამოაკლო — 26.38,09. ალსანიშნავია, რომ ატლანტის თამაშების ორი ოქროს მფლობელმა მასტერკოვამ წელს მორე მსოფლიო რეკორდი დაამყარა — მანამდე მან 1 მილზე რბენაში გააუმჯობესა ძველი მიღწევა.

დიდ ინტერესს იწვევდა ვაჟთა შორის 100მ-ზე სირბილი, სადაც ძალზე ძლიერმა კომპანიამ მოიყარა თავი — ატლანტის ჩემპიონმა, კანადელმა ბეილიმ, ბარსელონის თამაშების გამარჯვებულმა ლინფორდ კრისტიმ და ლოს-ანჯელესისა და სეულის ოლიმპიადების ჩემპიონმა, დიდმა კარლ ლუისმა — ასეთი რამ ისტორიაში პირველად მოხდა — ერთ გარბენში 100 მ-ზე სირბილის ერთბაშად სამი ოლიმპიური ჩემპიონი ხვდებოდა ერთმანეთს, მაგრამ ყველას ამერიკელმა დენის მიტჩელმა აჯობა — 10,03. ბეილი მეორე იყო —10,09, ლუისი მესამე —10, 10 კრისტი მეხუთე ადგილს დასჯერდა 10,14.



სალაჯი ალაჰს მადლობას უძღვნის



## შენი სიკვდილი ძალიან დამწყვეტდა გულს...

თურმე, გამოჩენილი ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი, ასტრონომი და მექანიკოსი ნიუტონი განთქმული იყო არა მხოლოდ თავისი გენიოსობით, არამედ საარაკო დაბნეულობითაც. ამაზე მეტყველებს რამდენიმე სტრიქონისგან შემდგარი ბარათი, რომელიც მან გაუგზავნა თავის მეგობარ ოფიცერს:

„აქ, ჩვენთან ყველა ლაპარაკობს, რომ შენ ორ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვე, მესამეში კი მოგკლეს. მომწერე, მართალია ეს თუ არა? შენ ხომ იცი, როგორ დამწყვეტდა გულს შენი სიკვდილი“...

## წინდახედული ქვრივი

თურმე, ამერიკის ერთ-ერთი სოფლის სასაფლაოზე არის საფლავი ასეთი ეპიტაფიით: „აქ ასვენია ჯეიმს ს.რენდომი, რომელიც გარდაიცვალა 1880 წლის 6 აგვისტოს. გულდათუთქული ქვრივი ელის ნუგეშისცემას. ახაკი — 24 წელი. აქვს კარგი, ერთგული ცოლის ყველა მონაცემი. ცხოვრობს ამავე სოფელში, ჩერჩსტრიტი №4“.

## ზვიგენზე მოჯირითენი



თურმე, ბაჰამის კუნძულებზე არსებობს სპორტის ერთობ უჩვეულო, უფრო მეტიც, ექსცენტრული სახეობა — ჯირითი ზვიგენებით. მომცრო ზომის ზვიგენებს ერეკებიან მეჩხერ უბეში, სადაც მათ რისკისა და მძაფრი შეგრძნებების მოყვარულები ელიან. ეს თავზეხელაღებული სპორტსმენები ცდილობენ არა მხოლოდ შემოახტნენ ამ არცთუ „უწყინარ“ თევზებს, არამედ „გააჭენონ“ კიდეც და რაც შეიძლება მეტ ხანს გაძლონ ზვიგენის ზურგზე. რასაკვირველია, მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ ზვიგენით გასეირნებას.

## თუ უხსენებელს გადააწყდით...

თურმე, არსებობს მარტივი საშუალება იმისთვის, რომ შხამიანი გველის თავდასხმა თავიდან ავიცილოთ. თუ შემთხვევით გა-



დაანწყდით ქვეწარმავალს, ნუ შეშინდებით, მშვიდად გადექით გვერდზე და ნელი ხვლით 3-4-ჯერ შემოუარეთ მას გარშემო. ამ რჩევას იძლევა მალაიზიის ჯანდაცვის სამინისტრო. როგორც მის მიერ გამოცემულ სპეციალურ ბიულეტენშია აღნიშნული, ეს მარტივი მანევრი სრულიად აბნევს და თავბრუს ახვევს ქვეწარმავალს.

## მიწისძვრა, როგორც კომერციის საგანი

თურმე, თუ კაცს კომერციის ნიჭი აქვს, სტიქიურ მოვლენასაც კი გამოიყენებს რეკლამისთვის, ანუ შემოსავლის წყაროდ აქცევს. ამის შესანიშნავი მაგალითია ვინმე მაცუკო, რომელიც იაპონიის ქალაქ მაცუშიროში ცხოვრობს. მაცუშიროში მიწისძვრა საკმაოდ ხშირად იცის, მაგრამ მაცუკომ, რომელიც სასტუმროს მეპატრონეა, გამოაცხადა — მისი ოტელის სტუმრებს მიწისძვრისა კი არ უნდა ეშინოდეთ, არამედ, პირიქით, უნდა ნატრობდნენ მას. იმიტომ, რომ 3-ბალიანი ბიძგის შემთხვევაში თითოეული მათგანი უფასოდ მიიღებს კათხა ლუდს, 4-ბალიანის შემთხვევაში ნომრის საფასური 5 პროცენტით დაიკლებს, 5-ბალიანის შემთხვევაში — 25 პროცენტით. 6 და მეტბალიანი მიწისძვრა მათ მთლიანად გაათავისუფლებს გადასახადისგან. ამ განცხადების დღიდან მაცუკოს სასტუმროში ნომერი ერთხელაც კი აღარ ყოფილა თავისუფალი!

## როცა კაცს საკუთარი თავი ავიწყდება...

თურმე, პარიზის პოლიცია 10 წლის განმავლობაში ეძებდა, მაგრამ ვერაფრით პოულობდა ერთ „სპეციალისტს“, რომელიც დახელოვნებული იყო ყალბი პასპორტების დამზადებაში. ბოლოს და ბოლოს, ის დააპატიმრეს, მაგრამ სრულიად შემთხვევით. აღმოჩნდა, რომ მან არ გააგრძელა საკუთარი ნამდვილი პასპორტის მოქმედების ვადა...

## „სასწაულმოქმედი“ ბოსტნეული

თურმე, სხვადასხვა ბოსტნეული სხვადასხვანაირად მოქმედებს ადამიანის ფსიქიკაზე, ყოველ შემთხვევაში, ასე მიაჩნია ნორვეგიელ მეცნიერ ოლაფ ლინდსტრემს, რომელიც საგანგებოდ იკვლევს ამ საკითხს. თუ პროფესორს დავუჯერებთ, სალათა ხელს უწყობს მუსიკალურობის განვითარებას, მწვანე ხახვი — ლოგიკურ აზროვნებას, სტაფილო და ისპანახი იწვევს მელანქოლიას, კარტოფილი კი დამამშვიდებლად მოქმედებს. ასე რომ, სადილისთვის ბოსტნეულის შერჩევა ხუმრობა საქმე არ გეგონოთ, ჯერ კარგად განსაზღვრეთ, რა მდგომარეობას გსურთ მიაღწიოთ ან რა უნარი თვისება განივითაროთ.

სამწუხაროდ, პატივცემული პროფესორი არ მიუთითებს, რა ოდენობით, რა მოცულობით და რა სიხშირით უნდა მივირთვათ, ვთქვათ, სალათა, რომ ბეთჰოვენის თუ არა, ყოველ შემთხვევაში, სმეტანას (ჩეხი კომპოზიტორია) დონემდე მაინც განვივითაროთ მუსიკალური სმენა.



## კატების უკანასკნელი იმედი

თურმე, ჩვენს ერთობ ჭრელსა თუ მრავალფეროვან სამყაროში სხვა იშვიათ, ორიგინალურ პროფესიებს შორის, ასეთიც არსებობს — კატების მაშველი. ნიუ-იორკის ცხოველების დაცვის საქალაქო სამმართველოს შტატში არის სპეციალისტი, რომლის საქმიანობა ზუსტად ასეა განსაზღვრული და რომლის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს გასაჭირში ჩავარდნილი ფისოების გადარჩენა. ყოველწლიურად ის დაახლოებით 2000 კატას შველის. თანაც, მისი სამუშაო დაკავშირებულია სერიოზულ რისკთან და საშიშროებასთანაც კი: იმისთვის, რომ ციცუნები იხსნას, ის ხშირად იძულებული ხდება ჩაეშვას კანალიზაციაში, აძვრეს სახურავზე ან შუა ქუჩაში მანქანებს შეუვარდეს ბორბლებქვეშ!

## ბაქტერია პოლიციის სამსახურში

თურმე, ნიუ-იორკის პოლიციის ლაბორატორიაში გამოჰყავთ და ამრავლებენ ბაქტერიებს, რომლებიც ნარკოტიკ ჰეროინის სიახლოვეს ინტენსიურ ნათებას იწყებენ. ასე რომ, თუ ნარკომაფიამ უმოკლეს ხანში არ შეისწავლა მიკრობიოლოგია და არ გამოიყვანა „ანტინარკოტიკული“ ბაქტერიების მტერი მიკროორგანიზმები, ნარკოტიკებით მოვაჭრეებსა თუ გადამტან-გამავრცელებლებს საქმე ცუდად წაუვათ — ნებისმიერ პოლიციელს ამერიკაში მუდმივად თან ექნება ამ ბაქტერიებით სავსე პატარა კაფსულა და ასეთ „ბაქტეროციელს“ ვინღა გამოეპარება?

## პოეტური პროგნოზი

თურმე, 1975 წელს შვეციის ხელოვნების აკადემიამ სტოკჰოლმის მეტეოროლოგიური პროგნოზირების ინსტიტუტს სპეციალური პრემია მიანიჭა, რომელსაც ყოველწლიურად აკუთვნებენ „განსაკუთრებული მიღწევებისთვის პოეზიისა და ფანტასტიკის დარგში“. აკადემიის ჟიურიმ განაცხადა, რომ შვედი მეტეოროლოგების პროგნოზები წინა წლის ზაფხულში „გამოირჩეოდა არაჩვეულებრივად პოეტური ფანტაზიით, რომელსაც სინამდვილესთან საერთო არაფერი ჰქონდა“.

## კროსვორდი

შვეულად: 1. ქარის მიმართულების სიჩქარის საზომი ხელსაწყო; 2. ზედაპირზე სალებავის მისასხურებელი ხელსაწყო; 3. ძველად, სამანძიანი იალქნიანი გემი; 5. ოთახის დეკორატიული მცენარე; 6. დიდგვაროვანი გათხოვილი ქალისადმი მიმართვა ინგლისში; 10. კრეტას მეფის ასული, რომელიც თეზევსს დაეხმარა ლაბირინთიდან გამოსვლაში; 11. ფილოსოფიაში, ობიექტური რეალობა, რომელიც არსებობს ადამიანის ცნობიერების გარეშე; 12. რისამე განვითარების პროცესი; 13. მგრძნობიარობის შეცვლა მიკრობების ზემოქმედების მიმართ; 15. დასრულებული აზრის მქონე სიტყვათა წყობა; 16. ერთგვარი ყავისფერი კანფეტი; 21. ღმერთების საკრებულო ბერძნულ მითოლოგიაში; 23. ფასიანი ქაღალდი; 25. ფულადი დახმარება; 27. ქალაქი ბრაზილიაში ბაიას შტატში; 28. ქიმიური ელემენტი, იშვიათი ლითონი თეთრი ფერისა;

თარაზულად: 4. მათემატიკის ნაწილი; 7. ფრანგი მწერალი (1803-1870); 8. ორგანიზმის სიკვდილისწინა მდგომარეობა; 9. რთული სიტყვის ბოლო შემადგენელი ნაწილი, ნიშნავს კეთებას, მოწყობას; 14. შტრიხებით ხატვის ხელოვნება; 15. არშია კიდლისა, ხალიჩისა; 17. რაიმე მოქმედებისთვის აღმძვრელი მიზეზი; 18. გარკვეული სისტემით დალაგებული ბარათები; 19. დიელექტრიკი; 20. რისამე შესაბამისობა, მსგავსება; 22. ქიმიური ელემენტი, უფერო, უსუნო; 24. უმაღლესი ხელისუფლება; 26. საუბარი ორ ან რამდენიმე პირს შორის; 29. რისამე რთული და მნიშვნელოვანი ისტორია; 30. საჯარო გამოსვლა; 31. ქიმიური ელემენტი. იშვიათი ლითონი, ტყვიაზე რბილი, ჭედადია;

შეადგინა მურთაზ ხანთაძე



## კროსვორდი

შვეულად: 1. ადამიანის გამოცდილებაგარეშე სამყაროს აღქმა გრძნობის ორგანოების საშუალებით; 2. რკალის საზომი ერთეული; 3. ფირფიტა, მავთული ან სხვა ნაწარმი, რომელიც შედგება სხვადასხვაგვარი ლითონის ორი ფენისაგან; 5. აპარატი, რომელიც ამოქმედების შემდეგ თავისით ასრულებს რაიმე სამუშაოს; 6. სპორტული ცურვის ყველაზე სწრაფი ხერხი; 7. ლუდოვიკო მეთოთხმეტის დროს მოღვაწე კარდინალი; 9. ბიჭი, რომელიც გემზე სწავლობს ზღვაოსნობას; 10. ის, რაც ქმნის ემოციურ, ამაღლებულ დამოკიდებულებას რაიმესადმი; 11. ხმის ტონის აწევ-დაწევა; 14. თავისი აზრის ოფიციალურად გამოთქმის უფლება; 15. შეიარაღებული ბრძოლა; 18. ინგლისური ჯიშის პატარა ძაღლი, რომელსაც აქვს მოკლე ბეწვი, გრძელი ყურები და გრძელი კუდი; 19. ჩინთა საქმიანი ქაღალდების, წიგნების და მისთანების სატარებლად; 21. ქალაქი გერმანიაში; 23. მოხარშული მცენარეული ზეთი. იყენებენ ლაქ-სალებავების დასამზადებლად; 25. მხიარული სიუჟეტის მქონე დრამატული ნაწარმოები; 26. პატარა სახმისი; 27. ორგანიზმი, რომელიც ერთ ადგილზეა დამკვიდრებული და იკვებება ნიადაგითა და ჰაერით.

თარაზულად: 3. პიროვნება, რომლის სახელსაც ატარებს ისტორიული ლამე; 4. ხეზე, ქვაზე ან ლითონზე ამოჭრილი გამოსახულება; 7. ბრაზილიის ძველი სახელწოდება; 8. რადიოაქტიურობის მქონე ლითონი; 10. მეფის ხელისუფლებისადმი ერთგული; 12. თხილამურებით შეჯიბრების ერთ-ერთი სახე; 13. ბერძნულ მითოლოგიაში: ტიტანი, რომელსაც უპყრია ცის თაღი; 14. ძროხის ნაშიერი ერთ წლამდე; 16. მდინარე ევროპაში; 17. თავფართო მოკლე ლურსმანი; 20. ცეცხლის მნათი ნაწილი; 22. ქალაქი ჩრდილოეთ იტალიაში; 24. კინობილი; 28. ნებაყოფლობითი კავშირი, გაერთიანება; 29. ლობეზე გადასასვლელი, გადასაბიჯი ადგილი; 30. სუფრის იარაღი; 31. გამიჯვნა, განცალკევება; 32. საზღვაო თევზსაჭერი გემი, რომლიდანაც ბადით თევზაობენ.



რედაქტორ-გამომცემლები
ვასილ მაღლაფერიძე და პაატა ვეშაპიძე
გენერალური დირექტორი ვახტანგ სალია
პასუხისმგებელი მდივანი დავით ნინიკაშვილი
დამკაბადონებელი თამაზ ჩხაიძე
მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7.
ტელ: 29-48-05, ფაქსი 23-52-12